პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. ლიდო?) ქ. 30 ?, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან დღის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში—ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის წინ—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეშე—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებები გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- გერმანიის რეიხსტაგმა უარყო კანონპროექტი ამნისტიის შესახებ.
- გლეხთა მოძრაობა საბერძნეთში ფართოვდება.
- პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკება დაიწყება კენიგსბერგში.
- მზადება 1-ლ მაისისათვის ამერიკაში.
- მ. გორკის საიუბილეო კამპანია საზღვარგარეთ.
- 9 მაისს ლეიპციგში დაიწყება გერმანიის კომპარტიის ცეკას პროცესი.

შაბათი, 31 მარტი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 75 (2119)

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა
აპრილისათვის
კვირას, 1 აპრილს, კანტორა ღია იქნება
დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

შტრეზემანი საყოველთაო განიარაღების შესახებ

კომუნისტურმა რაზმებმა დაამარცხეს კანტონის მთავრობის ჯარები

რევოლიუციონური ჯარები სვატოუს უახლოვდებიან

იაპონიის პრესა მიუღებლად სთვლის ინგლისის წინადადებას საზღვაო შეიარაღების შეზღუდვის შესახებ

მნიშვნელოვანი დადგენილება

ბიუროკრატიზმის, საქმის გაჭიანურების ძირ-ფესვიანად აღმოფხვრა მართვა-გამგეობის და მშენებლობის ყოველი დარგიდან — ეს ჩვენს ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს. საბჭოების გამოცოცხლების ლოზუნგი, მით ეხლა მიმდინარე საანგარიშო კამპანია, პროლეტარულ დემოკრატიის გატარების შემოწმება, რაც ამჟამად ხდება. აპარატის და წარმოების რაციონალიზაცია და მრავალი სხვა — ამ ამოცანის გადაჭრასაც ემსახურება.

ბიუროკრატიზმსა და საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლის თვალსაზრისით უაღრესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის ამას წინედ გამოქვეყნებულ დადგენილებასაც შრომის კონფლიქტების მოწესრიგების შესახებ. ბოლო დროს პრესაში და პროფესიულ ორგანიზაციების კრებებზე გაცხოველებული დისკუსია წარმოებდა ამ საკითხის გარშემო. ამ დისკუსიამ გამოხმაურება ჰპოვა ჩვენშიც. საერთოდ აღიარებულ იქნა ის ფაქტი, რომ შრომის კონფლიქტების გარჩევის დროს ადგილი აქვს საქმის დაუშვებელ გაჭიანურებას. ასახელებდნენ სხვადასხვა პრაქტიკულ ღონისძიებებს ასეთი მდგომარეობის მოსასპობად. ჩვენ მათ აქ არ შევეხებით, რამდენადაც ჩვენს გაზეთში ისინი საკმაოდ იყო გაშუქებული და რამდენადაც მუშათა და გლეხთა ინსპექციის ხსენებული დადგენილებით გადაჭრილად შეიძლება ჩაითვალოს შრომის კონფლიქტების მოგვარების საკითხი.

ამ დადგენილების მთავარი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ფართოვდება შრომითი კონფლიქტების გამრჩევ ქვედა ინსტანციების, პირველ ყოვლისა კი საკონფლიქტო-შემფასებელ კომისიების ფუნქციები და უფლებები. ამ კომისიების, როგორც ძირითად საკონფლიქტო ორგანოებს, სავალდებულო განხილვას ექვემდებარება ყველა კონფლიქტი და დავა, რომელიც დამქირავებელთა და მუშა-მოსამსახურეთა შორის შეიძლება წამოიჭრას კოლექტიური ხელშეკრულებათა, ან შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევის ნიადაგზე, აგრეთვე კონფლიქტები, რომელთა გადაწყვეტა დაკავშირებულია ცალკეულ წარმოების, დაწესებულების თუ მეურნეობის დარგის განსაკუთრებულ პირობებთან და თავისებურებასთან. სხვა სამუშაოზე გადაყვანა, ხელფასის მიცემა სამუშაოს გაცდენის დროს, ზედმეტ საათებში მუშაობა და სხვა ასეთი საკითხები, თუ მათ გარშემო კონფლიქტები წარმოიშვა, აუცილებლად იჭრება საკონფლიქტო-შემფასებელ კომისიებში. ამასთან აღსანიშნავი ის არის, რომ ამ კომისიების დადგენილებანი უმრავლეს შემთხვევაში საბოლოოა და არ შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს. სამუშაოდან დათხოვნის დროს მუშა-მოსამსახურეთ უფლება აქვთ საქმე გადასცენ საკონფლიქტო-შემფასებელ კომისიებს ან სასამართლო ორგანოებს.

გარდა ქვედა საკონფლიქტო ინსტანციების უფლებათა გაფართოებისა, ინსპექციის დადგენილება საგულისხმოა იმ მხრივაც, რომ ის აჩქარებს კონფლიქტების გარჩევას; კერძოდ საკონფლიქტო-შემფასებელ კომისიებს [illegible]ლებით შემოსულ განცხადების განხილვა სამი დღის განმავლობაში განცხადების შემოტანის დროიდან. საერთოდ დადგენილია მტკიცე და გარკვეული წესი საკონფლიქტო საქმეების გარჩევისა, რომელიც უზრუნველყოფს სიმალურ სისწრაფეს და საკასაციო საჩივრებათა უკიდურესად შემცირებას.

ინსპექციის დადგენილებას [illegible] არა ნაკლებ მნიშვნელოვანი მომენტი ისაა, რომ, საკონფლიქტო-შემფასებელ კომისიების გადაწყვეტილებების უსრულებლობის შემთხვევაში, ის [illegible]დება იძულებითი წესით სამოსამართლეო ორგანოების მიერ, როცა ამ კომისიის გადაწყვეტილებას დაადასტურებს შრომის კომისარიატის ორგანო, რომლებსაც, ამასთან, უფლება ეძლევათ, თუ საჭიროდ დაინახავენ, საკონფლიქტო-შემფასებელ კომისიის გადაწყვეტილების შეუსრულებლობაში დამნაშავენი მისცენ სისხლის სამართლის და მატერიალურ პასუხისგებაში.

ჩვენ ასე ვრცლად შევჩერდით მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის დადგენილებაზე იმიტომ, რომ ის ეხება უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს, რომლითაც დაინტერესებული არიან მთელი მუშათა მასები. ცალკე შრომითი კონფლიქტები ჩვენშიც იშვიათი მოვლენა არ არის. რა თქმა უნდა, ამ კონფლიქტებს სულ სხვა ხასიათი აქვთ, ვინემ შრომითი კონფლიქტებს კაპიტალისტურ ქვეყნებში. მაშინ, როცა იქ ასეთი კონფლიქტები მუდმივ არსებობენ და წარმოიშობიან შრომისა და კაპიტალის კლასიურ წინააღმდეგობათა ნიადაგზე და თითქმის გადაჭრის დროს სახელმწიფო კაპიტალის ინტერესებს იცავს, — ჩვენში კონფლიქტების ცალკე შემთხვევები კი მომდინარეობენ, ცხადია, არა ჩვენი სოციალურ-ეკონომიურ სისტემიდან, არამედ, პირიქით, ამ სისტემის ბიუროკრატიულ გადამახინჯებიდან, ამა თუ იმ სამეურნეო ორგანოს ადმინისტრაციის თუ (უფრო ნაკლებად) ჩამორჩენილ ცალკე მუშებისა ან მუშათა ცალკე ჯგუფების მხრით. ამასთან, პროლეტარული სახელმწიფო ყოველთვის იცავს მუშათა კანონიერ და სამართლიან ინტერესებს და მოთხოვნებს. სხვათა შორის, ინსპექციის ზევით მოყვანილი დადგენილება ამას საუკეთესოდ ადასტურებს.

ჩვენ მტკიცედ უნდა გავატაროთ ეს დადგენილება. ამით არა მარტო მუშის ინტერესები იქნება ზედმიწევნით დაცული, არამედ უფრო წარმატებით წავა სოციალისტურ მშენებლობის საქმეც, რამდენადაც შრომის კონფლიქტების ნიადაგზე ეხლა არსებული ბიუროკრატიზმი და საქმის გაჭიანურება დაბლა სწევს შრომის დისციპლინას, იწვევს სამუშაოს გაცდენას, და [illegible] წარმოება-დაწესებულებას საგრძნობ მატერიალურ ზიანს აყენებს. მაგრამ ამ დადგენილების სწორად და გადაუხვევლად გატარება კერძოდ მოითხოვს საკონფლიქტო-შემფასებელ კომისიების შემადგენლობის სათანადო შერჩევას და მათი მუშაობის გაუმჯობესებას, ვინაიდან მათ ახალი დადგენილება მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობებს აკისრებს. ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს.

შტრეზემანის განცხადება

საყოველთაო განიარაღების შესახებ

ბერლინი, 29 მარტი. უცხოეთის პრესის ბანკეტზე სიტყვა წარმოსთქვა შტრეზემანმა, რომელმაც განაცხადა, რომ საჭიროდ სთვლის განმარტოს გერმანიის ხალხის დამოკიდებულება განიარაღების საკითხისადმი. შტრეზემანმა კატეგორიულად უარყო უცხოეთის პრესის განცხადება, თითქოს გერმანიას სურს განიარაღების საქმის ჩაშლა, იმ მიზნით, რომ მიიღოს თავისუფალი შეიარაღების უფლება.

„თუ საზღვარ-გარეთის რომელიმე ხელმძღვანელ წრეებში ფიქრობენ, რომ გერმანიას აქვს რაიმე ფარული ზრახვები,— განაცხადა შტრეზემანმა, —არსებობს უბრალო საშუალება ამ განზრახვების დასარღვევად —სახელდობრ დაიწყება სერიოზული განიარაღების. მე დარწმუნებული ვარ, რომ განიარაღების პირველი ეტაპისათვის სავსებით რეალური პოლიტიკური პირობები არსებობს".

შემდეგ შტრეზემანს მოჰყავს ციტატები ლოკარნოს ხელშეკრულების ოქმიდან, რომელშიაც ნათქვამია, რომ „ლოკარნოს ხელშეკრულებანი, რომელთა მიზანია ერებს შორის მორალური ურთიერთობის გამწვავების შენელება, საუკეთესო საშუალებას წარმოადგენენ ერთა ლიგის წესდებით გათვალისწინებულ განიარაღების განხორციელებისათვის". შტრეზემანი აღნიშნავს, რომ ლოკარნოს ხელშეკრულებათა ოქმის სიტყვები საყოველთაო განიარაღების შესახებ ჯერ კიდევ მოკლებულია რეალურ შინაარსს.

„ჩვენ დღეს— ამბობს შტრეზემანი —უფრო დაშორებული ვართ მიზანს, ვინემ ოდესმე". შტრეზემანი მაინც აღნიშნავს, რომ ის განიარაღების საკითხს არ სთვლის საბოლოოდ დასამარებულად.

„ვერავინ ვერ უარყოფს,— ამბობს ის,— რომ გერმანიას უფლება აქვს მოითხოვოს საყოველთაო განიარაღება, რომელიც გათვალისწინებულია ყველა ხელშეკრულებებში და არა ერთხელ არის აღიარებული სხვა დიდ სახელმწიფოთა სახელმწიფო მოღვაწეების მიერ. თუ, მიუხედავად ეჭვისა და გულგატეხისა, მე ვლაპარაკობ იმედებისა და ნდობის შესახებ, ჩემი თვალი უწინარეს ყოვლისა მიმართულია ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების დიდ და ძლიერ ხალხისაკენ. მე მივესალმები აზრს საყოველთაო მშვიდობიანობის შესახებ და მივესალმები ევროპის სახელმწიფოებს შორის შეთანხმების მიღწევის ინიციატივას.

დასასრულ, იმის იმედს, რომ შემდეგში მოლაპარაკება უშედეგო არ იქნება, აცხოველებს საფრანგეთის პრემიერის მიერ ბორდოში წარმოთქმული სიტყვა. მიუხედავად კრიტიკისა, სკეპტიციზმისა და გულგატეხისა, მე არ შემიძლია მივატოვო იმედი, რომ საყოველთაო მშვიდობიანობის დიადი იდეა გაიმარჯვებს კაცობრიობის საკეთილდღეოდ". (ადს)

პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკება

კოვნო, 29 მარტი. 29 მარტს კენიგსბერგში პოლონეთის დელეგაციასთან მოსალაპარაკებლად გაემგზავრა ლიტვის დელეგაცია პრემ. ვოლდემარასის მეთაურობით. გამგზავრების წინ ვოლდემარასმა მიიღო გერმანიის ელჩი მორატი, რომელსაც ეთათბირა გერმანია-ლიტვის ეკონომიური ურთიერთობის მთელ რიგ საკითხებზე. იუწყებიან, რომ გერმანია-ლიტვის მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ დაიწყება აპრილში. (ადს)

ვარშავა, 29 მარტი. 29 მარტს კენიგსბერგში გაემგზავრა პოლონეთის დელეგაცია ლიტვის დელეგაციასთან მოსალაპარაკებლად. პოლონეთის დელეგაციას მეთაურობს საგარეო საქმეთა მინისტრი ზალესკი. (ადს)

ვოლდემარასი კენიგსბერგის მოლაპარაკების შესახებ

კოვნო, 29 მარტი. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს სპეციალურ კორესპონდენტთან საუბარში ვოლდემარასმა პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკების შესახებ განაცხადა, რომ კენიგსბერგში წარმოებული მოლაპარაკების უპირველეს ამოცანას შეადგენს გამორკვეულ იქნას ის, თუ როგორი წინადადებები აქვს პოლონეთს განსახილველი საკითხების შესახებ.

ვოლდემარასმა აღნიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს პოლონელების მიერ [illegible] დივერსიული ბანდებისათვის დამარცხების საკითხს და განაცხადა:

„ახლახან მე მივიღე ცნობა, რომ პოლონეთის ხელისუფლება მოითხოვს [illegible] გვამს, რომლებიც მოკლულ იქნენ დემარკაციულ ხაზზე [illegible]. ეს მოთხოვნილება შეიცავს იმის აღიარებას, რომ აქ საქმე ეხება არა პოლონეთის რეგულიარული არმიის ჯარისკაცებს, არამედ ვილენშჩინაში მოწყობილი დივერსიული ბანდების წევრებს, რომელთა მოქმედება მიმართულია ლიტვის წინააღმდეგ. ამიტომ პოლონეთის ხელისუფლების მოთხოვნილებას ამ თვალსაზრისით მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის".

შემდეგ ვოლდემარასმა განაცხადა, რომ საკითხი ამ [illegible] ანაზღაურების შესახებ, რომელიც ლიტვამ განაცხადა პოლონეთის [illegible], შეტანილია მოლაპარაკების პროგრამაში.

კორესპონდენტის შეკითხვაზე იმის შესახებ, თუ როგორ უყურებენ დიდი სახელმწიფოები პოლონეთ-ლიტვის დავას, ვოლდემარასმა უპასუხა, რომ „ერთა ლიგის დეკემბრის სესიაზე და აგრეთვე სხვა შემთხვევებში სახელმწიფოებმა პოლონეთ-ლიტვის დავის საკითხში გამოიყენეს როგორც მხოლოდ ერთა ლიგის წევრები და არა როგორც დიდი სახელმწიფოები. ლიტვის მთავრობა წინასწარ გაუწევს სათანადო წინააღმდეგობას იმას, თუ რომელიმე სახელმწიფოები მოისურვებენ [illegible] ასეთ საკითხში, რომელიც არ შედის ერთა ლიგის კომპეტენციაში" (ადს).

მემაღაროეთა დასახმარებლად

ლონდონი, 29 მარტი. ნოტინგემში შედგა ნოტინგემშირის ქვანახშირის რაიონის ყველა მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენელთა კონფერენცია. კონფერენციამ აირჩია კომიტეტი, რომელსაც დაევალა ფულის შეგროვება და პროპაგანდის გაწევა ნოტინგემშირის მემაღაროეთა დასახმარებლად, რომლებიც იბრძვიან სპენსერის აპოლიტიკურ კავშირისა და მეწარმეების წინააღმდეგ. წინადადება ამ კონფერენციის მოწვევის შესახებ პირველად წამოაყენეს კომუნისტებმა. იორკშირის ქვანახშირის რაიონში წარმოების რაციონალიზაციის ახალი სქემის ნაწილობრივ გამოყენების გამო უმუშევარ მემაღაროეთა რიცხვი ერთბაშად გაიზარდა 7.000 კაცით. მემაღაროეთა ფედერაციის მდივანი კუკი აცხადებს, რომ თუ ახალი სქემა მთლიანად იქნა გამოყენებული, სამი თვის შემდეგ უმუშევარ მემაღაროეთა რიცხვი გაიზრდება 25.000 კაცით, ნახევარი წლის შემდეგ კი 50.000-ით.

სამხედრო ავიაცია მუშების ხარჯზე

ვენა, 30 მარტი. კლოსტერნეიბურგში შრომის ინსპექტორმა წინადადება მისცა პროფკავშირებს [illegible] მონაწილეობა მიიღონ რუმინეთის სამხედრო ავიაციისათვის [illegible] შეკვეთაში. ინსპექტორმა მოითხოვა [illegible] და აგრეთვე განაცხადა, რომ მუშებმა 6 დღის განმავლობაში უნდა იმუშაონ ზედმეტი ორ-ორი საათი, [illegible] ავიაციის [illegible].

[illegible] პროფკავშირების წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს ამ მოთხოვნილების შესრულებაზე, რეფორმისტებმა კი განაცხადეს, რომ მათ უნდა მიიღონ დირექტივები კავშირების ცენტრალური კომიტეტისაგან (ადს).

ცუდათ დაფარული ნერვიულობა

ლონდონი, 29 მარტი. „დეილი ტელეგრაფი"-ს დიპლომატიური მიმომხილველი სწერს, რომ მისი ცნობა თითქოს ავღანისტანის ფადიშაჰმა უარი სთქვა საბჭოთა კავშირში გამგზავრებაზე უსაფუძვლო აღმოჩნდა. მიმომხილველი სწერს:

„მის უდიდებულესობას, რასაკვირველია, სურს მოიხადოს თავაზიანობის ვალი ავღანისტანის მეზობლების—საბჭოთა კავშირის, სპარსეთის და თურქეთის წინაშე. ინგლისის ოფიციალური წრეებისათვის გასაგებია ეს მოსაზრებები. და ყოვლად უსაფუძვლოა ის აზრი, თითქოს ინგლისის წრეები ავღანისტანის ფადიშაჰის გამგზავრებას მოსკოვში არ უყურებდენ სრული დამშვიდებით. ინგლისს არ ეშინია იმის, რომ ინგლისის პირობებს შეადარებენ საბჭოთა კავშირის სინამდვილეს". (ადს)

გერმანელ ტროცკისტების რიგები იშლება

ბერლინი, 29 მარტი. გერმანიის კომპარტიიდან ვებერის და რიზეს გამორიცხვის შემდეგ, ვედინგის ოპოზიციის რიგებში დაიწყო არევ-დარევა. ამ ჯგუფის ზოგიერთმა გამოჩენილმა მოღვაწეებმა გერმანიის კომპარტიის ცეკას და ბერლინის საოლქო კომიტეტს აცნობეს, რომ ისინი გადაჭრით ეწინააღმდეგებიან ვებერის და რიზეს მიერ აღებულ კურსს, რომელიც მოითხოვს მასლოვის ორგანიზაციასთან თანამშრომლობას.

დასასრულ ვედინგის ოპოზიციის მოღვაწენი აცხადებენ, რომ მათ არაფერი საერთო არა აქვთ რუთ ფიშერთან. (ადს)

გლეხთა მოძრაობა საბერძნეთში

ათინა, 29 მარტი. გლეხთა მოძრაობა, რომელიც კუნძულ კრიტზე დაიწყო გადასახადების აკრეფის ნიადაგზე მოედო აგრეთვე საბერძნეთის სხვა ადგილებსაც— ფესალიას და პელოპონესის, რომლებიც კონსერვატიზმის ციხესიმაგრეთ ითვლებოდენ. კრიტის პროფკავშირებმა გამოაქვეყნეს დეკლარაცია, რომელშიაც სოლიდარობას უცხადებენ გლეხობას. ამასთან დაკავშირებით დააპატიმრეს ზოგიერთი პროფმუშაკები. (ადს)

მდგომარეობა ჩინეთში

კომუნისტური მოძრაობა გუანდუნში

ლონდონი, 29 მარტი. „დეილი მეილ"-ის გონკონგელი კორესპონდენტის ცნობით, გუანდუნის პროვინციაში— სვატოუს რაიონში— კომუნისტურმა ჯარებმა დაამარცხეს კანტონის მთავრობის ჯარები. მთავრობის ჯარების ნაწილი შეუერთდა კომუნისტებს. კომუნისტური არმია აპირებს სვატოუს დაკავებას.

პეკინი, 29 მარტი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, გუანდუნის პროვინციაში კომუნისტურმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი გუილაი, სვატოუდან 45 კილომეტრის მანძილზე. სააგენტოს სიტყვით, კომუნისტური რაზმები ემუქრებიან სვატოუს. (ადს)

აჯანყება ნანკინის ჯარებში

ტოკიო, 29 მარტი. „ხოჩი" იუწყება შანხაიდან, რომ ნანკინის ჯარების მე-36 კორპუსი, რომელიც დაბანაკებული იყო [illegible] პროვინციაში, აჯანყდა იმის გამო, რომ ჩან-კაი-შიმ უბრძანა კორპუსს ჩრდილოეთის ლაშქრობაში გასვლა. ნანკინის მთავრობის სამხედრო საბჭომ უბრძანა [illegible] კორპუსს გაილაშქროს იმ ჯარების წინააღმდეგ, რომლებმაც დაარღვიეს დისციპლინა (ადს).

თეთრგვარდიელთა დასახლება გირინის პროვინციაში

ტოკიო, 29 მარტი. რენგოს სააგენტოს ცნობით, მუკდენის ხელისუფლებამ ნება დართო ატამან სემიონოვს იყიდოს ადგილ-მამულები გირინის პროვინციაში თეთრგვარდიელთა დასახლების მიზნით. ჩან-ცზო-ლინმა განკარგულება მისცა გირინის ხელისუფლებას დახმარება აღმოუჩინოს სემიონოვს (ადს).

იაპონიის ესკადრა ჩინეთის წყლებში

ტოკიო, 29 მარტი. იაპონიის ესკადრა რამდენიმე ათეულ გემის შემადგენლობით გაემართა ჩინეთის წყლებისაკენ. ესკადრა ეწვევა ჩრდილოეთ და სამხრეთ ჩინეთის ნავსადგურებს და აგრეთვე ჰონკონგს, სადაც იმყოფება ინგლისის ესკადრა. მიუხედავად იმისა, რომ ესკადრა შედგება [illegible] გემებისაგან, ინგლისელები უარყოფენ ვიზიტის პოლიტიკურ მნიშვნელობას (ადს).

იაპონია და საზღვაო შეიარაღების შეზღუდვა

ტოკიო, 29 მარტი. იაპონიის გაზეთების უმრავლესობა მკაცრად აკრიტიკებს ინგლისის წინადადებებს საზღვაო შეიარაღების შეზღუდვის საკითხის შესახებ. პრესა აღნიშნავს, რომ ინგლისელების მიერ წარმოდგენილი წინადადებები პრაქტიკული თვალსაზრისით ცალმხრივია და სასარგებლოა მხოლოდ ინგლისისათვის. როგორც პრესა იუწყება, ოფიციალური წრეებში თანაგრძნობით არ ხვდებიან ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების წინადადებას საზღვაო შეიარაღების შეზღუდვის კონფერენციის 1931 წელს ტოკიოში მოწვევის შესახებ. ოფიციალურ წრეებში აღნიშნავენ, რომ 1931 წლამდე ჯერ კიდევ შორსაა, ამიტომ ეხლა ძნელია ამაზე რაიმეს თქმა. (ადს)

გერმანიის კომპარტიის ცეკას პროცესი

ბერლინი, 29 მარტი. „კომუნისტური ცეკას" პროცესი (გერმანიის კომპარტიის მთელ რიგ წარმომადგენლებს ბრალდებათ კომუნისტური მუშაობა 1923 წელში) დანიშნულია 9 მაისს ლეიპციგში. პროცესი არა ერთხელ გადაიდო, ვინაიდან პასუხისგებაში მიცემული რეიხსტაგის და პრუსიის ლანდტაგის დეპუტატები, სარგებლობდენ რა დეპუტატის ხელშეუხებლობით, არ ცხადდებოდენ სასამართლოში. ამჟამად პროკურატურას განზრახული აქვს რეიხსტაგის დათხოვნის შემდეგ დააპატიმროს 6 ბრალდებული დეპუტატი (რეიხსტაგის) შტეკერი, კენენი, რემელი, შვეიცერი, გერინგი და გუკერდი, რისთვისაც რეიხსტაგი თანახმაა. პირიქით, პრუსიის ლანდტაგმა უარყო პროკურატურის მოთხოვნილება დეპუტატ პიკისა და ებერლეინისათვის დეპუტატის ხელშეუხებლობის უფლების წართმევის შესახებ. (ადს)

სამომხმარებლო კოოპერაცია და საპაიო თანხის გადიდების კამპანია

II

წინა წერილში (იხ. „კომუნისტი" № 74) ჩვენ გვქონდა ლაპარაკი საპაიო თანხების გადიდების კამპანიის ამოცანებზე და მასთან დაკავშირებით სააგიტაციო-საპროპაგანდო და კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის მნიშვნელობაზე. ამ წერილში შევჩერდებით ამ მუშაობის გეგმისა და ფორმებზე.

გეგმიანობა აუცილებელი პირობაა ყოველგვარ მუშაობის წარმატებისათვის. მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა იქ, სადაც რამდენიმე ორგანიზაცია გამოდის ერთი და იმავე საქმის გასაკეთებლად. საპაიო თანხის გადიდების კამპანია და მასთან დაკავშირებული კულტურულ-განმანათლებელი და სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა როდია მარტო ერთი რომელიმე ორგანიზაციის საქმე. ის წარმოადგენს საქმეს მთელი რიგი ორგანიზაციებისას, როგორიცაა— პარტია, ა. ლ. კ. კ., მ. და გლ. ქალთა შორის მომუშავე განყოფილებანი, პროფკავშირების კულტგანყოფილებანი, საბჭოები, პოლიტგანათლების ორგანოები, სკოლები, კოოპერაციის კულტგანყოფილებანი და სხვა კულტურული დაწესებულებანი. კამპანიის წარმატება მოითხოვს ყველა აქ ჩამოთვლილ ორგანიზაციების გეგმიან და შეთანხმებულ მუშაობას. საერთო ხელმძღვანელობა, რასაკვირველია, პარტიულ ორგანოების საქმეა და მათ ხელში უნდა დარჩეს. პარტიის შემდეგ მთელი მუშაობის უნდა მოექცეს თავი ორ ცენტრში— პროფკავშირების კულტგანყოფილებებში და პოლიტგანათლების ორგანოებში. თემებსა და სოფლებში ასეთ ცენტრათ უნდა გავხადოთ სამკითხველოები. პროფკავშირების კულტგანყოფილებებმა ყველა თავის ქვემდებარე დაწესებულებებს და ორგანიზაციებს უნდა დაამუშავებინონ კამპანიის ჩატარების გეგმა და შეათანხმონ ის ერთმანეთთან. ასევე უნდა მოიქცნენ პოლიტგანათლების ორგანოებიც. პარტიულმა ორგანოებმა ყველა გეგმები უნდა შეათანხმონ ერთმანეთთან, უნდა უზრუნველყონ ყველა ორგანიზაციები მომზადებული მომხსენებლებით, მოხსენებათა თეზისებით, ლიტერატურით და ამნაირად შეუდგნენ მუშაობას. ამ შემთხვევაშიაც, როგორც ყოველთვის, არ უნდა დავივიწყოთ ერთი გარემოება: კომპარტიის და კომკავშირის ორგანიზაციების შეგნებული დამოკიდებულება ამ კამპანიისადმი უმთავრესად განსაზღვრავს მის შედეგებს. არ უნდა დარჩეს პარტიის და კომკავშირის არცერთი უჯრედი, სადაც არ იქნება განხილული ამ კამპანიასთან დაკავშირებული ყველა საკითხები. არ უნდა დარჩეს პარტიის არცერთი წევრი და დამოუკიდებელი მეურნეობის მქონე კომკავშირის წევრი, რომელიც არ იქნება იმავე დროს კოოპერაციის წევრიც და არ შეავსებს საპაიო გადასახადის ახალ ნორმას. კოოპერაცია სოფლად გზაა სოციალიზმისაკენ, და ცუდი იქნება ის კომუნისტი და კომკავშირელი, რომელიც კოოპერაციის წევრობით თვითონ ფეხით მტკიცედ არ დაადგება ამ გზას. დროა ყველამ გაიგოს, რომ პარტიის და კომკავშირის წევრობა სავალდებულოთ ხდის კოოპერაციის წევრობასაც. ჩვენ აქ ვერ გავანთავისუფლებთ სათანადო მოვალეობიდან კომკავშირის იმ წევრებს, რომელთაც არა აქვთ დამოუკიდებელი მეურნეობა— ასეთები კი უმრავლესობას შეადგენენ. მათ უნდა მოახდინონ გავლენა თავიანთ მშობლებზე და ოჯახის მოზრდილ წევრებზე, რომ ისინი გახდენ კოოპერაციის წევრნი და რითაც მათ შეავსონ საპაიო გადასახადი.

კამპანიის წარმატება მოითხოვს, გარდა ამისა, რომ ყოველმა მუშამ და გლეხმა გაიგოს ჩვენი პარტიის სიტყვა კოოპერაციისა და ამ კამპანიაზე. ჩვენ ვატარებთ სხვა და სხვა მნიშვნელოვან კამპანიას, მაგრამ ხშირად ბევრნი, ზოგჯერ უმრავლესობა, ვერ იგებს, თუ რაშია საქმე. ეს ხდება უმთავრესად იმიტომ, რომ ჩვენ ერთხელ ჩავატარებთ კრებებს, ისიც თემის ცენტრებში, სადაც ყველა ვერ აღწევს მოსვლას, და კამპანიას ესთვლით მოთავებულად. კამპანიის ასეთ შინაარსს ჩვენ შეიძლება ვუწოდოთ „მფრინავი" აგიტაცია, რაც დღეს სრულებით არაა დამაკმაყოფილებელი. ასეთ პრაქტიკას თავი უნდა დავანებოთ. დროა კამპანიაში აგიტაციაზე მეტი ადგილი დავუთმოთ პროპაგანდას. ამისათვის დრო უკვე დამდგარია და მოსახლეობაც სავსებით მომწიფებულია. ჩვენ კრებები უნდა მოვიწვიოთ არა თემის ცენტრებში მიტინგებისათვის, არამედ სოფლებში, კუთხეებათ, არა ერთხელ, არამედ რამდენიმეჯერ, და იქ უნდა ვმართოთ საუბრები წინდაწინ გათვალისწინებულ საკითხებზე. თემის ცენტრში ერთხელ კრების მოწვევა უფრო ძნელია, ვინემ კუთხეებათ ორჯერ და სამჯერ. კულტურული ძალები საუბრების გასამართავათ ახლა ჩვენ მოგვეპოვება საკმაო რაოდენობით. გარდა ამისა, საუბრების გასამართავათ უნდა გამოვიყენოთ ყველა ის ადგილები (სამკითხველო, კოოპერატივი, წისქვილი, ბაზრები, ტირილი, ქორწილი, ნათლობა და სხვა), სადაც მოსახლეობა იყრის თავს. ამ ადგილების ინიციატივისათვის ფართო ასპარეზია გაშლილი და ამ ასპარეზის გამოყენება მათ უნარიანობაზეა დამოკიდებული.

საპაიო კამპანიის მთავარი მიზანია საპაიო თანხების გადიდება და კოოპერაციაში ახალი წევრების მიზიდვა. მაგრამ ჩვენ მარტო ამ მიზნის მიღწევით არ უნდა დავკმაყოფილდეთ ამ კამპანიის ჩატარების დროს. საჭიროა მუშებს და გლეხებს განემარტოს მთელი ჩვენი სამეურნეო პოლიტიკა. საჭიროა ფართოთ, დაწვრილებით და ყოველმხრივ იქნეს გაშუქებული მუშების და გლეხების წინაშე კოოპერატიული საკითხები. საპაიო კამპანია უნდა გადაიქცეს ფართო კოოპერატიული პროპაგანდის კამპანიათ, რომლის შედეგათ ჩვენ უნდა მივიღოთ არამც თუ რამდენიმე ათი ათასი ახალი წევრი და წევრთა სრული პაები, არამედ კოოპერატიული შეგნების თვალსაზრისით რამდენიმე საფეხურზე უფრო მაღლა, ვინემ ეხლა, მდგომი კოოპერატიულად გაერთიანებული მოსახლეობა. კამპანიის წარმატება კიდევ ბევრათ დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენათ ჩვენ აგიტაცია-პროპაგანდას განყენებული ფორმის ნაცვლად მივცემთ კონკრეტულ ფორმას. რასაკვირველია, საჭიროა ლაპარაკი საერთოთ კოოპერაციაზე, მის მნიშვნელობაზე, მის საერთო მიღწევებზე. მაგრამ ამით საკითხი არ უნდა ამოიწუროს. საჭიროა ადგილობრივი კოოპერატივის მუშაობით, სხვა და სხვა საგანზე კოოპერაციის ფასების შედარებით კერძო ვაჭრობის ფასებთან, გამოანგარიშებით იმ ეკონომიის, რომელსაც მუშა, ან გლეხი ღებულობს შაქარზე, ჩითზე, ლურსმანზე, საპონზე, მარილზე და სხვა საგნებზე კოოპერაციის საშუალებით,— დავარწმუნოთ მუშები, მოსამსახურეები და გლეხები იმაში, რომ კოოპერაცია მათი ოჯახია, მათი სალაროა, მათი საუნჯეა და ის რამდენიმე თვეში მეტს ეკონომიას მისცემს მათ, ვინემ საპაიო გადასახადია. საჭიროა ადგილობრივ მაგალითებზე დავარწმუნოთ მუშები და გლეხები, რომ ის მანეთები, რომელიც მათ უნდა შეიტანონ კოოპერაციაში საპაიო გადასახადის სახით, მათ არ ეკარგებათ, არამედ ენახებათ იქ, და, გარდა ამისა, სულ მოკლე ხანში კოოპერატივებიდან შეძენილ საქონელზე ეკონომიის სახით დაუბრუნდებათ უკანვე.

საჭიროა, ისევ ადგილობრივ მაგალითებზე დავარწმუნოთ ისინი, რომ ეს ეკონომია იმდენათ მეტი იქნება, რამდენათ მეტი საკუთარი თანხა ექნება კოოპერაციას და რამდენათ მეტი საქონლის შეძენას შესძლებს ის ამ თანხით.

ასეთი უნდა იყოს საერთოდ აგიტაცია-პროპაგანდის და კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის გეგმა და ფორმები საპაიო კამპანიასთან დაკავშირებით. ამ საერთო მითითებაზე აგებული ადგილობრივი დაწვრილებით დამუშავებული გეგმა და მისი სისწორით გატარება კამპანიის სრული წარმატების და მის წინაშე მდგარი ამოცანების განხორციელების უტყუარი თავდებია.

ს. მამულია.

საბჭოთა დაკვეთები

ამერიკაში

ნიუ-იორკი, 29 მარტი. „ამტორგ"-მა გამოაქვეყნა ანგარიში, რომლის თანახმად 1928 წლის 1 [illegible] საბჭოთა სამეურნეო ორგანიზაციებმა მისცეს ამერიკის მრეწველობას 110.777.000 დოლარამდე ღირებული დაკვეთები, რაც შეადგენს 3 მილიონის მომატებას წინა კვარტალთან შედარებით (ადს).

უნგრელ კომუნისტების

გაძევება თურქეთიდან

ანგორა, 29 მარტი. [illegible] ხელისუფლებამ გასცა განკარგულება თურქეთიდან 30 უნგრელ ემიგრანტის გაძევების შესახებ. მათ ბრალდება კომუნისტური პროპაგანდის წარმოება [illegible] მუშებს შორის. გაძევებულებმა გადასწყვიტეს გაემგზავრონ საბჭოთა კავშირში (ადს).

მუსოლინი „არღვევს"

საზავო ხელშეკრულებებს

პარიზი, 29 მარტი. პრესა ეხება იმ განცხადებას, რომელიც გააკეთა მუსოლინიმ ლორდ როტერმირთან საუბარში (ლორდი როტერმირი არის ინგლისის იმ ჯგუფის [illegible] მეთაური, რომელიც აწარმოებს კამპანიას უნგრეთის საზღვრების გადასინჯვის შესახებ) უნგრეთის საზღვრების გადასინჯვის სასარგებლოდ. პრესა უკმაყოფილებას გამოსთქვამს მუსოლინის განცხადების გამო და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მუსოლინის თვალსაზრისი არღვევს საზავო ხელშეკრულებებს (ადს).

ამერიკა და მექსიკა

ვაშინგტონი, 29 მარტი. ვაშინგტონის ოფიციალურ წრეებში აღნიშნავენ, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო უცხოელთა კუთვნილი მიწების საკითხში ისეთსავე დათმობას მოითხოვს მექსიკისაგან, როგორც მიიღო ნავთიანი მიწების საკითხში (ადს).

უკანასკნელი ცნობები

პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკების წინ

კენიგსბერგი, 30 მარტი. კენიგსბერგში ჩამოვიდა პოლონეთის დელეგაცია ზალესკის მეთაურობით ლიტვასთან მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებათ. პოლონეთისა და ლიტვის დელეგაციებს შორის სწარმოებს აზრთა წინასწარი გაცვლა-გამოცვლა მოლაპარაკების პროგრამის შესახებ. ჯერ-ჯერობით ამ საკითხზე არავითარი გარკვეული შედეგები არაა მიღწეული.

მაშინ, როდესაც ვოლდემარასმა რამდენჯერმე განაცხადა პრესის წარმომადგენლებთან, რომ მოლაპარაკების მიმართულება სავსებით დამოკიდებულია იმ წინადადებებზე, რომელთაც პოლონეთის წარმომადგენლები გამოიტანენ,—ზალესკიმ უარი განაცხადა პრესის წარმომადგენლების მიღებაზე ვოლდემარასთან კონტაქტის დამყარებამდე (ადს).

ამხ. შტეკერის გამოსვლა რეიხსტაგში

ბერლინი, 30 მარტი. გუშინ რეიხსტაგში გამართულ საერთო პოლიტიკურ კამათში გამოსულმა კომუნისტმა-დეპუტატმა შტეკერმა განაცხადა:

—„ბურჟუაზიული ბლოკი წარმოადგენს ტრესტებით გაერთიანებულ კაპიტალისა და მემამულეების კლასიურ ბატონობის ყველაზე უფრო ცუდ ფორმას. მშრომელთა მოთხოვნილებებს, ბურჟუაზიულმა ბლოკმა დაუპირისპირა [illegible] წესი კაპიტალისტური მოგების უზრუნველსაყოფად მრეწველობის მთელ რიგ დარგებში შემოღებულია 10 საათის სამუშაო დღე. მემაღაროე მუშებისათვის მოსპეს ყოველკვირეული დასასვენებელი დღეები, ხოლო პურის მცხობელებს საშუალება არა აქვთ ღამე დაიძინონ".

დასასრულ, ორატორი აცხადებს: კომუნისტური პარტია რაზმავს მშრომელებს კაპიტალის დიქტატურის და ფაშისტებისა და რეფორმისტების ლაქიების წინააღმდეგ საბრძოლველად, მატერიალური კაპიტალიზმის დასამხობათ და მუშათა და გლეხთა მთავრობის შესაქმნელად (ადს).

ხელჩართული ბრძოლა რეიხსტაგში

ბერლინი, 30 მარტი. გუშინ, იუსტიციის სამინისტროს ბიუჯეტის გარშემო გამართულ კამათში გამოსულმა კომუნისტმა დეპუტატმა ხელლეინმა ნიღაბი ახადა სოციალ-დემოკრატების პარტიას, რომლებიც ამტკიცებენ, რომ თითქოს მათ არ შეუძლიათ მხარი დაუჭირონ მემარჯვენე ტერორისტულ ორგანიზაციების მონაწილეთა ამნისტიას, თუმცა უამისოდ შეუძლებელი გახდება იმ 328 მუშის განთავისუფლება, რომლებიც სხედან ციხეებში სხვადასხვა პოლიტიკური საქმეების გამო. ხელლეინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სოციალ-დემოკრატი მინისტრები და სოციალ-დემოკრატიული მთავრობის თანამდებობათა პირები, თავის დროზე სრულებითაც არ სდევნიდენ მემარჯვენე ტერორისტულ ორგანიზაციებს. ეს კიდევ ცოტაა. სოციალ-დემოკრატები უშუალოდ მონაწილეობდენ აშკარა კონტრრევოლიუციონურ ტერორისტულ აქტებში, როგორიც იყო კარლ ლიბკნეხტის და როზა ლუქსემბურგის მოკვლა და მემარჯვენე ორგანიზაციების ტერორისტული აქტები ზემო სილეზიაში.

ხელლეინის საპასუხოდ გამოვიდა სოც.-დემოკრატი დეპუტატი ლანდსბერგი, რომლის სიტყვის დროსაც მეორე სოც.-დემოკრატმა დეპუტატმა კუნსტლერმა მოულოდნელად გაარტყა თავის ადგილიდან გაშურებულ ხელლეინს. ამან გამოიწვია დარბაზში საშინელი არევ-დარევა, გაიმართა ხელჩართული ბრძოლა სოციალ-დემოკრატებსა და კომუნისტებს შორის. თუმცა შეტაკება გამოწვეული იყო სოციალ-დემოკრატების მიერ, მაგრამ მიუხედავად ამისა რეიხსტაგის თავმჯდომარემ, სოც.-დემოკრატმა ლებემ ინციდენტში დამნაშავეთ გამოიყვანა კომუნისტი-დეპუტატი იადაში, რომელსაც წინადადება მისცა დაუყოვნებლივ დაეტოვებია დარბაზი. იმის გამო, რომ იადაში არ დაემორჩილა თავმჯდომარის განკარგულებას—იგი გარიცხულია 8 სხდომიდან.

შეტაკების დროს კომუნისტი ბერტელი მსუბუქად დასჭრეს თავში (ადს).

პროფინტერნის კონგრესი

ამხ. გელერის მოხსენება

მოსკოვი, 30 მარტი. 28 მარტს, პროფინტერნის კონგრესის დილის სხდომამ მოისმინა ამხ. გელერის მოხსენება კოლონიალური და ნახევრად კოლონიალური ქვეყნების პროფესიონალური მოძრაობის შესახებ. მომხსენებელმა განმარტა ის პირობები, რომლებშიაც ამ ქვეყნების მუშათა მოძრაობა ვითარდება. იმპერიალისტები გამსაღებელი ბაზრების ძიებაში უფრო და უფრო მძლავრად მიისწრაფიან კოლონიებისაკენ. შრომის პირობები თანდათან მძიმდება. სხვადასხვა კოლონიებში მოსახლეობა კლებულობს. დასავლეთ აფრიკის სანაპიროზე 1.000 კაცზე წლის განმავლობაში 100 კაცი კვდება. ინდუსტრიალიზაცია კოლონიებში დაბლა სწევს მშრომელთა საცხოვრებელ დონეს. კაპიტალის შეტევა გაფიცვებს იწვევს, მაგრამ ამსტერდამის ინტერნაციონალი ამ ბრძოლის ზურგს არ უმაგრებს. ყველაზე მკაცრი სახე კაპიტალის შეტევამ მიიღო ჩინეთში, სადაც მუშათა მოძრაობა ძალღონეს იკრებს და ორგანიზაციულად ძლიერდება. სხვანაირად არის საქმე ინდოეთში. სამ მილიონ მუშიდან შეკავშირებულია მხოლოდ 300.000 კაცი. მაგრამ მუშათა მოძრაობის მემარცხენე ფრთის გავლენა წლიდან-წლამდე იზრდება. ფილიპინის კუნძულებზე მოძრაობა დაქსაქსულია. წარმოების დაწყებული რაციონალიზაცია მუშათა მოძრაობას მარცხნივ მიაქანებს. შრომის კონგრესი ახლახან შეუერთდა პროფმოძრაობის წყნარ ოკეანის სამდივნოს.

შემდეგ მომხსენებელი ლაპარაკობს ინდონეზიის, კორეის, თურქეთის, ეგვიპტის და სპარსეთის პროფმოძრაობის მდგომარეობის შესახებ. ამ ქვეყნებში პროფესიონალური მოძრაობის განვითარება მხოლოდ ახლა იწყება და მას დიდი დაბრკოლებანი ელობება წინ. პროფინტერნის მომხრეებმა მუშაობა უნდა გააძლიერონ და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ პროფმოძრაობის ორგანიზაციულ მხარეს.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი.

მოსკოვი, 30 მარტი. 28 მარტს, [illegible] სხდომა გრძელდებოდა კამათით კოლონიალური და ნახევრად კოლონიალური ქვეყნების პროფესიონალური მოძრაობის მდგომარეობის შესახებ. კამათში მონაწილეობა მიიღეს ჩინეთის, ინგლისის და გვადელუპის წარმომადგენლებმა. კონგრესმა აღნიშნა ორმოცდაათი წლის შესრულება ლოზოვსკის დაბადების დღიდან. მონმუსომ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც მან დაახასიათა ლოზოვსკი, როგორც რევოლიუციონერი და პროფინტერნის გენერალური მდივანი. (ადს).

---

*) ვათავსებთ სხდომის ვრცელ ანგარიშს, რომელიც გუშინ მოკლედ იყო დაბეჭდილი.

ინტერვიუ დაშინსკისთან

ვარშავა, 29 მარტი. სეიმის თავმჯდომარემ დაშინსკიმ ჟურნალისტებს მიუთითა იმ სიძნელეებზე, რომლებიც დაკავშირებულია სეიმის თავმჯდომარის პოსტთან.

„მაისის ამბების შემდეგ,— განაცხადა დაშინსკიმ,— პოლონეთში მოქმედებს დიქტატურა მარშალ პილსუდსკის სახით. მეორეს მხრით, არსებობს ნებისყოფა, რომელსაც გამოხატავს საყოველთაო ხმის მიცემით არჩეული სეიმი. საჭიროა ამ ფაქტების შეთანხმება. მე, როგორც სეიმის თავმჯდომარე, ხელს შევუწყობ ამას. (ადს)

რევოლიუციონური გზით

პრაღა, 30 მარტი. გაერთიანებული საპროტესტო კრება, რომელიც დანიშნული იყო პროფკავშირთა ორივე გაერთიანების მიერ წინააღმდეგ მთავრობის კანონპროექტისა სოციალურ დაზღვევის შესახებ, უკანასკნელ წუთში აკრძალა პოლიციამ. კრების მოწვევის მომენტისათვის მთელს პრაღაში დადიოდენ პოლიციის პატრულები და ჟანდარმები. ქალაქის მუშური გარეუბნები მოწყვეტილი იყო ქალაქის ცენტრალური ნაწილს. იმ ადგილს, სადაც დანიშნული იყო კრება, ალყა შემოარტყეს პოლიციის ძლიერმა რაზმებმა, მაგრამ 10.000 მუშამ მაინც შესძლო პოლიციელების წრის გარღვევა. მიუხედავად ყველა დაბრკოლებებისა, კრება შედგა. ქალაქის სხვადასხვა ნაწილებში მოხდა შეტაკება პოლიციასთან. შეტაკების დროს დაიჭრა რამოდენიმე მუშა, მათ შორის ოთხი მძიმედ არის დაჭრილი (ადს).

კათოლიკების აჯანყება

მექსიკაში

ნიუ-იორკი, 29 მარტი. მექსიკოდან მიღებული ცნობებით, გუანახუატოს შტატში კათოლიკები აუჯანყდენ კალესის მთავრობას. სამხედრო ხელისუფლების ცნობით აჯანყება ჩაქრობილია ორი დღის სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ. მთავრობის ჯარებმა მოკლეს 25 აჯანყებული, დასჭრეს—40, ტყვედ წაიყვანეს —47.

ამნისტია უარყვეს

ბერლინი, 29 მარტი. 15 ხმის უმრავლესობით 12-ის წინააღმდეგ რეიხსტაგის იურიდიულმა კომისიამ საბოლოოდ უარყო კანონპროექტი ამნისტიის შესახებ. ასეთი შედეგი უნდა მიეწეროს სოციალ-დემოკრატების ორი აზროვან ტაქტიკას. (ადს)

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

მეცნიერების მუშაკთა მიმართვა გორკისადმი

მოსკოვი, 30 მარტი. გუშინ მოსკოვის [illegible] სახელმწიფო უნივერსიტეტში მეცნიერთა სექციის ინიციატივით შედგა დიდი ლიტერატურული საღამო, რომელსაც დაესწრო მოსკოვის ცნობილ მეცნიერთა უმრავლესობა, სტუდენტობა და მრავალი კულტურული მუშაკი.

საღამოს ოფიციალურ ნაწილში გორკის მხატვრული და რევოლიუციონური დამსახურების შესახებ სიტყვები წარმოსთქვეს რუსეთის ჯანმრთელობის სახალხო კომისარმა ამხ. სემაშკომ, საკულინმა, კუზნეცოვმა და სხვებმა.

კრებამ მოსკოვის მეცნიერთა სახელით მისალმება გაუგზავნა მაქსიმ გორკის.

პროფინტერნის კონგრესი ამხ. ლოზოვსკის

მოსკოვი, 30 მარტი. პროფინტერნის კონგრესმა მისასალმებელი სიტყვებით აღნიშნა და ოვაციები გაუმართა ამხ. ა. ლოზოვსკის, მისი დაბადებიდან 50 წლის შესრულების გამო.

ველოსიპედების ქარხანა

მოსკოვი, 30 მარტი. მოსკოვის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გადაწყვეტილებით უკვე შეუდგენ ველოსიპედების დამამზადებელ დიდი ქარხნის აგებას.

პოეტების ოლიმპიადა

მოსკოვი, 30 მარტი. შაბათს, 31 მარტს, მოსკოვში იწყება პოეტების ოლიმპიადა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ პოეტების ყველა დაჯგუფებანი და ცალკე ერთეული პოეტებიც.

დირიჟორი ანტისემიტი

მოსკოვი, 30 მარტი. უკანასკნელ ხანებში მოსკოვის დიდ აკადემიურ საოპერო თეატრში ადგილი ჰქონდა საბჭოთა საზოგადოებრიობისათვის მიუღებელ გამოსვლებს. ამ დღეებში, სხვათა შორის, დიდი საოპერო თეატრის დირიჟორი გოლოვანოვმა „თავი ისახელა" ნიჭიერ ებრაელ მსახიობების წინააღმდეგ უხეში შოვინისტური გამოსვლებით.

მოსკოვის თეატრის მუშაკები აღშფოთებულნი არიან გოლოვანოვის დაუშვებელი საქციელით, რაიც ჩირქს სცხებს საბჭოთა სცენის მუშაკების მაღალ სახელს.

გოლოვანოვის ინციდენტი, სხვათა შორის, საბაბად გადაიქცა იმისათვის, რომ მთელ რიგ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ხმა ამოეღოთ მოსკოვის დიდ სახელმწიფო თეატრში შექმნილ ყოვლად დაუშვებელ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

გადაწყვეტილია სცენის მუშაკებთან ახლოს მდგომ საზოგადოებრივ ორგანიზაციებმა მოახდინონ მოსკოვის დიდ სახელმწიფო თეატრში არსებულ პირობების სასწრაფო გამოკვლევა.

საბჭოთა კავშირში

რ უ ს ე თ ი

განათლების მუშაკთა კავშირის ცეკას დეპეშა მ. გორკის

მოსკოვი, 30 მარტი. განათლების მუშაკთა კავშირის ცეკამ მაქსიმ გორკის გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია: „შრომისა, მეცნიერებისა და კულტურის მომღერალს საბჭოთა ქვეყანაში ყველა იცნობს, იგი უყვარს ყოველ სახალხო მასწავლებელს, ყოველ შრომის სკოლას. გაძლიერებული ტემპით ვაწარმოებთ შეტევას სიბნელისა და გაუნათლებლობის წინააღმდეგ. ჩვენი სურვილია მალე გიხილოთ საბჭოთა კავშირში ჯანსაღი, მხნე—ჩვენი მშენებლობის უშუალო მონაწილე (ადს).

სპარსული თუმნების დამზადება საბჭოთა კავშირში

ლენინგრადი, 30 მარტი. ზარაფხანამ დაამზადა 1 მილიონი სპარსული თუმანი. სულ უნდა დამზადდეს 3 მილიონი თუმანი (ადს).

საერთაშორისო თეატრალური ოლიმპიადა

მოსკოვი, 30 მარტი. მოსკოვში ჩამოვიდა პარიზის თეატრ „ოდეონ“-ის დირექტორი ჟემიე, იმ მიზნით, რომ გამართოს მოლაპარაკება სათანადო ორგანოებთან საბჭოთა კავშირში ინტერნაციონალური თეატრალური ასოციაციის სექციის მოსაწყობად. ინტერნაციონალური თეატრალური ასოციაცია აერთიანებს ყველა ქვეყნის არტისტებს. ჟემიეს განზრახული აქვს აგრეთვე მოიწვიოს ერთ-ერთი საბჭოთა თეატრი ოლიმპიადაზე, რომელიც წელს იმართება პარიზში (ადს).

1.500 ცრუკოოპერატივი

ლენინგრადი, 30 მარტი. პროკურატურამ ჩაატარა კოოპერატივების გამოკვლევა. აღმოჩნდა, რომ ლენინგრადში არის 1.500 ცრუკოოპერატივი. (ადს).

სესხის იძულებითი გავრცელების წინააღმდეგ

ლენინგრადი, 30 მარტი. ლენინგრადის ოლქის საფოსტო კანტორებში ადგილი ჰქონდა ფოსტა-ტელეგრაფის აგენტების მიერ საგლეხო სესხის ობლიგაციების იძულებით გაყიდვის რამოდენიმე შემთხვევას. ფულის მიმღებთ თანხის ნაწილი ეძლეოდათ ობლიგაციებით. ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველომ გასცა განკარგულება არავითარ შემთხვევაში არ იქნეს დაშვებული ასეთი მოვლენა. ობლიგაციების იძულებითი გაყიდვისათვის აგენტები პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი. (ადს).

ყირიმის მიწისძვრის შედეგები

სიმფეროპოლი, 30 მარტი. შარშანდელმა მიწისძვრამ გურზუფთან შეარყია 12 უდიდესი კლდე, მოსალოდნელია მათი ჩამონგრევა. კატასტროფის თავიდან ასაცილებლად გადაწყვეტილია კლდეების აფეთქება. აფეთქება აპრილში მოხდება და დაახლოებით 10 დღეს გასტანს. აფეთქების დროს გურზუფის მცხოვრებლებს სახლებიდან გამოიყვანენ პარკში (ადს).

კრედიტები სამშენებლო მასალის დასამზადებლად

მოსკოვი, 30 მარტი. შრომისა და თავდაცვის საბჭომ განიხილა სამშენებლო მასალის დამზადების გაფართოებისა და სამშენებლო წარმოების რაციონალიზაციის საკითხი და შემდეგი დაადგინა: საბჭოთა კავშირის სახ. მეურნეობის საბჭოს სამრეწველო-საფინანსო გეგმით გათვალისწინებული 3 მილიონი მანეთის გარდა, საჭიროა, დამატებით გადაიდოს 7 მილიონი მანეთი სამშენებლო მასალის დამზადების გასაფართოებლად (ადს).

საზაფხულო ნაოსნობა

სევასტოპოლი, 30 მარტი. დაიწყო საზაფხულო ნაოსნობა შავ ზღვაზე. გემები, რომლებიც ზამთრის განმავლობაში სევასტოპოლში იდგენ, გავიდნენ ზღვაში (ადს).

გეოლოგების ყრილობა

მოსკოვი, 29 მარტი. გამოქვეყნებულია საბჭოთა კავშირის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ბრძანება, რომლის თანახმად გეოლოგების მესამე საკავშირო ყრილობა მოწვეული იქნება 20 აპრილს ტაშკენტში.

ყრილობის დღის წესრიგშია: ზოგადი გეოლოგიის, ისტორიული გეოლოგიის, პალეონტოლოგიის, მინერალოგიის, გეოქიმიის და პეტროგრაფიის საკითხები.

ყრილობაზე მოწვეული არიან გეოლოგიის (თეორეტიულ და პრაქტიკულ) სხვადასხვა დარგში მომუშავენი. ყრილობის მოწვევა ევალება „გეოლკომს“ და „გლავგორტოპს“.

კონცესიონერების მიცემა პასუხისგებაში

ლენინგრადი, 30 მარტი. პასუხისგებაშია მიცემული შვედელი კონცესიონერები ხაკუ და კელსონი, რომელთაც ლენინგრადში აქვთ ფოლაქების ფაბრიკა. მათ ბრალი ედებათ კოლხელშეკრულების დარღვევაში, რაც გამოიხატა მუშებისა და მოსამსახურეებისათვის ხელფასის მიცემის სისტემატიურად დაგვიანებაში. (ადს).

ბანდიტების საქმე ჩუვაშთა რესპუბლიკაში

ჩებოქსარი, 30 მარტი. ჩუვაშთა რესპუბლიკის უზენაესმა სასამართლომ დახვრეტა მიუსაჯა კლიუკოვის ბანდის 6 მონაწილეს. ამ ბანდამ, რომელსაც რამოდენიმე წლის განმავლობაში აკლებული ჰყავდა ჩუვაშთა რესპუბლიკის გლეხობა, ჩადენილი ჰქონდა 90 სისხლის სამართლის ბოროტმოქმედება: მკვლელობა, ძარცვა, ცეცხლის წაკიდება და სხვა.

ბანდის მეთაურები კლიუკოვი და მინინი მოკლული იქნენ შეპყრობის დროს. სასამართლოს სკამზე იჯდა 23 ბანდიტი და მათი ხელის შემწყობი. (სასამართლომ მათ მიუსაჯა დაპატიმრება სხვადასხვა ვადით სამი წლიდან ათ წლამდე). პროცესს დიდი ყურადღებით ეპყრობოდა მოსახლეობა, რომელიც განაჩენს კმაყოფილებით შეხვდა (ადს).

საკავშირო ცაკის საბიუჯეტო კომისიის პლენუმი

მოსკოვი, 30 მარტი. 28 მარტს საბიუჯეტო კომისიის პლენუმმა მოისმინა ამხ. ვეტოშკინის მოხსენება 1927—28 წლის ბიუჯეტის არა საგადასახადო შემოსავლების შესახებ. „ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტის არასაგადასახადო შემოსავალი,—აცხადებს მომხსენებელი,—უკანასკნელ წლებში სწრაფად იზრდება. 1924—25 წელს იგი შეადგენდა 319 მილიონ მანეთს, 1927—28 წლის ბიუჯეტის პროექტით ნავარაუდევია 751 მილიონი მანეთი; თუმცა არასაგადასახადო შემოსავალი აბსოლუტურად იზრდება, მაგრამ მისი ხვედრითი წონა კლებულობს, რაც აიხსნება ხე-ტყის შემოსავლის როლის შემცირებით. ტყის ექსპლოატაციის გასაფართოებლად საჭიროა დიდი ხარჯები.

უფრო კარგადაა ბუნებრივ სიმდიდრეთა დამუშავებიდან მიღებული შემოსავლის საქმე. მისმა ხვედრითმა წონამ 1924—25 წლის ბიუჯეტის 0,5 პროცენტიდან მიაღწია წრევანდელი ბიუჯეტის 1,5 პროცენტამდე.

ადგილ-მამულების შემოსავალი მეტად მცირეა.

სავაჭრო და სახელმწიფო წარმოებათა შემოსავალი შეადგენს წრევანდელი ბიუჯეტის 0,8 პროცენტს, 1924—25 წელს კი შემოსავლის საერთო ჯამის 2 პროცენტს შეადგენდა, თუ არ ჩავთვლით ტრანსპორტსა და საფოსტო-სატელეგრაფო კავშირს. კერძო კაპიტალის განდევნასთან ერთად სახელმწიფო სავაჭრო დაწესებულებათა შემოსავალი თითქოს წლიდან-წლამდე უნდა გადიდებულიყო, მაგრამ, ნამდვილად, პირიქით ხდება. შემოსავლის ამ წყაროს შემცირება იმით აიხსნება, რომ სავაჭრო სახელმწიფო აპარატი სათანადო დონეზე არა დგას. ჩვენი მრეწველობის შემოსავლის ხვედრითი წონა გაიზარდა 1924—25 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 3,5 პროცენტიდან 1927—28 წლის ბიუჯეტის 6,1 პროცენტამდე.

დასასრულ, მომხსენებელმა აღნიშნა არასაგადასახადო შემოსავლის განსაკუთრებული როლი სოციალისტურ მეურნეობაში.

კამათისა და მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ პლენუმმა 1927—28 წლის ბიუჯეტის არასაგადასახადო შემოსავლის საერთო ჯამად მიიღო 1.301.308.285 მანეთი.

მოსკოვი, 30 მარტი. საბჭოთა კავშირის ცაკის საბიუჯეტო კომისიის პლენუმმა შემდეგი დადგენილება გამოიტანა: რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის ბიუჯეტით გადიდდეს საშემოსავლო გადასახადი 12 მილიონი მანეთით, გადასახადი ზედმეტ მოგებაზე—3 მილიონი მანეთით, გადასახადი მემკვიდრეობაზე და ნაჩუქარ ქონებაზე—33.000 მანეთით, უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის ბიუჯეტით გადიდდეს საბაჟო გადასახადი 108.000 მანეთით. (ადს).

მოსკოვი, 30 მარტი. საბჭოთა კავშირის ცაკის საბიუჯეტო კომისიის პლენუმი შეუდგა 1927—28 წლის ბიუჯეტის გასავლის ნაწილის განხილვას.

29 მარტის საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ლუკაშინის მოხსენება იმ მოსამზადებელი კომისიის მუშაობის შესახებ, რომელსაც ევალებოდა სახალხო მეურნეობისათვის ფინანსების მიწოდების საქმის მოგვარება. პლენუმმა მიიღო წინადადება, რომ მრეწველობისათვის გადადებული თანხები საერთო-საკავშირო ბიუჯეტით გადიდებულ იქნას 7.750.000 მანეთით. მრეწველობისათვის გადადებული თანხები უკრაინის ს. ს. რ. ბიუჯეტით გადიდებულ იქნება 2.465.000 მან., ბელორუსიის ს. ს. რ. ბიუჯეტით—152.000 მან., უზბეკისტანის ს. ს. რ. ბიუჯეტით 70.000 მანეთით. სასოფლო მეურნეობისათვის გადადებული თანხები პლენუმმა გაადიდა 1.600.000 მანეთით. პლენუმმა მიიღო მოსამზადებელი კომისიის წინადადება იმის შესახებ, რომ ხარჯები ირიგაციისათვის გადიდებულ იქნას 500.000 მან., ხარჯები ვაჭრობის განვითარების ხელის შესაწყობად გადიდებულ იქნას 1.690.000 მანეთით. კოოპერაციისათვის ფინანსების მიწოდების თანხა გადიდებულია 335.000 მანეთით (ადს).

რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ცაკის მეორე სესია

მოსკოვი, 30 მარტი. 30 მარტს გაიხსნა რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მე-13 მოწვევის ცაკის მეორე სესია. დღის წესრიგიდან მოხსნილია მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მოხსენება სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის შესახებ გვალვიან ოლქებში. ამხ. კალინინის წინადადებით სესიამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ცაკის გარდაცვლილ წევრთა, ამხ. [illegible], ლებედევის და ხალტურინის ხსოვნას.

შემდეგ სესიამ მოისმინა ამხ. ნაგოვიცინის მოხსენება სოციალურ უზრუნველყოფის მდგომარეობის შესახებ რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში. თავის მოხსენებაში ამხ. ნაგოვიცინმა აღნიშნა, რომ სოციალურ უზრუნველყოფაზე რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში 1927—28 წელში დაიხარჯება დაახლოებით 43 მილიონი მანეთი. პენსიებით მიმდინარე წელში უზრუნველყოფილი იქნება დაახლოებით 240.000 კაცი. ამჟამად საბჭოთა დაწესებულებებში მოთავსებულია 13.500 უპატრონო ბავშვი, 1927—28 წელში ბავშვების უპატრონობასთან საბრძოლველად დაიხარჯება ორი მილიონი მანეთი. შემდეგ მომხსენებელი ეხება ინვალიდების უზრუნველყოფას და აღნიშნავს, რომ ამჟამად პროტეზები აქვს გაკეთებული 60.000 კაცს, იზრდება ინვალიდთა კოოპერაცია, არტელის წევრთა საშუალო ხელფასი 50 მანეთზე მეტს უდრის. გლეხთა ურთიერთ დახმარების საზოგადოებები ამჟამად გადაიქცნენ ფართო მასიურ ორგანიზაციად, რომელშიაც ჩაბმულია გლეხურ მეურნეობათა 50 პროცენტი. საურთიერთო დახმარების კომიტეტებს 1926—27 წელში ჰქონდა 9 მილიონ მანეთი საკუთარი სახსრები.

დილის სხდომაზე ამხ. ნაგოვიცინის მოხსენების შემდეგ დაიწყო კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ციმბირის (ამხ. სუხოვი), ჩრდილოეთ-კავკასიის (ამხ. [illegible]), კალუგის (ამხ. [illegible]) და სხვა რაიონების წარმომადგენლებმა (ადს).

ბამბის თესვის კამპანია

მოსკოვი, 30 მარტი. საბჭოთა კავშირის ს. შ. უ. საბჭომ წინადადება მისცა მებამბეობის მთავარ კომიტეტს მიიღოს ზომები მომავალი ბამბის თესვის კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბამბის მეურნეთათვის ავანსების თავის დროზე და საკმაო რაოდენობით მიწოდებას და აგრეთვე მებამბეობის რაიონების მინერალური სასუქით და კოპტონით მომარაგებას. აუცილებელია კონტროლი გაეწიოს იმას, რომ რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო ბანკების მიერ მებამბეობის მთავარი კომიტეტისაგან მიღებული თანხები ღარიბთა ფონდისათვის ნამდვილად დანიშნულებისამებრ იქნეს გამოყენებული. (ადს).

ბამბის თესვის კონტრაქტაცია

მოსკოვი, 30 მარტი. მებამბეობის კოოპერაციის საკავშირო ბიურომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საშუალებით მებამბეობის მთავარ კომიტეტთან 29 მარტს დადო გენერალური ხელშეკრულება მებამბეობის კამპანიის ორგანიზაციის შესახებ. ხელშეკრულება ვრცელდება შუა-აზიისა და ამიერ-კავკასიის კოოპერატიულ კავშირებზე და მებამბეობის ორგანიზაციებზე. კოოპერატიული კავშირები ვალდებული არიან საკომისიო საფუძველზე მოაწყონ ბამბის თესვის კონტრაქტაცია მებამბეობის რაიონებში ბამბის მთესველებთან ხელშეკრულების დადებით, მოაწყონ ბამბის მეურნეებისათვის ავანსების მიწოდება, შეაგროვონ ბამბის მთესველებისაგან ბამბა და ჩააბარონ ის მებამბეობის რაიონებს. რესპუბლიკანურმა კოოპერატიულმა კავშირებმა, გენერალურ ხელშეკრულების საფუძველზე, უნდა დადონ ხელშეკრულებანი მებამბეობის ორგანიზაციებთან. ბამბის მეურნეებთან დადებული ხელშეკრულებანი უნდა ითვალისწინებდენ ბამბის მთესველის მიერ ჩასაბარებელ ბამბის მინიმალურ რაოდენობას. მეურნე ვალდებულია აგრეთვე ჩააბაროს ბამბის მთელი მოსავალი, თუ ის სჭარბობს მინიმალურ რაოდენობას. კოოპერატიული კავშირები მებამბეობის ორგანიზაციების წინაშე ვალდებული არიან პირნათლად შეასრულონ ბამბის მეურნეებთან დადებული ხელშეკრულებები. კოოპერაცია, მიუხედავად ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ ბამბის რაოდენობისა, ვალდებულია შეისყიდოს და ჩააბაროს მებამბეობის ორგანიზაციებს ბამბის მთელი მოსავალი. მებამბეობის ორგანიზაციებმა კოოპერაციას უნდა მიაწოდონ თესლი, სასუქი და ფული განსაზღვრული პირობების მიხედვით. ბამბის ფასს აწესებს მომწესრიგებელი ორგანოები. ხელშეკრულება დადებულია 1929 წ. 1 აპრილამდე. (ადს).

ერევნის კომუნალურ ტრესტის გამოკვლევა

ერევანი, 29 მარტი. სომხეთის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ დაამთავრა ერევნის კომუნალური ტრესტის გამოკვლევა.

გამოკვლევამ ზედმეტად სცნო ერევნის კომუნალურ ტრესტის მიერ სააშენებლო მასალებით ვაჭრობის წარმოება და ადგილობრივ კომუნალურ წარმოებათა ექსპლოატაცია. უკანასკნელ მიზნისათვის საჭიროა ადგილობრივ მრეწველობის ტრესტის მოწყობა. ადგილობრივ მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულების გაიაფების მიზნით ერევნის კომუნალურ ტრესტს წინადადება მიეცა ჩაატაროს წარმოების სრული დაგეგმვა და მიიღოს ზომები პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და ქარხნების ნაყოფიერების გადიდებისათვის.

სავაჭრო მუშაობის დარგში აღნიშნულია, რომ ტრესტი ბოროტად არღვევდა დირექტივებს ფასების დაკლების შესახებ, საქონლის თვითღირებულებაზე უმატებდა 75—80 პროცენტს, კერძო პირებს აძლევდა საქონელს [illegible] ანგარიშებით, ზომებს არ იღებდა კერძო მოვაჭრეთა დავალიანების დასაფარავად და საქონელს უშვებდა გაუზომავად და აუწონლად.

კომუნალურ წარმოებათა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის დარგში აღნიშნულია დაუშვებელი მაღალი მოგება, რომელიც ტრანსპორტზე აღწევს 31 პროცენტამდე.

აღნიშნულ დეფექტების აღმოსაფხვრელად ტრესტს მიეცა მთელი რიგი მითითებები. ამას გარდა ტრესტის ყოფილი დირექტორი კაფიევი მიცემულია პასუხისგებაში უყაირათობისათვის, რამაც ტრესტს მიაყენა 20.135 მან. 24 კაპ. ზარალი, სავაჭრო პოლიტიკის ჩაშლისათვის და დირექტივების დარღვევისათვის ფასების დაკლების დარგში (ადს).

მაქსიმ გორკის იუბილეს გამო

უცხოეთში

ბერლინი, 29 მარტი. გორკის დაბადებიდან სამოცი წლის თავის შესრულებას გერმანიაში აღნიშნავენ საზეიმო კრებებით და წარმოდგენებით. გერმანიის ყველა მნიშვნელოვანი გაზეთები აქვეყნებენ წერილებს, მოგონებებს და გორკის ნაწარმოებთა ნაწყვეტებს. ყველას გაზეთები ერთხმად აღნიშნავენ, რომ გორკი არა თუ უდიდესი ფიგურაა მსოფლიო ლიტერატურაში, არამედ დიდი ადამიანიც და დიდი მებრძოლიც თავისუფლებისათვის. პისკატორის თეატრმა „ახალ რუსეთის მეგობართა საზოგადოებასთან“ ერთად მოაწყო დილა გორკის პატივსაცემად. ცენტრალური მომენტი იყო პიესა „ფსკერზე“-ს უკანასკნელი აქტის დადგმა. გორკის დიდი ადგილი ეთმობა რადიო-გადაცემის პროგრამებშიაც. (ადს)

საბჭოთა კავშირში

ამხ. ტომსკის მისალმება გორკის

მოსკოვი, 30 მარტი. „ძვირფასო ალექსი მაქსიმეს ძევ! მიიღეთ ჩემი მხურვალე სალამი. ხელით და გულით გისურვებთ ჯანმრთელობას და სიმხნევეს.

მეგობრული სალამით ტომსკი“. (ადს).

გორკის ნაწერები უკრაინულ ენაზე

ხარკოვი, 30 მარტი. განათლების სახ. კომისარიატმა წინადადება მისცა სახელგამს დააჩქაროს გორკის მხატვრულ ნაწარმოებთა გამოცემა უკრაინულ ენაზე. (ადს).

ამხ. პეტროვსკის წერილი

ხარკოვი, 30 მარტი. ხარკოვის გაზეთებმა მთელი გვერდი უძღვნეს გორკის იუბილეს. „გორკი—სწერს სრ. უკრაინის ცაკის თავმჯდომარე ამხ. პეტროვსკი,—დაკავშირებული იყო უკრაინასთან. აქ მან შექმნა თავისი პირველი საუკეთესო ნაწარმოებნი. უკრაინის თვალუწვდენელ ველებს არა ერთხელ გაუღვიძებია მასში შემოქმედებითი ფანტაზია. პროლეტარული წრეებიდან გამოსული გორკი თავისი უდიდესი ნიჭით გვიმტკიცებს თუ რა დიდი უნარისა და ნიჭის პატრონია პროლეტარიატი“.

საზეიმო სხდომა ნოვგოროდში

ნიჟნი-ნოვგოროდი, 30 მარტი. გორკის საიუბილეო დღე აღნიშნულ იქნა ნიჟნი-ნოვგოროდის, სორმოვის და კანავინის მუშების და ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციების საზეიმო სხდომით. ყველა მუშათა კლუბებში შესდგა საზეიმო კრებები. ნიჟნი-ნოვგოროდის „გორკის ადგილებში“ გაემგზავრა მუშა-ახალგაზრდობის ექსკურსიები. იქმნება გორკის მუდმივი სალიტერატურო მუზეუმი. კანავინში იხსნება გორკის სახელობის მუშათა ფაკულტეტი.

მეცნიერების მუშაკები და მაქსიმ გორკი

მოსკოვი, 30 მარტი. 29 მარტს მოსკოვის პირველ სახელმწიფო სააქტო დარბაზში მოსკოვის სამეცნიერო მუშაკებმა დიდის ზეიმით გადაიხადეს სალიტერატურო მოღვაწეობის 35 წლის იუბილე მ. გორკის, რომელმაც თავის დროზე ბევრი რამ გააკეთა მეცნიერთა ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად. ჯანმრთელობის სახ. კომისარმა ამხ. სემაშკომ წარმოსთქვა სიტყვა გორკის სალიტერატურო და რევოლუციონურ დამსახურებათა შესახებ. მხურვალე და შინაარსიანი სიტყვა გორკის შესახებ, როგორც მოაზროვნისა და რევოლუციონერის შესახებ, წარმოსთქვა პროფესორმა ნ. მ. საკულინმა. საღამო დამთავრდა დიდი მხატვრული განყოფილებით, რომელზედაც ნაწყვეტებს გორკის ნაწარმოებებიდან კითხულობდნენ მოსკოვის პირველ სამხატვრო თეატრის მსახიობები.

გორკი საპატიო მუშკორი

ხარკოვი, 30 მარტი. დონბასის სახელობის ტრამვაის სახელოსნოების მუშათა ინიციატივით, გორკი არჩეულია საპატიო მუშკორად კიევის უბნის კედლის გაზეთის „ნა რელსახ“. მუშებმა გორკის გაუგზავნეს მისასალმებელი წერილი და გაზეთის კომპლექტი. მუშები სთხოვენ გორკის გამოსთქვას აზრი გაზეთის შესახებ და იქონიოს მიწერ-მოწერა სახელოსნოს მუშებთან.

გორკის სახელობის ბავშვთა ახალშენის (ხარკოვის მახლობლად) მოწაფეებმა თავის მფარველს—იუბილეს გამო გაუგზავნეს მისალმება, რომელშიაც სთხოვენ მას ინახულოს ახალშენი. ახალშენმა გორკისაგან მიიღო პასუხი, რომელშიაც ის სწერს, რომ ახალშენს ინახულებს მაისის ბოლოში. (ადს).

გორკის წერილი ტულის მუშკორებს

ტულა, 30 მარტი. გორკიმ ტულის მუშკორებს და გლეხკორებს გაუგზავნა წერილი, რომელშიაც სწერს:

„მუშგლეხკორების მუშაობას დაკვირვებით ვადევნებ თვალყურს და დიდათ ვაფასებ მას. თქვენმა მასამ უნდა გამოზარდოს საუცხოო ჟურნალისტები, რომლებიც არ დაიღლებიან დასავიწყებელ ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლაში. ვიცი, რომ თქვენი მუშაობა იოლი არაა, მაგრამ ვიცი აგრეთვე, რომ მუშგლეხკორები—მომავალი დიდი ძალაა, რომელიც აუცილებელია მრავალმილიონიან მშრომელთა მასების ცხოვრების გასაშუქებლად. თქვენ უკვე ხდებით ამ ძალად“.

გამოფენა

ლენინგრადი, 30 მარტი. რევოლუციის მუზეუმში გაიხსნა იმ დოკუმენტების გამოფენა, რომლებიც დაკავშირებულია გორკის რევოლუციონურ მოღვაწეობასთან.

გორკის სახელობის სტიპენდია

ტვერი, 30 მარტი. ტვერის პედაგოგიურმა ინსტიტუტმა დაარსა გორკის სახელობის ორი სტიპენდია. საგუბერნიო აღმასკომის წინადადებით, გუბერნიის ყველა სამაზრო ქალაქებში, ერთ-ერთ ქუჩას დაერქვა გორკის სახელი. (ადს).

ა.-კ. პერიოდულ გამოცემათა რედაქტორების თათბირი

გაზეთ „ვიშკა“-ს რედაქციის მოხსენება

თათბირის 30 მარტის დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ბარხაშოვის მოხსენება გაზეთ „ვიშკა“-ს მუშაობის შესახებ.

ვინაიდან „ბაკინსკი რაბოჩი“ თავისი ფორმით და შინაარსით არ აკმაყოფილებს დაბალი კვალიფიკაციის მქონე მუშებს და გაზეთი „ტრუდი“—აზერბეიჯანის პროფკავშირთა საბჭოს ორგანო დაიხურა წარსული წლის იანვარში, აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ბაქოს კომიტეტმა დაადგინა გამოსცეს ყოველდღიური მასიური გაზეთი. გაზ. „ვიშკა“-ს საერთო ხაზი, ფორმა და შინაარსი, შეგუებულია არა მარტო ნაკლებ მომზადებული მკითხველის, არამედ მასის მოთხოვნილებასთანაც, რომელიც ლიმდე არ კითხულობდა გაზეთს. „ვიშკა“-ს გამოცემა დაიწყო 1 მარტიდან, და ერთი თვის მუშაობის შემდეგ ამ გაზეთმა შესძლო მკითხველთა მნიშვნელოვანი წრის მოპოვება: მისი ტირაჟი 20.000-მდე აღწევს. „ვიშკა“-ს რედაქციამ ჩაატარა დიდი წინასწარი კამპანია ხარეწაოებში და ქარხნებში, სადაც არკვევდა მუშათა ფართო მკითხველ მასის მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს. თავისი ხანმოკლე არსებობის განმავლობაში გაზეთმა მიიღო 10.000-მდე კორესპონდენცია. რედაქცია დიდის ყურადღებით შეუდგა მასალების დამუშავებას. ასეთი მოკლე ხნის განმავლობაში ძნელი იყო მასიური გაზეთის ენის გამონახვა. ამ შემთხვევაში შესაძლებელი იყო ერთგვარი გადახრა, მაგრამ გაზეთის მიერ აღებული გეზი საერთოდ სწორია, რასაც მოწმობს მისი წარმატებით გავრცელება მკითხველთა შორის. გაზეთის აპარატი სულ შესდგება 4 კაცისაგან; დანარჩენ მასალებს რედაქცია იღებს „ბაკინსკი რაბოჩი“-ს მუშკორებისაგან და ხარეწაოებიდან. რედაქცია შეუდგა მუშაობას მუშგლეხკორთა საკუთარი ქსელის მოსაწყობად.

გაზ. „ვიშკა“-ს შემდგომი მუშაობის საგანს შეადგენს: ყოფის მოთხოვნილებათა გაშუქება, ცნობათა განყოფილების გაფართოება, კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული განყოფილების შექმნა და მუშათა ხელოვნება და კინოს საკითხების გაშუქება.

ამხ. ბარხაშოვის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა ამხანაგებმა: ტრინიჩმა, აბაევმა, ტაგიევმა, მაირანოვსკიმ, გლიუზენერმა და სუტირინმა. კამათში აღნიშნულ იქნა ზოგიერთი ნაკლოვანებანი გაზ. „ვიშკა“-ს მუშაობაში: გაზეთი საკმაოდ ვერ აფასებს მკითხველთა მოთხოვნილებებს, მასალების დამუშავება და ჩამოყალიბება უნდა იყოს მკითხველთა მასის შეხედულების შედეგი, რაიც ჯერ კიდევ არ განუხორციელებია რედაქციას; „ვიშკა“ აუცილებლად უნდა გავრცელდეს რკინის გზის ხაზზე აზერბეიჯანის რუსულ სოფლებში.

ამხ. ბარხაშოვმა თავის საბოლოო სიტყვაში აღნიშნა, რომ კრიტიკა საკმაოდ მკაცრი იყო, მაგრამ ამასთან ერთად გამოსულმა ორატორებმა შეეხნენ ხვალინდელი დღის უმთავრეს მომენტს, რომლებიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს რეზოლიუციაში.

შემდეგ თათბირმა მოისმინა ამხ. რუბენის მოხსენება.

ამხ. რუბენის მოხსენება

ა. კ. პერიოდულ პრესის ამოცანების შესახებ

უკანასკნელ ხანებში,—სთქვა მომხსენებელმა,—ბევრი ლაპარაკი იყო კულტურულ-რევოლუციაზე, მაგრამ ჩვენმა გაზეთებმა და ჟურნალებმა ძალიან ცოტა ყურადღება მიაქციეს ამ საკითხს. ამიერ-კავკასიაში საკმაო რაოდენობით არის გაზეთები და ჟურნალები. პერიოდულ გამოცემათა საერთო ტირაჟი ამიერ-კავკასიის მე-5 პარტიული ყრილობის შემდეგ გაიზარდა 269.680-დან 354.757 ეგზემპლარამდე. ტირაჟის გადიდება უმთავრესად სწარმოებდა გლეხთა გაზეთების ხარჯზე; ამასთან ერთად გაიზარდა [illegible] გაზეთების ტირაჟი, (5.000 ეგზემპლიარით). მაგრამ ტირაჟის გადიდება კიდევ არ მოწმობს ჩვენი გაზეთების ხარისხის გაუმჯობესებას. პერიოდულ პრესის საერთო ნაკლოვანებებს ამიერ-კავკასიის პირობებში თან ერთვის აგრეთვე ადგილობრივი სოციალური და ეროვნული პირობების სპეციფიური თავისებურებანი. სწორედ ამ დარგში უნდა გამოვიჩინოთ განსაკუთრებული სიფხიზლე და ყურადღება, ვინაიდან ხანდახან ხელ მცირე შეცდომა იწვევს სერიოზულ შედეგებს.

ამიერ-კავკასიის პერიოდულ პრესაში აუცილებლად უნდა გავაძლიეროთ პარტიული ხელმძღვანელობა. ჩვენი ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების ხელმძღვანელობა ხშირად არ არის დამაკმაყოფილებელი. აუცილებლად უნდა იქნას აღდგენილი რესპუბლიკანური ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებები და მათ უნდა დაეკისროს პერიოდული პრესის ნამდვილი ხელმძღვანელობა.

შემდეგ საკითხი—ჩვენი რედაქციების საკითხია. ჩვენი რედაქციები ჯერ კიდევ საკმაო სიმწიფით არ ასრულებენ პარტიულ დირექტივებს და სუსტად არიან დაკავშირებული თავის პარტიულ საზოგადოებრიობასთან. აუცილებელია ხელი ავიღოთ ერთგვარ კასტობრიობაზე, ჩვენს მუშაობაში და მეტი ინიციატივა გამოვიჩინოთ ჩვენი გაზეთის საბჭოთა და პარტიულ საზოგადოებრიობასთან დაკავშირების საქმეში. ჩვენი პრესის გაჯანსაღების საქმეში დიდი მნიშვნელობა ექნება თვითკრიტიკას. თუ რედაქტორი გადახედავს თავის გაზეთის ნომრებს ხანგრძლივი ხნის განმავლობაში, იგი აღმოაჩენს საკმაოდ ბევრ შეცდომას, რომლებიც პირველი ზერელედ შეუმჩნეველია. „ზარია ვოსტოკა“-ს მიერ ჩატარებული ცდა ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია. ჩვენს გაზეთებში ხანდახან აპარებენ ჩვენთვის უცხო იდეოლოგიური მიმდინარეობანი; ეს მიმდინარეობანი შეიძლება აღმოვაჩინოთ არა მარტო დიდ წერილებში და შენიშვნებში, და სადაც მათი აღმოჩენა ყველაზე უფრო ადვილია—ჩვენი გაზეთების ლიტერატურულ განყოფილებებში, არამედ ქრონიკებში, პატარა შენიშვნებში და აგრეთვე სამეცნიერო განცხადებებშიაც.

ჩვენი გაზეთების შინაარსის ხარისხის საკითხთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი ხელმძღვანელი კადრების საკითხი. პარტიული შემადგენლობის მხრივ მდგომარეობა ჩვენს გაზეთებში ასეთია: ხელმძღვანელ ორგანოებში არის 61,9 პროცენტი პარტიის წევრი და კანდიდატი; აქედან საქართველოში—50 პროცენტი, აზერბეიჯანში—41,8 პროცენტი, სომხეთში—80,6 პროცენტი. პარტიული შემადგენლობა ზოგიერთ დიდ გაზეთებში უფრო დიდ პროცენტს შეადგენს. მუშათა რიცხვი ამ კადრების შემადგენლობაში მეტად უმნიშვნელოა. მუშკორთა დაწინაურება ჩვენი რედაქციების მუშაობაში ხელმძღვანელ ღელის მთავარ ამოცანას უნდა შეადგენდეს. ასეთი პრაქტიკანტების ჩამოყენების ცდამ ბევრ გაზეთებში, კერძოდ, „ზარია ვოსტოკა“-ში გაამართლა თავის დანიშნულება; საჭიროა შემდეგ ამ კადრების რიგებიდან შერჩევა.

სარედაქციო მუშაკების ახალი კადრების მომზადებასთან ერთად ჩვენ სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ გაზეთის იმ მუშაკების იდეოლოგიურ გამოწრთობას, რომლებმაც გაიარეს ძველი სკოლა და ეხლა ჩვენს რედაქციებში მუშაობენ. გაზეთის მუშაკთა ამ ძველმა კადრებმა აუცილებლად უნდა შეითვისონ მარქსისტული იდეოლოგიის ელემენტები, ვინაიდან თუ ისინი ჩვენი თანამშრომლები არიან, მათ ჩვენი ხაზი უნდა გაატარონ. და აქ მათ წინაშე უნდა დაისვას საკითხი იმის შესახებ, რომ მათ მტკიცედ შეითვისონ ჩვენი იდეოლოგია. ჩვენს პრესაში დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ბრძოლას იდეოლოგიისათვის (ადს).

საგაზაფხულო თესვის კამპანია

წელს საქართველოში [illegible]ესილი იქნება სულ 462.000 დესეტინა [illegible]

„სოფლის კავშირმა“ და[illegible] 16 ვაგონი სათესლე სიმინდი. აპრილის ბოლომდე დამზადებული იქნება კიდევ 45 ვაგონი

როგორ მიმდინარეობს სამზადისი

საუბარი ამხ. ჟუღელთან

საქართველოში საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩასატარებლად დაწყებულ მოსამზადებელ მუშაობისა და ამ მიმართულებით მიღებულ ღონისძიებათა შესახებ, საქ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და თესვის კამპანიის ჩამტარებელ რესპუბლიკანურ საგანგებო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ს. ჟუღელმა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

— მიუხედავად მთელი რიგი დაბრკოლებებისა, როგორიცაა უამინდობა, კამპანიის დაგვიანებით დაწყება და მთელი რიგი სხვა წვრილმანი ხელის შემშლელი პირობები, რესპუბლიკანურ საგანგებო კომისიას მტკიცეთ აქვს გადაწყვეტილი წელს დაუთესავი არ დასტოვოს არც ერთი ნაკვეთი მიწა.

საგაზაფხულო თესვის სეზონის განმავლობაში მთელ რესპუბლიკაში დაითესება 437000 დესეტინა სიმინდი და გარდა ამისა დათესილი იქნება აგრეთვე შემოდგომაზე დაუთესავი 25.000 დესეტინა. აღნიშნული სივრცის დასათესად საჭიროა დიდძალი სათესი მასალა, რომლის მიღების იმედი ჩვენ არ გვქონდა. ამ გარემოებამ გვაიძულა თვითონ დავეწყო, რესპუბლიკის შიგნით სათესლე მასალის დამზადება. ამიტომ საჭირო გახდა ადგილებზე გადავეგზავნა სურსათი, რომ კოოპერაციის და ძირითად სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების საშუალებით ეს სურსათი (ფქვილი, სიმინდი, ქერი) გადაცვლილი ყოფილიყო მაღალხარისხოვან სათესლე მასალაზე. როგორც ცნობილია, მთელ რიგ რაიონებში გლეხები შეუდგნენ თესლის გამოყენებას საჭმელად, რადგანაც ბაზარზე სურსათის ნაკლებობა შეიქნა; ამ მოვლენის თავიდან აცილება შესაძლებელი გახდა მხოლოდ სურსათის მიწოდებით და მისი გადაცვლით თესლზე.

სათესლე მასალის არსებული მარაგი ვერ დააკმაყოფილებდა მოთხოვნილების მცირე ნაწილსაც კი. მიწათმოქმედების კომისარიატს, მაგალითად, თავის განკარგულებაში ჰქონდა 5000 ფუთი თესლი. თესლის ეს რაოდენობა დაუყოვნებლივ გაუნაწილდა ადგილებს. გარდა ამისა „სოფლის კავშირი“ შეუდგა თესლეულობის დამზადებას და ჯერ-ჯერობით შესძლო 1200 ფუთი ხორბლის დამზადება. ამ დღეებში თესლეულობის ეს რაოდენობაც განაწილდება ადგილებს შორის. გარდა ამისა მოკლე ხანში ჩვენ გავანაწილებთ 20000 ფუთ ქერის თესლს.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სიმინდის თესლის დამზადებას. ეს საქმეც მინდობილი აქვს „სოფლის კავშირს“. დღემდე მან შესძლო დაემზადებინა 16 ვაგონი სიმინდის თესლი, ხოლო აპრილის ბოლომდე დამზადებული იქნება 40—45 ვაგონი სიმინდის სათესლე მასალა. თუ გამოირკვა, რომ 40—45 ვაგონი სიმინდის თესლი საკმაო არ იქნა, მაშინ მიღებული იქნება ზომები დამზადების გასადიდებლად.

მე დარწმუნებული ვარ, რომ სიმინდის სათესლე მასალის დამზადებას ჩვენ შევძლებთ საკმაო რაოდენობით თვით რესპუბლიკაში, თუ სამისოდ გვექნა გადასაცვლელი სურსათი. [illegible] დამტკიცა, რომ იმ რაიონებში, სადაც საკმაო რაოდენობით იგზავნება სახარჯავი [illegible], თესლეულობის დამზადებაც წარმატებით მიდის.

ტექნიკურ კულტურებიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თამბაქოს. სულ მთელ [illegible] წელს დაითესება თამბაქო [illegible] დესეტინაზე. აქედან მარტო აფხაზეთში [illegible]00 დესეტინაზე. თამბაქოს ნათესების [illegible] გატარებული იქნება 8000 დესეტინაზე, [illegible] დესეტინის დასათესად [illegible] ავანსის რაოდენობა გახდა [illegible] 270 მანეთის რაოდენობით. [illegible] კი კონტრაქტებს დადებენ [illegible] დესეტინაზე. ავანსები მიეცემათ [illegible] 180 მან. რაოდენობით თითო დესეტინაზე.

[illegible] კამპანიის ჩატარების საქმეში დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს საქონლის საკვების ნაკლებობა.

[illegible] ხანებში რესპუბლიკის რაიონებისათვის განაწილებულ იქნა 251 ვაგონი და 88 ვაგონი ჩალა. გარდა ამისა „სოფკავშირმა“ განაწილა 10 ვაგონი კოპტი და 13 ვაგონი ქატო. საქონლის საკვების შესაძენად საქ. სას.-სამეურნეო ბანკმა გაიღო 13[illegible] მან. კრედიტი. მიღებული ღონისძიებებით ვერ ვკმაყოფილდებით, ვინაიდან ადგილიდან განუწყვეტლივ მოგვდის ცნობები საქონლის დაღუპვის შესახებ. მიღებულია ზომები დონის ოლქიდან და ჩრდილო კავკასიიდან 25.000 ფუთი თივის და [illegible]000 ფუთი ჩალის ჩამოსატანად.

[illegible]ის ნაკლებობით გამოწვეული მუშა-საქონლის დაღუპვა დიდ ვნებას მოახდენს საგაზაფხულო თესვის კამპანიას. [illegible] საგანგებო კომისიამ მიიღო დადგენილება იქნეს დაწყებული მუშა-საქონლის შეძენა თვით რესპუბლიკაში, საამისოდ გადადებულია 150.000 მანეთი.

[illegible] კამპანიის ჩასატარებლად განსაკუთრებულ მნიშვნელობა ეძლევა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებით მომარაგებას. დღესდღეობით გაგზავნილია 22150 გუთანი-კულტივატორი, 190 ფარცხი, 143 სათესი და 10 ტრაქტორი. თიბვა-მკის სეზონისათვის მოსამარაგებელი გვაქვს 40 კომბაინის ძველი მანქანა, 150 საფშვენი, 200 სანიავი და სხვ. ადგილებზე. გარდა ამისა, სწარმოებს სას.-სამეურნეო მანქანათა შესაკეთებელი სახელოსნოების მოწყობა. [illegible] ამიერკავკასიიდან ამის წინად [illegible] კარგად მოწყობილი სახელოსნო. [illegible] დადგმა-მოწყობა უკვე დაწყებულია.

დასასრულ, მიღებულია ზომები ნიადაგის სასუქის დასამზადებლად და შაბიამნის შემოსატანად. წელს საქართველოსათვის საჭიროა [illegible]00 ტონა შაბიამანი. დღემდე შაბიამნის შემოტანის გეგმა შესრულებულია 30 პროცენტით.

ჩემის რწმენით, ყველა ამ ღონისძიებათა მეოხებით ჩვენ შევძლებთ ღირსეულად ჩავატაროთ საგაზაფხულო თესვის კამპანია.

თესვის კამპანია და მ.-გლ. ინსპექცია

თესვის კამპანიის რწმუნებულმა ამიერ-კავკასიაში მიიღო საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციისაგან ანგარიში იმ ღონისძიებათა გატარების შესახებ, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ საქართველოში საგაზაფხულო თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებას.

საქ. მუშ. და გლეხ. ინსპექცია სისტემატიურად აწარმოებს ადგილებზე იმ დირექტივებისა და განკარგულებების შესრულების შემოწმებას, რომლებსაც იძლევიან უმაღლესი ორგანოები თესვის კამპანიის ჩასატარებლად. გამოკვლევების ჩატარებას მუშათა და გლეხ. ინსპექცია შეუდგა 5 მარტიდან. პირველ რიგში გამოკვლევები ჩატარდა მიწათმოქმედების ორგანოების, სასოფლო-სამეურნეო კრედიტის და კოოპერაციის ხაზით. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სამაზრო რწმუნებულებს წინადადება მიეცათ, რომ მათაც ასეთივე გამოკვლევები ჩაატარონ ადგილებზე.

ადგილებზე ჩატარებულ გამოკვლევებში უმთავრესი ყურადღება ექცევა სათესლე მასალის მომარაგების საქმის დაყენებას, სასოფლო-სამეურნეო მანქანების განაწილებას და მათი სარგებლობის წესს, კრედიტების მიწოდებას კოლექტიურ მეურნეობათათვის, ღარიბი გლეხთა ფონდის განაწილებას და სხვ. გარდა ამისა, ადგილებს წინადადება მიეცათ ყოველკვირეულად გამოგზავნონ საინფორმაციო მოხსენებები, თუ როგორ ტარდება საგაზაფხულო თესვის კამპანია, რა უშლის ხელს მის წარმატებით ჩატარებას და რა დეფექტებია აღნიშნული გამოკვლევების დროს.

მ. და გ. ინსპექციის მიერ ღარიბ გლეხთა ფონდების საქმის გამოკვლევის დროს აღმოჩნდა შემდეგი დეფექტები:

1. ღარიბ გლეხთა ფონდები არაა განაწილებული სხვადასხვა მაზრებსა და რაიონებს შუა მიზანშეწონილად; 2) ადგილი აქვს ფონდის დაგვიანებით მიწოდებას, 3) სუსტად სწარმოებს ღარიბი გლეხებისათვის კრედიტის მიწოდება, განსაკუთრებით კოლექტიურ მეურნეობათა ხაზით, 4) ადგილი აქვს ღარიბ გლეხობის ფონდიდან კრედიტების იყენებას არა დანიშნულებისამებრ და სხვ.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ წინადადება მისცა საქართველოს სას.-სამ. ბანკს მიიღოს მხედველობაში ყველა აღნიშნული დეფექტები და სასწრაფოდ შეუდგეს მათ გამოსწორებას.

„სოფლის კავშირს“ წინადადება მიეცა დააჩქაროს [illegible] სას.-სამ. მანქანების განაწილება მაზრებს შორის. პირველ რიგში მანქანები უნდა მიეცეს საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებს და ღარიბ გლეხთა გაერთიანებებს. ს.-სამ. მანქანათა მოსამარაგებლად მუშათა და გლეხთა ინსპექცია გაეცნო ორ გეგმას. ერთი გეგმა დამუშავებულია „სოფლის კავშირის“ მიერ, ხოლო მეორე მიწათმოქმედების კომისარიატს ეკუთვნის. „სოფლის კავშირის“ გეგმა ითვალისწინებს 320.000 მანეთის კრედიტს 1927-28 წელში საქართველოს საჭიროებისათვის სას.-სამ. მანქანების მოსამარაგებლად. მიწსახკომის გეგმაში კი ნაგულისხმევია საქართველოს სოფლის მეურნეობის ზრდა და გათვალისწინებულია 957000 მანეთის კრედიტი—სას.-სამ. მანქანების შესაძენად. ამგვარად, მუშათა და გლეხთა ინსპექციის უფრო მისაღებად მიაჩნია მიწათმოქმედების კომისარიატის გეგმა, რომელიც სავსებით დააკმაყოფილებს საქართველოში სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებებს.

სათესლე მასალის მომარაგების საქმის გამოკვლევის დროს გამოირკვა, რომ მთელ რიგ რაიონებში თესლეულობის შესყიდვა ბრკოლდება სათანადო თანხების თავის დროზე მიუღებლობით და სურსათის მიწოდების დაგვიანებით. სათესლე მასალის შეძენა თავიდანვე გამიზნული იყო სურსათის გადაცვლით სათესლე მასალაზე. მაგრამ ვინაიდან სათანადო ორგანიზაციები სურსათს ვერ ღებულობენ დროულად, ეს ბუნებრივად იწვევს თესლის დამზადების შეფერხებას, აღნიშნულ საქმეში ამიერიდან ფართოდ უნდა იქნეს ჩაბმული კოოპერატიული ორგანიზაციები, რომლებსაც საამისოდ უნდა მიეცეთ საჭირო თანხები.

მწვავედ სდგას მუშა-საქონლის შეძენის საკითხიც. საქართველოში თესვის კამპანიის ჩამტარებელმა საგანგებო კომისიამ წინადადება მისცა „სოფლის კავშირს“ და სას.-სამ. ბანკს დაიწყონ მუშა-საქონლის შეძენა რესპუბლიკის იმ რაიონებში, სადაც წელს საქონელი არ დაზარალებულა საკვების უქონლობით. შეძენილი საქონელი უნდა გადაეცეს იმ რაიონებს, სადაც მუშა-საქონელი დაზარალდა. ამ მიმართულებით რაიმე მიღწევებს არა აქვს ადგილი.

სას.-სამეურნეო ბანკის განცხადებით ეს საქმე დააბრკოლა შესაფერი თანხების თავის დროზე მიუღებლობამ. ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკს მუშა-საქონლის შესაძენად უნდა გაეცა 150.000 მან., მაგრამ ვინაიდან ეს თანხა არ იყო გაცემული, ამიტომ გამოკვლევის ჩატარების დროისათვის (26 მარტს) რაიმე რეალური შედეგები არ ყოფილა მიღწეული.

მიუხედავად ჩატარებული გამოკვლევებისა, ცენტრალური საკონტროლო კომისია და მუშათა და გლეხთა ინსპექცია ფიქრობს ახლო ხანში ადგილებზე მიავლინოს ზოგიერთი თავისი წევრები, თესვის კამპანიასთან დაკავშირებით გამოცემულ განკარგულებათა და დირექტივების შესრულების გადასამოწმებლად.

სათესლე მასალა

18.000 ფ. სიმინდის განაწილება

გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩამტარებელმა რესპუბლიკანურმა კომისიამ დაადგინა თესვის კამპანიისათვის დამზადებული 18.000 ფუთი სათესი სიმინდი განაწილდეს მაზრებს შემდეგი რაოდენობით:

ზუგდიდის მაზრას—6.500 ფუთი, სენაკის მაზრას—3.000 ფუთი, ოზურგეთის—2.000 ფ., შორაპნის—1.500 ფ., რაჭის—1.000 ფ., ქუთაისის—1.000 ფ., გორის—1.000 ფ., დუშეთის 1.000 ფ. და თბილისის მაზრას—1.000 ფუთი.

სიმინდი უკვე გადაეგზავნათ მაზრებს.

20.000 ფ. ქერი

თესვის კამპანიის ჩამტარებელ რესპუბლიკანურ კომისიის დადგენილებით, დამზადებული მაზრებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის განაწილებული იქნება 20.000 ფუთი ქერის თესლი.

თესლი გადაეგზავნათ: სამხრეთ-ოსეთს—2.000 ფ., თბილისის მაზრას—4.000 ფ., დუშეთის მაზრას—3.000 ფ., გორის—3.000 ფ., ბორჩალოს —2.500 ფ., ახალციხის—1.000 ფ., თელავის—3.000 ფ., ახალქალაქის—1.000 ფ., რაჭის—300 ფუთი და ლეჩხუმის მაზრას—2000 ფუთი.

* * *

ქ რ ო ნ ი კ ა

უვარგისი გუთნები

აფხაზეთის სას.-სამეურნეო კოოპერატიული კავშირის შუამდგომლობის თანახმად, „ზაკსელმაში“-მა საბჭოთა სავაჭრო ფლოტის საშუალებით აფხაზეთის სხვადასხვა პუნქტებში გადაგზავნა 1.220 გუთანი და სხვა სას.-სამეურნეო იარაღები. გუთნები და სხვა იარაღები გაგზავნილი იყო სავსებით ვარგისი, აფხაზეთში მიტანისას კი გუთნები უვარგისი აღმოჩნდა. ამას გარდა გზაში დაიკარგა ცალკე ნაწილები.

აცნობა რა ამის შესახებ ამიერ-კავკ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის და თესვის კამპანიის რწმუნებულს ამიერ-კავკასიაში, „ზაკსელმაში“-მა განაცხადა, რომ სატრანსპორტო ორგანიზაციები პასუხისმგებელი უნდა იყონ ამ ტვირთების დაუზიანებლად მიტანისათვის, რომლებსაც მათ აბარებენ.

სპეციალისტები და ეკონომიური კონტრ-რევოლუცია

შახტის კონტრ-რევოლუციონური შეთქმულება შემთხვევითი ეპიზოდი არაა. ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას არ მივაქცევდით იმას, რომ ინჟინრების ერთი ჯგუფი მოსყიდული აღმოჩნდა. მარტო ეს რომ ყოფილიყო, მაშინ ჩვენ ამ ამბავს სათანადო ნომრით შევიტანდით სისხლის სამართლის საქმეების სიაში. მაგრამ შახტის შეთქმულებაში მოჩანს განსაზღვრული პრინციპიალური ხაზი, რომელიც ასაბუთებს და ამართლებს საბჭოთა ხელისუფლებისათვის ეკონომიურად ძირის გამოთხრას.

ამ ამბავმა შეაშფოთა ინჟინერ-ტექნიკოსთა მთელი საზოგადოებრიობა და ალბად იგი მეტად მნიშვნელოვანი ეტაპის როლს შეასრულებს ჩვენი ინტელიგენციის რიგებში ახალი, სრულიად და მთლიანად საბჭოთა იდეოლოგიის ჩამოყალიბებაში.

შახტის საქმე უეჭველად გამოძახილია (თუ გამოძიების დროს უშუალო კავშირი არ გამოირკვევა) იმ „სმენოვეხურ“ იდეოლოგიისა, რომლის ნიშან-ქვეშაც ინტელიგენციის თვალსაჩინო ნაწილი ფრთხილი ნაბიჯით იწყებდა აქტიურ საბჭოთა მუშაობას. თავის დროზე „სმენოვეხოვშჩინას“ მხოლოდ იდეური კრიტიკა გაუწიეთ და მით შევიწყნარეთ იგი, როგორც დროებითი გარდამავალი სტადია ინტელიგენციის ამ ნაწილის სულიერ განწყობილებაში, რომელიც ხელს იღებდა საბოტაჟზე და კონტრ-რევოლუციისათვის ზურგის გამაგრებაზე.

შახტის ღალატი შესაძლებელი შეიქმნა მხოლოდ იმის წყალობით, რომ უფსკრული გაითხარა, ერთის მხრით, სპეციალისტების უმრავლესობის იმ აქტიურ და შეგნებულ მონაწილეობას შორის, რომელსაც ადგილი აქვს უკანასკნელი წლების ჩვენს შემოქმედებით მუშაობაში და, მეორე მხრით „სმენოვეხელობის“ იმ ფსიხოლოგიის ნაშთებს შორის, რომელიც არსებობდა ახალი ეკონომიური პოლიტიკის წინ. პოლიტიკურად ჩამორჩენილ სპეციალისტების განსაზღვრულ წრეებში „სმენოვეხურ“ აზრებისა და სულისკვეთების იდეოლოგიური გავლენით აიხსნება, რომ შეთქმულთა მოქმედებამ (რაც შეუძლებელია არ შეემჩნიათ მცოდნე პირებს) არავითარი წინააღმდეგობა არ გამოიწვია და თავის დროზე არ გამომჟღავნდა თვით სპეციალისტების წრეებში. ინჟინრების, ტექნიკოსების, სამეცნიერო მუშაკების და სპეციალისტების სხვა კატეგორიათა გამოსვლის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ აღნიშნონ თავისი მოქმედების ნათელი, მკაფიო, პრინციპიალური ხაზი საბჭოთა მეურნეობასა და სახელმწიფოში. ინტელიგენცია და საბჭოთა ხელისუფლება საკმაოდ დაუახლოვდნენ ერთმანეთს. უკვე ბევრი რამ არის გაკეთებული ერთსულოვანი შეერთებული მუშაობით. საბჭოთა მეურნეობის მექანიზმისათვის სპეციალისტები აუცილებელ და ძვირფას ნაწილს წარმოადგენენ. მაგრამ მუშაობა შეუძლებელია ჩვენი სამეურნეო განვითარების გრანდიოზული ამოცანების პირობებში, თუ კი ადამიანი სანახევრო პოზიციაზე იდგება, თუ, ერთის მხრით, საჭიროდ სცნობს დღევანდელი დღის ამოცანებს, ხოლო, მეორე მხრით, უარჰყოფს და არ ირწმუნებს ჩვენი მეურნეობის საფუძვლებს.

დამახასიათებელია, რომ შახტის საქმე სწორედ ახლა გამომჟღავნდა, რეკონსტრუქციის პერიოდში, როდესაც ჩვენ პირისპირ ვსწყვეტთ კაპიტალური მშენებლობის თვითღირებულების და რაციონალიზაციის ურთულეს პრობლემებს. სანამ შესაძლებელი იყო დავალებათა მხოლოდ მექანიკური შესრულება და ვაი-ვაგლახით მუშაობა, მანამდე ფორმალურად შეიძლებოდა საბოტაჟური კონტრ-რევოლუციონური მოქმედების დამალვა უსულგულო ფორმალიზმისა და საქმის ჩინოვნიკური შესრულების წყალობით. მაგრამ როგორც კომუნისტი, ისე უპარტიო მუშაკებისადმი ჩვენი ახალი მოთხოვნილებანი იმის შესახებ, რომ საქმეს გულმხურვალედ მოეკიდებოდნენ, თაოსნობა გამოეჩინათ, შეეგნოთ სრული, არაფორმალური პასუხისმგებლობა, — საუცხოო საშუალება გამოდგა იმისათვის, რომ მზის სინათლეზე გამოსულიყვნენ მუშათა კლასისათვის უცხო და მტრული მუშაკები.

საერთოდ ინტელიგენციის წინაშე და განსაკუთრებით სპეციალისტების წინაშე ამოცანაა დასახული იმის შესახებ, რომ მკაფიოდ და უყოყმანოდ ჩამოაყალიბონ თავისი დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობისადმი. ყოველი მხრიდან მოსული ცნობები, მეტადრე მოსკოვისა და მოსკოვის გუბერნიის ინჟინერ-ტექნიკოსთა მრავალრიცხოვანი კრების რეზოლიუცია (ამხ. კუიბიშევის მოხსენების გამო), გვარწმუნებს, რომ სპეციალისტების რიგებში ამ საკითხის გარშემო ყოყმანი არ არის. რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ ინჟინერ-ტექნიკოსნი მზად არიან შესწირონ თავისი ენერგია, გამოცდილება და ცოდნა სოციალისტური მშენებლობის საქმეს. ბევრი სხვა ფაქტიც (სოციალისტური მშენებლობის ხელშემწყობი საზოგადოების დაარსება თვალსაჩინო უპარტიო მეცნიერთა ჯგუფის მიერ, პროფესორ-ქიმიკოსების საინიციატივო მიმართვა მთავრობისადმი და მათი კონკრეტული წინადადებანი სამეურნეო გეგმის შესახებ) ადასტურებს, რომ ინტელიგენციის წრეებში, ჯერ კიდევ შახტის საქმემდე, შეგნებული ჰქონდათ პროლეტარული სახელმწიფოსათვის პრაქტიკული მუშაობის პრინციპიალურად დასაბუთების საჭიროება. შახტის ეპიზოდი დააჩქარებს ამ პროცესს და ჩააბამს მასში არა მარტო მოწინავე აქტივს, არამედ სპეციალისტების ფართო მასასაც.

მთავრობა უაღრესად ფართო საშუალებას აძლევს სპეციალისტებს, რომ გამოიჩინონ თავისი უნარი და ნიჭი პრაქტიკულ და მეცნიერულ მუშაობაში. ხშირად გვესმის ჩივილი არანორმალური პირობების შესახებ, რომლებშიაც სპეციალისტები მუშაობენ, და იმის შესახებ, რომ მუშები და პროფორგანოები მათ კარგად ვერ ექცევიან. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს თითოოროლა შემთხვევაა. პარტია და პროფკავშირები შეუდრკელად ებრძვიან სპეცჭამიობას, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ შეუძლებელია არანორმალური დამოკიდებულების აღმოფხვრა (სა[illegible]ცა იგი არსებობს), თუ თვით სპეციალისტები ამ საქმეში აქტიურ მონაწილეობას არ მიიღებენ. სპეციალისტებს ხომ არასოდეს არ ჰქონიათ და ვერავითარი სხვა წესწყობილების დროს ვერ ექნებათ ისეთი ფართო თვითმოქმედება, თაოსნობისა და კრიტიკის თავისუფლება, როგორც ჩვენში. პირდაპირ სასაცილოა გახსენება სპეციალისტების მდგომარეობისა წარსულში. გარეგანი ბრწყინვალების მიუხედავად, ისინი მხოლოდ უბრალო ამსრულებლები იყვნენ და ვერ ხელყოფდნენ იმ ფარგლებს, რომლებსაც ბატონის ქისა მიუჩენდა მათ. საბჭოთა ხელისუფლება სპეციალისტებისაგან შემოქმედებას მოითხოვს და საშუალებასაც აძლევს მათ, რომ შემოქმედნი იყვნენ.

ჩვენ კვალიფიკაციური სპეციალისტები ისე ძალიან გვესაჭიროება და არსებული კადრები ისე მცირეა, რომ არავითარი საფუძველი არა აქვს კონკურენციას ძველ და ახალ სპეციალისტებს შორის, თუ კი ამოცანები სწორედ იქნება გაგებული. საფუძველი არა გვაქვს აგრეთვე, რომ მოვერიდოთ უცხოელი სპეციალისტების დახმარებას.

სწორედ აღნიშნა ამხ. კუიბიშევმა, რომ ჩვენს ქვეყანაში ტექნიკური მუშაობისათვის დაულეველი სარბიელი არსებობსო. ეს გარემოება უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს ძველ სპეციალისტებს, რომელთა ხელმძღვანელი როლი წარმოებაში უდავოა რამდენიმე წლის განმავლობაში, და ახალ პროლეტარულ სპეციალისტებს, რომლებმაც არავითარი [illegible] არ უნდა გამოიჩინონ და ინტენსიურად შეითვისონ დაგროვებული ტექნიკური გამოცდილება.

საბჭოთა მთავრობა ანიჭებს ჩვენს სპეციალისტებს ფართო თვითმოქმედების საშუალებას და თაოსნობას სამეურნეო მშენებლობაში, მაგრამ ეს დაკავშირებულია დიდ პასუხისმგებლობასთან. ახლანდელი მასიური მოძრაობა სპეციალისტებს შორის იმას მოწმობს, რომ ისინი სიამოვნებით კისრულობენ ამ პასუხისმგებლობას, თავიდან იშორებენ „სმენოვეხოვშჩინის“ ყველა ნაშთებს და მთლიანად იზიარებენ იმ ამოცანებს, რომლებიც დასახულია საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის წინაშე.

„იზვესტია“, 30 მარტი.

პარტიული ცხოვრება

სოციალური მდგომარეობის განსაზღვრა

დღემდე ბევრ გაუგებრობას აქვს ადგილი პარტიის წევრთა ან პარტიაში ახლად მისაღებ პირების სოციალური მდგომარეობის განსაზღვრის დროს. ჯერ ერთი ბევრ ორგანიზაციებში სწორად არა აქვთ გარკვეული თუ რომელ და რანაირ სოციალურ ჯგუფს უნდა იქნან დანაწილებული პარტიაში მისაღები ან უკვე მიღებული პარტიის წევრები. გარდა ამისა ბევრ შემთხვევაში არ იციან, რით იხელმძღვანელონ სოციალური მდგომარეობის განსაზღვრის დროს, წარსულ თუ ეხლანდელ პროფესიით და სხვა.

საკავშირო კომპარტიის ცეკას დადგენილებას (1928 წ. 13 მარტი) სრული გარკვეულობა შეაქვს ამ საკითხში. დადგენილებაში პირველ ყოვლისა აღნიშნულია, რომ არსებობს სამი ძირითადი სოციალური ჯგუფი; 1) მუშები, 2) გლეხები და 3) მოსამსახურეები. პარტიის წევრები ან პარტიაში ახლად მისაღები პირები უნდა მივაკუთვნოთ ერთ-ერთ ამ ძირითად სოციალურ ჯგუფს.

შემდეგ ცეკას დადგენილება იძლევა იმის განმარტებას, თუ ვინ უნდა მივაკუთვნოთ ამა თუ იმ ჯგუფს. დადგენილებაში ნათქვამია, რომ კომუნისტებისა და პარტიაში შესვლის მსურველთა სოციალური მდგომარეობა უნდა განისაზღვროს ძირითად ხელობით და იმ მდგომარეობით, რომელიც უჭირავს წარმოებაში ამ თუ იმ პირს პარტიაში შესვლამდე.

იმ შემთხვევაში, როცა არ არის შესაძლებელი რომ ესა თუ ის პირი მიეკუთვნოს ერთ-ერთ ამ ძირითად სოციალურ ჯგუფს, საღრიცხვო ბარათებში უნდა აღინიშნოს შრომის ცალკე სახელწოდება, მაგალითად „შინამრეწველი“, „დიასახლისი“, „ხელოსანი“, „მოსწავლე“ და სხვა.

რაც შეეხება იმას, თუ როგორ უნდა იქნან განხილულნი პარტიაში შესვლის დროს ის პირები, რომელნიც მუშაობენ სადმე არჩევით, დანიშვნით, ან სწავლობენ და ან კიდევ წითელ არმიაში არიან, ცეკას დადგენილება ამბობს, რომ ასეთ პირების სოციალური მდგომარეობა განისაზღვრება მათი იმ ძირითადი სამუშაოთი რომელსაც ისინი ეწეოდნენ არჩევამდე, დანიშვნამდე, სასწავლებელში ან წითელ არმიაში შესვლამდე.

ვინ უნდა იქნას მიკუთვნებული მუშების რიცხვს? ამ ჩვენ ცეკას დადგენილებაში შემდეგ პასუხს ვპოულობთ: „მუშების“ სოციალურ ჯგუფს ეკუთვნის ის პირები, რომელთა ძირითადი სამუშაო პარტიაში შესვლამდე იყო დაქირავებული ფიზიკური შრომა მრეწველობის, ტრანსპორტისა და სოფლის-მეურნეობის ყველა დარგში“.

არის მაგალითები, როცა დაქირავებულ პირებს აქვთ საკუთარი მეურნეობაც. რომელ ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ ისინი? „ის პირები, ამბობს ამის შესახებ ცეკას დადგენილება, რომელნიც მუშაობენ, როგორც მუდმივად დაქირავებული მუშა ხელი, წარმოებაში, ტრანსპორტზე და სოფლის მეურნეობაში და ამავე დროს პირადი შრომით მონაწილეობას ღებულობენ თავის მეურნეობაში სოფლად, უნდა მივაკუთვნოთ მუშების სოციალურ ჯგუფს“.

მუშებს ეკუთვნიან აგრეთვე ის კომუნისტები, რომელთა ძირითად ხელობას პარტიაში შესვლის შემდეგ წარმოადგენს დაქირავებული ფიზიკური შრომა მრეწველობაში, ტრანსპორტზე და სოფლის მეურნეობაში.

სეზონის მუშები კი მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლებიან მუშებად თუ სასეზონო მუშაობა წარმოადგენს მათი არსებობის ძირითად და მუდმივ წყაროს. გარდა ამისა მუშებად ჩაითვლება მრეწველობისა და ტრანსპორტის მოსამსახურე დაბალი პერსონალი.

რაც შეეხება იმას თუ ვინ უნდა მივაკუთვნოთ „გლეხთა“ და „მოსამსახურეთა“ სოციალურ კატეგორიას, ამაზე შემდეგ.

დ. ბ—ი.

შევამციროთ უსარგებლო სხდომები

პარტიული მუშაობის რაციონალიზაციის ამოცანა, რომელიც დასმულია ჩვენი ორგანიზაციების წინაშე პირველ ყოვლისა მოითხოვს ზედმეტი, უსარგებლო სხდომების შემცირებას და საერთოდ მტკიცე რეგლამენტის გამომუშავებას პარტორგანოების საქმიანობისათვის.

ვინც დაკვირვებია ჩვენი უჯრედების მუშაობას, შეამჩნევდა, რომ სხვადასხვა კომისიებისა და თათბირების სხდომები არაა გაწესრიგებული: ზოგჯერ, ხშირად იწვევენ სხდომას, ზოგჯერ-კი მთელი თვეობითაც არ შესდგება. უფრო ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს სხდომა-თათბირების ხშირი გამართვა, რაც იწვევს საუჯრედო აქტივის ზედმეტ დატვირთვას და დროისა და ენერგიის ტყუილ-უბრალო ხარჯვას.

სხდომების სიხშირის ერთ-ერთი მიზეზია ერთი და იმავე საკითხების დასმა რამოდენიმე სხდომაზე. ცხადია ეს მოვლენა უნდა მიეწეროს იმას, რომ განსახილველი საკითხი წინასწარ სათანადოთ არ მზადდება, რის გამოც შეუძლებელი ხდება მისი გადაჭრა პირველ სხდომაზევე.

სწორედ ამიტომ სხდომების რაოდენობის შემცირების პარალელურად უნდა მოხდეს მათი საქმიანობის თვისობრივი მხარის გაუმჯობესება, ე. ი. უკეთ სწარმოებდეს დღის წესრიგში დასმულ კითხვების წინასწარი დამუშავება, მათი განხილვა უნდა ხდებოდეს წინადადებებისა და კონკრეტიულ ფაქტების თვალსაზრისით და აგრეთვე, მტკიცედ უნდა იქნეს დაცული თვით სხდომების რეგლამენტი (სხდომის გახსნა დანიშნულ დროზე და სხვ.).

მეორე აუცილებელ პირობას სხდომების მეტი ნაყოფიერებისათვის წარმოადგენს პარტდატვირთვის უფრო თანაბარი განაწილება პარტიის წევრ და კანდიდატებს შორის. შემჩნეულია, რომ უჯრედებში ყველა თათბირებზედ იწვევენ ერთსა და იმავე ამხანაგებს. უნდა ვეცადოთ მომავლისათვის გამოვასწოროთ ეს ნაკლი და სხვადასხვა თათბირებზედ მონაწილეობა დავაკისროთ სხვადასხვა ამხანაგებს. ეს ღონისძიება გააცოცხლებს სხდომა-თათბირების მუშაობას და ხელს შეუწყობს ახალი საუჯრედო აქტივის წამოზრდის საქმესაც.

სხდომების რიცხვის შემცირებასთან ერთად აუცილებელია შემოკლდეს მომხსენებლებისათვის განსაზღვრული დროც.

უნდა ვიფიქროთ, რომ ჩამოთვლილი ზომები თუ სავსებით არა, ნაწილობრივათ მაინც უზრუნველყოფენ დროის ბიუჯეტის რაციონალურ გამოყენებას და მის მტკიცედ დაცვას.

კამდი.

პარტგანათლება მაზრებში

დუშეთი

დუშეთში გახსნილია 2 მოძრავი პოლიტცოდნის სკოლა (2 სკოლა უკვე გამოშვებულია), რომლებშიაც მეცადინეობს 48 მსმენელი. სტაციონარული სკოლა არის 2, მსმენელებით 58; ნორმალური სკოლა 1—22 მსმენელით და 1 პროპაგანდისტების კურსები 13 მსმენელით. სულ მაზრაში პარტგანათლების ქსელში არის ჩაბმული 141 კაცი. აქედან პარტიული და კანდიდატთა რიცხვი არის 75; კომკავშირელი 45; უპარტიო 21; ქალები 23; ამას გარდა მეცადინეობს სადელეგატო პუნქტები, რომელთა რიცხვი მაზრაში უდრის 4, დელეგატი ქალები კი 93.

ბორჩალო

მოძრავ სკოლების რიცხვი ბორჩალოში არის 3, რომლებშიაც მეცადინეობს 113 მსმენელი. სტაციონარული სკოლები მაზრაში არაა. ქალაქის შემოკლებული ტიპის სკოლები 2—46 მსმენელით. ნორმალური სკოლა 1—24 მსმენელით. მიმდინარე პოლიტიკის წრეები არის 5, რომლებშიაც მუშაობს 115 კაცი, სადელეგატო პუნქტებია მაზრაში 8, მსმენელთა რიცხვი 187. ამრიგად პარტგანათლების ქსელში ჩაბმულია მაზრაში დელეგატ-ქალების გარდა 298 კაცი. აქედან პარტ. წევრი და კანდიდატია—149; კომკავშირელი 137; უპარტიო—19, ქალები—48.

გურია

ოზურგეთის მაზრაში ამჟამად მუშაობს 8 სტაციონარული სკოლა, რომლებშიაც გაერთიანებულია 117 მსმენელი; მოძრავი სკოლების რიცხვი არის 5—124 მსმენელით. სულ პარტგანათლების ქსელში ჩაბმულია 241 მსმენელი. აქედან პარტ. წევრი და კანდიდატია—110; კომკავშირელი 110; უპარტიონი—21, ქალები—24.

ამას გარდა მაზრაში მუშაობს 35 სადელეგატო პუნქტი, რომლებშიაც ჩაბმულია 1049 დელეგატ-ქალი.

თელავი

მაზრაში მუშაობს 8 მოძრავი სკოლა, 210 მსმენელით; 2 ნორმალური სკოლა 119 მსმენელით. სულ პარტგანათლებაშია ჩაბმული 329 მსმენელი. აქედან პარტიის წევრი და კანდიდატია—126, კომკავშირელი 78, უპარტიო 125, ქალი 20. ქალთა სადელეგატო პუნქტების რიცხვი არის 22, რომლებშიაც ჩაბმულია სულ 545 მსმენელი.

შეცდომის გასწორება

1. ჩვენი გაზეთის № 73-ში კოოპერაციის საპაიო კამპანიის შესახებ მოთავსებულია საქ. კპ. ცეკას ცირკულიარული წერილი, რომლის „გ“ პუნქტში გაიპარა კორექტურული შეცდომა, სწერია: საერთო კრებებზე „უნდა დაესწრონ არა ის მუშები, მოსამსახურეები და გლეხები, რომელნიც ჯერ კიდევ არ არიან კოოპერაციის წევრი“. უნდა იყოს: საერთო კრებებზე „უნდა დაესწრონ ის მუშები, მოსამსახურეები და გლეხები, რომელნიც“ და სხ.

2. „კომუნისტი“-ს ამავე ნომერში მოთავსებულია უმაღლეს კომუნ. უნივერსიტეტში მიღების პირობები. სადაც გამოტოვებულია ცნობა იმის შესახებ, რომ ა.-კ. [illegible] უნივერსიტეტში [illegible] მაზრას [illegible] 1 ადგილი.

კონკურსი საუკეთესო სექციებზე

ჯანმრთელობის სექციის ინიციატივით ბევრი მნიშვნელოვანი საკითხია მოგვარებული

სამაგალითოდ მუშაობდნენ დანირ-მაგნიუმსაბჭოს საამშენებლო და საგზაო სექციები

საბჭოთა სექციების ნაკლი და მიღწევები

გორის საბჭო

(წერილი გორიდან)

ჯანმრთელობის სექცია

ჯანმრთელობის სექცია შეუდგა მუშაობას 1927 წლის 14 აპრილს. ამოირჩია ხელმძღვანელი ბიურო, რომელსაც დაევალა გეგმის შედგენა, გაიყო ქალაქი 4 უბნათ და თითოეულს მიამაგრა სანიტარული კომისია. ამ კომისიებს მიეცათ ინსტრუქცია-განმარტება თავიანთი მუშაობის საწარმოებლად. სექცია შედგება 26 წევრისაგან, [illegible] დეპუტატები. მიმაგრებული აქტივი არ არის, მიუხედავად იმისა, რომ ქალ. საბჭ. პრეზიდიუმმა არა ერთხელ მიმართა კავშირებს გამოეყოთ ამხანაგები სექციის სამუშაოთ. სექციას აქვს, როგორც სამუშაო წლიური გეგმა, ისე კვარტალური გეგმა, ხელმძღვანელობს ცხრილით და ამის მიხედვით ატარებს თავის მუშაობას. სულ 12, რომელზედაც გაირჩა 58 საკითხი, უმეტესად საკითხები მიერ წინასწარ არის დამუშავებული. სექციის სხდომებზე დასწრება საშუალოდ უდრის 50 პროცენტს, რაც იმით აიხსნება, რომ დღიდან არჩევისა, სექციას მექანიკურათ გამოაკლდა 4 წევრი, რამაც სათანადოთ შეამცირა დასწრების პროცენტი. კალენდარული ცხრილი შესრულებულია 100 პროც., ე. ი. სხდომები ხდება დანიშნულ დროს და წინასწარ განსაზღვრული ყველა საკითხები გარჩეულია, გამოტანილია და დამუშავებული დადგენილებები და გადაგზავნილია საბჭოს, რის შემდეგ სექციას აღრიცხული აქვს ბიუროებში გატარებული საკითხები და ყოველთვის დატოვილები და ამის მიხედვით სექციამ შესძლო თავის დადგენილებების 80 პროც. ცხოვრებაში გატარება.

სექციამ შეისწავლა შემდეგი სამუშაო: სანიტარული კომისიების ანგარიშები [illegible] უბნების და ყურადღება აქციეს [illegible] დაცვას, დამუშავებულია აბანოების მოწყობის საკითხი და გარდა ამისა შესწავლილია ქალაქის მთელი სანიტარული ტრანსპორტი, რის შედეგად—1.300 მანეთი თითო-ეული [illegible] შეიძინა სექციამ. უბნებში სპეციალური კრებების მოწვევით, შესწავლილ იქნა ქალაქის სანიტარული მდგომარეობა, რის შედეგად გამოვიდა სავალდებულო დადგენილებების პროექტი, რაც უკვე შემოღებულია სანიტარულად. შესწავლილი და მოგვარებულ იქნა რკინის გზის უბნის მცხოვრებლებისათვის რკინის გზიდან წყლით სარგებლობის საკითხი. შესწავლილია სახაკლაოს მდგომარეობა და გამომუშავებული [illegible] პრეზიდიუმს და საბჭოს, რომელმაც უკვე გაატარა ცხოვრებაში. მიღებულ იქნა ზომები ქალაქის ბაზრის სხვა ადგილზე გადატანისათვის. სექციამ დროზე მიიღო გამაფრთხილებელი ზომები მუცლის ტიფის გავრცელების წინააღმდეგ, რაც დადასტურებულ იქნა პრეზიდიუმის მიერ. სანიტ.-კომისიებს ავალებს და ადგენს თავიანთ სანიმუშო [illegible] საჭიროებს, [illegible] მიზნით, [illegible] ყურადღება [illegible] გამორკვეულ იქნა, რომ [illegible] ქარხნის პატრონები [illegible] ზომები და მათ [illegible] შემდეგი [illegible] მუშაობა: 1. წითელ-ჯვრის საამბულატორიო, 2. ამბულატორიისა, 3. ვენდისპანსერის და 4. სამალარიო სადგურისა, მათ [illegible] დახმარება, შენობების აშენებით და სხვა.

სექციას მჭიდრო კავშირი ჰქონდა საბჭოსთან და მის გეგმის შედგენაში და დადგენილების ცხოვრებაში გატარებით [illegible] მონაწილეობა. გარდა ამისა ის არ მოსწყვეტია თავის ამომრჩევლებს და ანგარიში ჩააბარა [illegible], ისე პროფკავშირის ხაზით, სადაც მისი მუშაობა მთლიანათ იქნა მოწონებული და მიეცათ დამატებითი განაწესი მომავალი მუშაობის საწარმოებლად.

ამნაირად სექცია მუშაობდა ძალიან ნაყოფიერად თუ მხედველობაში არ მივიღებთ მეორე ნაკლს სექციასთან აქტივის არ ყოლის შესახებ.

ტეტია.

დანირ-მაგნის საბჭო

(ქუთაისის მაზრა)

(წერილი დანირიდან)

დაწყებულია თემსაბჭოს მუშაობის გარჩევის კამპანია. საბჭო აბარებს თავის ანგარიშს ამომრჩევლებს. თემთან ჩამოყალიბებულია ხუთი სექცია: საამშენებლო, საგზაო, სასოფლო-სამეურნეო, კულტურულ-განმანათლებელი და საექიმო-სანიტარო. სექციების მუშაობაში გარდა სექციის წევრებისა ჩაბმულია [illegible] ღარიბი გლ., საშუალო გლეხთა აქტივი, კომკავშირი, ინტელიგენცია, პროფკავშირები და თუმცა სუსტად, მაგრამ გლეხქალებიც.

საამშენებლო სექცია

სექცია მუშაობას აწარმოებდა წინასწარ შემუშავებული გეგმით ადმინისტრაციის და [illegible] დარგში. აღნიშნ. სექციას დღიდან შექმნისა ჰქონდა [illegible] სხდომა, გარჩეულია 18 საკითხი. სექციის ინიციატივით შეკეთებულია [illegible], გახსნილია წით. [illegible], შეღებილ და შეკეთებულ იქნა სახასახლო, ალმასკომის, 7-წლედის, 4-წლედის [illegible] შენობები. ამ [illegible] დაწყებულია მუშაობა გლეხ. ახ. [illegible]ნებისათვის. ხსენებული სექცია ძალიან დამაკმაყოფილებლად მუშაობდა.

საგზაო სექცია

საგზაო სექციაში ჩაბმულია [illegible] საბჭოს წევრი და არა წევრი [illegible] გლეხები. სექციას ჰქონდა 4 სხდომა, [illegible] გაირჩა 9 საკითხი. შემუშავებულ გეგმიდან სექციის საზრუნავ საქმეს წარმოადგენს გზების გაფართოება-შეკეთება და [illegible] ადგილებზე ხიდების აგება. აღსანიშნავი მხრივ სექციის თაოსნობით მუშაობა [illegible] გაფართოებული იქნა [illegible] მნიშვნელოვანი გზები. აგებულია [illegible] წლობით და გლეხობის უფასო მონაწილეობით ცემენტის 12 და [illegible] ბოგირები.

საგზაო სექციის მუშაობა ხშირად უნდა ჩაითვალოს.

სასოფლო-სამეურნეო სექცია

აღნიშნულ სექციის მუშაობიდან [illegible] იყო ადგილობრივ მეურნეობასთან. სექციას სხდომებიდა 8-ჯერ, რომელზედაც 18 საკითხი განიხილა. სექციის მუშაობა [illegible] საკითხებს მოგვარება. სექციის მუშაობა უარყოფით მხარეებს [illegible]ბა. სექციის წევრთა ხშირი [illegible] და წინასწარ სამუშაო გეგმის შეუმუშავებლობა, ნაკლები ყურადღება აგრო-გამოცდილებისათვის მოსახლეობაში, ყოველივე ეს ასუსტებდა სექციის წარსულ მუშაობას, მომავალში უნდა გამოსწორდეს.

კულტურულ-განმანათლებლო სექცია

მიუხედავად იმისა, რომ აქციაში მთელი კულტურული ძალები იყო ჩაბმული, მის მუშაობას თავიდანვე სისტემატიური [illegible] არ [illegible]. ამის [illegible] ის, რომ სექციის მთლიანად [illegible] სხდომა. დღიდან არჩევისა ერთხელ არ მოუწვევია სამკითხველოს და სხვადასხვა კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულება მოხსენებებით,—ნაკლები ყურადღება ჰქონდა წრეების მუშაობას, აგრეთვე სექციას ჰქონდა წინასწარ შემუშავებული სამი გეგმა, სექციაში არ იყო ჩაბმული გლეხქალთა მასები. საბჭომ თავის სხდომაზე [illegible] მიუთითა სექციას მუშაობის გაცხოველებაზე.

საექიმო-სანიტარ. სექცია

სექციის უმთავრეს საზრუნავ საქმეს შეადგენდა სოფლის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა, სექციის ყოველივე [illegible] ადევნებდა თვალყურს სოფლებში [illegible] დაცვას. სექციის ნაყოფიერ მუშაობის [illegible] თავად მთლიან საბჭოს საზრუნავ საქმეს წარმოადგენს მომავლისათვის. სექციის სხდომა ჩატარდა 4-ჯერ, გაირჩა [illegible] საკითხი. სექციის მთავარ ნაკლს შეადგენს ის, რომ წინასწარ სამუშაო გეგმა არ შეუდგენია, მასთან სექციის სხდომები არ იმართებოდა სისტემატიურად.

სექციის მუშაობის ნაკლოვანებანი

ზოგ სექციების მთავარ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მათ არ ჰქონდათ წინასწარ შემუშავებული გეგმა და სექციების ზოგი წევრები ვერ ერკვეოდნენ თავიანთ უფლება-მოვალეობაში. სექციების მუშაობის გამოცოცხლებისათვის ალმასკომმა ჩაატარა სექციების თავმჯდომარეების თათბირი, სადაც მიუთითა ნაკლოვანებებზე და დაავალა მუშაობის შემდგომი გაცხოველება.

აღსანიშნავია თემსაბჭოს მუშაობა ღარიბ და საშუალო გლეხობის კოოპერაციაში გაერთიანებისათვის. [illegible] თემის მოსახლეობა [illegible] კოოპერაციის წევრებით, [illegible] წიგნაკ შეიძინა, რაც უკვე შეიძინა მცხოვრებთა ერთმა მეხამედმა. თემსაბჭოს ხელმძღვანელობით გახარჯულია 1.500 მან. გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის [illegible], რომელიც გლეხობამ შეიძინა კოლექტიურად. მომავალში სექციებმა ღარიბ და საშუალო გლეხობას, გლეხ-ქალებს, სოფელში მომუშავე ინტელიგენციას, კომკავშირის აქტივის და [illegible] ჩაბმით და წარსულ გამოცდილებათა გამოყენებით, უნდა წარმართოს თავისი მუშაობა.

ვლასი გალდავა.

გაზ. „კომუნისტი“-ს პრემიები

სექციების მუშაობის შესახებ დაწერილ საუკეთესო კორესპონდენციების ავტორებს ჩვენი გაზეთი აჯილდოებს პრემიებით

დანიშნულია ათი პრემია:

პირველი	პრემია	ვ. ი. ლენინის	თხზულ.	5 წიგნი და 40 მან.
მეორე	„	ფ. მახარაძის	„	7 წიგნი და 30 მან.
მესამე	„	ვ. ა. ნინოშვილის	„	2 წიგნი და 25 მან.
მეოთხე	„	მხოლოდ ფულად		25 მანეთი
მეხუთე	„	„	„	20 „
მეექვსე	„	„	„	15 „
მეშვიდე	„	„	„	10 „
მერვე	„	„კომუნისტი“		6 თვით
მეცხრე	„	„		4 „
მეათე	„	„		2 „

ქორეთის თემსაბჭო

(შორაპნის მაზრა)

(წერილი ქორეთიდან)

ქორეთის თემსაბჭოსთან ჩამოყალიბებულია 7 სექცია. საგზაო, სანიტარულ, კულტურულ-საგანმანათლებლო, საკოოპერაციო, საფინანსო, საამშენებლო და სამეურნეო. ამათში თავისი მუშაობით პირველ რიგში დგას საგზაო სექცია, რომლის თავმჯდომარედ ითვლება 70 წლის მოხუცი ამხ. აბესალომ აბდუშელიშვილი. გზები და ბოგირები შეკეთებულია 80 პროც., ალმშენებლობაც კარგადაა დაყენებული. გამოყვანილ იქნა წყალი [illegible] საგენზე ალმასკომთან, რაც დაჯდა 700 მანეთი. კეთდება ხუთ-ოთახიანი ორსართულიანი შენობა, რომელიც მოკლე ხანში დამთავრდება.

დანარჩენი სექციები სუსტად მუშაობენ. საჭიროა თემალმასკომმა მომავალში მეტი ყურადღება მიაქციოს სექციების მუშაობის გამოცოცხლებას.

ხაირხელი.

აცანის თემსაბჭო

(წერილი აცანიდან)

კულტგანმანათლებელი სექცია

ჩვენ თემში კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას სავსებით ხელმძღვანელობს ხსენებული სექცია. მათ მუშაობაში ფართოდ მონაწილეობას იღებს საბჭოს არა წევრებიც, როგორიცაა: კომკავშირის ქალთა ორგანიზაციის და უპარტიო ახალგაზრდების კულტ-აქტივი.

ზამთრის თვეში შუარი გაზაფხულისა და ზაფხულის პერიოდში როგორც ფასიანი, ისე უფასო წარმოდგენები, ცეკვები ლიტერატურული გასამართლებები, ლექციები და საუბრები სხვადასხვა სანიტარულ საკითხებზე და სხვა. ფასიან წარმოდგენებ-საღამოებიდან შემოსული თანხა სავსებით ხმარდება თემის კულტურულ საჭიროებას.

აცანის თემში 3 სამკითხველოა, რომლებსაც კულტსექცია თავისი თანხით უწერს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებს. ამავე სექციამ შეაკეთა ცენტრალური სამკითხველოს შენობა, რომელზედაც დაიხარჯა 650 მანეთი; შეძენილ იქნა სცენისათვის სხვადასხვა მოწყობილობანი.

კულტურულ-განმანათლებლო სექცია აქტიურ ხელმძღვანელობას უწევს ყოველ მხრივ სამკითხველოების მუშაობას. ამჟამად ცენტრ. სამკითხ. ჩამოყალიბებულია: ლიტერატურული, დრამატული, ეკონომიური, პოლიტიკური და სამხედრო წრეები; აქვე ჩამოყალიბებულია გლეხკორთა წრე, რომლის ხელმძღვანელობით გამოდის ორკვირეული კედლის გაზეთი „სიმართლის ხმა“.

კულტ-სექცია აქტიურ მონაწილეობას ღებულობს სხვადასხვა კამპანიების ჩატარებაში. ის უყურადღებოთ არ სტოვებს ღარიბ მოსწავლეებს. კულტსექციამ შეძენილი იქნა ადგილობრივ 7 წლედის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ 169 მანეთის სახელმძღვანელოები სხვადასხვა სახის.

აღსანიშნავია ისიც, რომ ხსენებული სექცია კულტფონდს თვითონ და სოფლის კულტ-აქტივის დახმარებით ქმნის.

სანიმუშო და სამაგალითო სექციათ უნდა ჩაითვალოს კულტურული სექცია, რომლის დაუღალავი მუშაობა მოწმობს იმას, რომ მათი მომავალი საქმიანობა უფრო და უფრო ნაყოფიერი იქნება. ამის თავდებია მათი ერთი წლის განმავლობაში სანიმუშო და მშრომელი ახალგაზრდობის მონაწილეობა კულტურულ საქმიანობაში.

გლეხკორი ტ. აცანელი.

საქ. ცაკში

ახალციხის მაზრაში. საქართველოს ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებული ცნობით:—ახალციხის სამაზრო გლეხკომების ყრილობა დამთავრდა 23 მ.რ.ტს. სხვა მრავალ საყურადღებო დადგენილებებთან ერთად თესვის კამპანიაზე სამაზრო ალმასკომის თავმჯდომარის ამხ. გუსეინ შაბატოვის მიერ გაკეთებული მოხსენების შემდეგ ყრილობამ დადგენილება მიიღო: აქტიურად ჩაებან საგაზაფხულო თესვის კამპანიაში; თესვის კამპანიის ჩამტარებელ სამეულებს გადასცენ თესვის კამპანიისათვის ყველა ის სასოფლო-სამეურნეო იარაღები, რომლებიც აქვთ და არ შეიძინეს. საფონდო მარაგიდან ყველა გლეხკომებმა უნდა გამოჰყონ და გადასცენ სამეულებს იმდენი ხორბლეული, რომელიც საჭიროდ გამოდგება და ფულადაც შეიძინონ ღარიბი გლეხებისათვის საჭირო სათესლე მასალა, დიმიტრით ყრილობამ მიიღო დადგენილება:—ყველა ქვრივებს, ობლებს, ავადმყოფ გლეხებს, ინვალიდებს და წითელ-არმიელების ოჯახებს უფასოთ, კოლექტიური შრომით დაუხნან და დაუმუშაონ ყველა მიწები.

— რამდენი დაიხარჯა სანივალიდო სახლების შესანახად. საქართველოს ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებამ (მარტში) თბილისში არსებულ სანივალიდო სახლების შესანახად დახარჯა—5.225 მანეთი.

— გლეხის სახლი აწყურში და სახამებლის დასამზადებელი ქარხანა ვალის თემში. ახალციხის სამაზრო გლეხკომების ყრილობამ დაადგინა მიიღოს: გახსნან აწყურში გლეხის სახლი და ვალის თემში მოაწყონ სახამებლის დასამზადებელი ქარხანა.

ა-კ. სახკომსაბჭოში

გზების ეკონომიური გამოკვლევა

ა.-კ. სახკომსაბჭოს და უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ დაადგინა შეტანილი იქნეს ადგილობრივ საბიუჯეტო კრედიტების ხარჯთ-აღრიცხვაში სასოფლო გზების ეკონომიური გამოკვლევისათვის საჭირო 5.850 მანეთი. ამ თანხიდან საქართველოსათვის გადადებულია 2.340 მანეთი, რათა გამოკვლეული უნდა იქნეს 30 პუნქტი, ამდენივე მიეცემა აზერბეიჯანს; სომხეთისათვის გადადებულია 1.170 მანეთი, რითაც გამოკვლეული უნდა იქნეს 15 პუნქტი.

გამოსაკვლევ პუნქტების არჩევა უნდა მოხდეს ა.-კ. ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოს და ა.-კ. ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს შეთანხმებით. მუშაობის საერთო ხელმძღვანელობა დაკისრებული აქვს ა.-კ. ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს.

მეთვალყურეობა საცივარის მშენებლობაზე

ა.-კ. სახკომსაბჭომ აუცილებლად სცნო მოეწყობილი იქნეს ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან სპეციალური კომიტეტი, რომელიც მეთვალყურეობას გაუწევს საცივარების მშენებლობას ამიერ-კავკასიაში.

მეთვალყურეობა უნდა მოეწყოს საცივარების საამშენებლო ხარჯთ-აღრიცხვების ხარჯზე. ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატს დაევალა შეიმუშაოს იმ პირთათვის გასამრჯელოს მიცემის სისტემა, რომლებიც სამუშაოთ იქნებიან მოწვეული კომიტეტში; ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატმა უნდა დაუწესოს აგრეთვე საცივარების საამშენებლო ხარჯთ-აღრიცხვებიდან გასაღები ანარიცხები.

გრძელვადიანი კრედიტები კოოპერაციას

ა.-კ. სახკომსაბჭომ წინადადება მისცა ა.-კ. ფინსახკომს წარადგინოს სახკომსაბჭოში არა უგვიანეს 3 აპრილისა პროექტი დებულებისა კოოპერაციისათვის გრძელვადიანი კრედიტების გასაცემ ფონდის შესახებ. პროექტი შეთანხმებული უნდა იქნეს საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებასთან ა. წ. 20 თებერვლის თარიღით.

საქ. სახკომსაბჭოში

პალიასტომის ტბისა და მდინარეების ექსპლოატაცია

სახკომსაბჭოს და ეკ. საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ დაადგინა პალიასტომის ტბა (მისი შემავალი პატარა მდინარეების და მდ. კაპარჭინა, მალთაყვა, დედაბერა, გურიანკა და ფიჩორა) გადაეცეს ფოთის ალმასკომს საექსპლოატაციოთ.

ოზურგეთის სამაზრო ალმასკომის სასარგებლოდ აღნიშნული მდინარეების საიჯარო გადასახადისაგან დაწესებული 30 პროც. ანარიცხი დატოვებულ იქნა 1927-28 საბიუჯეტო წლის ბოლომდე.

შინამრეწველობის გამოკვლევა

სახკომსაბჭოს და ეკ. საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ საჭიროდ სცნო საქართველოს შინამრეწველობის გამოსაკვლევად გადადებულ იქნეს 8.500 მან.

ნოღელის და ტეხურის რკ. გზის ძველი ხიდები

სახკომსაბჭოს და ეკ. საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ ამოირჩია კომისია ამხ. ბ. ჭიჭინაძის (თავმჯდომარე), ჩიქვაიძის (ად. ტრანსპ. სამ.), და ა.-კ. რკინის გზათა სამმართველოს წარმომადგენლის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა გამოარკვიოს მდ. ნოღელისა და ტეხურის რკინის გზის ძველი ხიდების საქართველოს ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოსათვის გადაცემის საკითხი.

ინვალიდთა კოოპერატიული არტელების კავშირი

სახკომსაბჭოს და ეკ. საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ მიზანშეწონილად სცნო ინვალიდთა კოოპერატიული არტელების სრ. საქართველოს კავშირის შექმნა.

ზემოხსენებული კავშირის წესდების პროექტი გადასამუშავებლად გადაეცა სახკომსაბჭოს სარედაქციო-იურიდიულ განყოფილებას.

გეოლოგიური გამოკვლევათა და [illegible] თიხის წარმოება

სახკომსაბჭოს და ეკ. საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ საჭიროდ სცნო გადადებულ იქნეს გეოლოგიურ გამოკვლევათა საწარმოებლად 60.000 მან. და გორის მაზრაში [illegible] სასადილო თიხის საწარმოებლად—20.500 მან.

მ. გორკის საიუბილეო კამპანია

პროფკავშირებში

საქართველოს პროფკავშირები უკვე შეუდგნენ მ. გორკის საიუბილეო კამპანიის ჩატარებას, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევს პროფსაბჭოს კულტგანყოფილება. კამპანია მიმდინარეობს კულტგანყოფილების მიერ შემუშავებულ გეგმით.

ხელოვნების მუშაკთა კავშირში

ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური გამგეობა ამჟამად აწყობს დეკლამაციისა და მელო-დეკლამაციის წრეებს, რომლებიც დაიგზავნებიან მუშათა კლუბებსა და წარმოებებში საიუბილეო საღამოებზე მონაწილეობის მისაღებად.

9 აპრილს ხელოვნების მუშაკთა კავშირის კლუბში გაიმართება მ. გორკის საიუბილეო საღამო, შემდეგი პროგრამით: მოხსენება გორკის შემოქმედებაზე, საკონცერტო განყოფილება, დეკლამაცია, მელო-დეკლამაცია და დასასრულ წარმოდგენილი იქნება პიესა „ფსკერზე“-ს მეოთხე ნაწილი.

ამავე კლუბში კავშირი აწყობს გორკის ნაწარმოებთა გამოფენას.

ტყავის მრეწველობის მუშათა კავშირში

ტყავის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალურ გამგეობაში, 30 მარტს შედგა სპეციალური თათბირი, რომელზედაც გამომუშავებულ იქნა ტყავის მრეწველობის მუშათა შორის საიუბილეო კამპანიის ჩატარების გეგმა. თათბირმა გადაწყვიტა შეიძინოს გორკის ნაწარმოები და ლიტერატურა და დაკლებულ ფასებში გაავრცელოს თავის წევრთა შორის.

მედსანშრომის კავშირში

მედსანშრომის მუშაკთა კავშირმა გადაწყვიტა თავის კლუბებში, წითელ კუთხეებში და სამკურნალოებში მოაწყოს გორკის ნაწარმოებთა გამოფენები. ამას გარდა კავშირმა გადაწყვიტა მაქსიმ გორკის შემოქმედებაზე მოაწყოს სამი მოხსენება: ერთი ექიმებისათვის, მეორე—აფთიაქის მუშაკებისათვის და, მესამე—კავშირის უმუშევარ წევრთათვის.

ამხ. მიხა ცხაკაიას სახელობის მედსანშრომის მუშაკთა კლუბთან დაარსებულია საიუბილეო კომისია, რომელსაც დავალებული აქვს იუბილესთან დაკავშირებულ ღონისძიებების განხორციელება კლუბის ფარგლებში.

გორკის საიუბილეო პირველი საღამო კავშირმა უკვე გამართა ლენინის სახელობის მუშათა კლუბში თავის წევრებისათვის. საღამოზე გორკის შემოქმედების შესახებ მოხსენება წაკითხული იქნა რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე.

კვებ-კვების მუშათა კავშირში

კვებ-კვების მუშათა კავშირის ცენტრ. გამგეობამ გადაწყვიტა კვებ-კვების მსხვილ წარმოებებში მოაწყოს გორკის საიუბილეო საღამოები. კლუბებში და წითელ კუთხეებში იწარმოებს გორკის ნაწარმოების ხმა-მაღალი მხატვრული კითხვა და მათი გარჩევა. კლუბებსა და მსხვილ წარმოებებში გაიმართება გორკის ნაწერების გამოფენები.

თავის წევრების გორკის შემოქმედებასთან ახლოს გაცნობის მიზნით, კავშირმა გადაწყვიტა მოაწყოს გორკის ნაწერების მოძრავი წიგნთსაცავები.

პროფ. პეტრე მელიქიშვილის ძეგლი

საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატმა გადაწყვიტა დამსახურებულ პროფ. მელიქიშვილს აუგოს ძეგლი. ძეგლი დადგმულ იქნება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარ შენობის წინ, განსვენებულის საფლავზე.

ამ მიზნით განათლების კომისარიატმა გამოაცხადა კონკურსი ძეგლის საუკეთესო პროექტზე.

საკონკურსო პირობების მიხედვით ძეგლი უნდა გამოხატავდეს პროფ. მელიქიშვილის, როგორც სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ რექტორის, გამოჩენილ მეცნიერის და სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთ დამაარსებლის მოღვაწეობას.

ძეგლი შეიძლება იყოს განყენებული, როგორც ხუროთმოძღვრების, ისე ქანდაკების მხრივ, მაგრამ იგი არავითარ შემთხვევაში არ უნდა წარმოადგენდეს პორტრეტს. ძეგლი გამოკვეთილი იქნება ქვიდან, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ბრინჯაოს ნაწილები.

პროექტის შედგენის დროს ძეგლის ასაგები ხარჯები გათვალისწინებული უნდა იქნეს 20.000 მანეთის ფარგლებში.

ძეგლის პროექტების წარდგენის საბოლოო ვადათ დანიშნულია მიმდინარე წლის 1 ივნისი.

შედარებით უკეთეს პროექტებისათვის დანიშნულია სამი ჯილდო: 1-ლი—800 მან. 2-ე—500 მ. და მე-3-ე 300 მან.

საკონკურსო ჟიური

პროექტის განსახილველად, საუკეთესო პროექტის ამოსარჩევად და აგრეთვე ჯილდოების დასანიშნად დაარსებულია საკონკურსო ჟიური შემდეგი შემადგენლობით:

განათლების სახ. კომისარი ამხ. დ. კანდელაკი, (თავმჯდომარე), ეროვნულ გალერეის თავმჯდომარე—დ. შევარდნაძე, სამხატვრო აკადემიის პროფესორები: ნ. [illegible] და ა. კალგინი და მხატვარი დავით კაკაბაძე.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ყველა ხელოვანს.

სამეცნიერო და სახელოვნო დაწესებულებათა მთავარ მმართველობაში

მუშათა საკვირაო კონსერვატორია

სამეცნიერო და სახელოვნო დაწესებულებათა მთავარ მმართველობამ დაადგინა თბილისში გახსნას მუშათა საკვირაო კონსერვატორია.

კონსერვატორიის გასახსნელად შესაფერი გეგმისა და ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა დაევალა სახელმწიფო კონსერვატორიას.

კონსერვატორიის ბიულეტენი

სამეც. და სახ. დაწესებულებათა მთავარ მმართველობამ დაადგინა გამოსცეს სახელმწიფო კონსერვატორიის ბიულეტენი საინფორმაციო და სიტყვა-მუსიკის განყოფილებებით.

მუსიკალურ საქმის გამოკვლევა

სამეც. და სახ. დაწესებულებათა მთავარ მმართველობის მუსიკის სექციამ გადაწყვიტა მოახდინოს მაზრებში მუსიკის საქმის გამოკვლევა და მიიღოს სათანადო ზომები მის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად.

„მუსიკის დღე“

ამავე სექციამ დაადგინა დაწესებული იქნეს წელიწადში ერთხელ სამუსიკო დღესასწაულის ჩასატარებლად მთელ საქართველოში—„მუსიკის დღე“.

„მუსიკის დღის“ დაწესების მიზანია მშრომელთა ფართო მასებში მუსიკის განათლების შეტანა.

ფერო-მარგანეცის ქარხნის აგება

(თათბირი ს. მ. უ. ს.-ში)

29 მარტს საღამოს ს. მ. უ. საბჭოში შედგა სპეციალისტთა გაფართოებული თათბირი ჭიათურაში ფერო-მარგანეცის ქარხნის აგების შესახებ. სხდომას დაესწრო ის კომისია, რომელიც გამოყოფილი იყო ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმთან აღნიშნული ქარხნის აგებასთან დაკავშირებულ საკითხის შესასწავლად.

თათბირის თავმჯდომარე ინჟ. ბ. ჭიჭინაძემ აღნიშნა, რომ საჭირო არის დაწვრილებით იქნეს შესწავლილი ქარხნის აგების საკითხი და გამოირკვეს, თუ როგორ ან რა პირობებში იქნება შესაძლებელი ქარხნის აგების დაწყება. ფერო-მარგანეცის ქარხანა აგებულ იქნება ჭიათურაში საკონცესიო ტერიტორიაზე. ქარხნის ახალ სამუშაოთა დაწყება შეთანხმებულ უნდა იქნეს კონცესიონერთან. გარდა ამისა დაუყოვნებლივ უნდა იქნეს შესწავლილი ფერო-მარგანეცის ქარხნის აგების პირობები სხვადასხვა დარგების მხრივ, როგორიცაა—ენერგეტიკული დარგი, საამშენებლო პროექტების დამუშავება და ეკონომიური პირობები.

შემდეგ თათბირზე ხანგრძლივი მოხსენებით გამოვიდნენ ს. მ. უ. ს.-თან არსებულ ფერო-მარგანეცის ქარხნის აგების შემსწავლელი კომისიის წევრები. კომისიის წევრი ინჟ. ი. ვაჩნაძე შეეხო ფერო-მარგანეცის ყოფილი კომისიის მუშაობის შედეგებს ქარხნის აგების საკითხებთან დაკავშირებით. ინჟ. გ. წულუკიძემ განმარტა ქარხნის აგების სამთო-გეოლოგიური მხარე. ს. ჩხეიძე და ქ. თუმანიშვილი შეეხნენ ქარხნის აგების იურიდიულ მხარეს. ინჟ. ა. მუსხელიშვილი და ინჟ. ქ. ხუნდაძე თავის მოხსენებებში ეხებიან ქარხნის უზრუნველყოფის საკითხს ელექტრო-ენერგიით. ამისათვის, ისინი საჭიროდ სთვლიან ზაჰეს-რიონჰესის-აბაშის სისტემის გამოყენებას.

მოხსენებათა მოსმენის შემდეგ თათბირმა დაადგინა გამოყოს ქარხნის აგების საკითხების შესასწავლად 5 სექცია—ქიმიო-მეტალურგიული, სამთო-გეოლოგიური, ელექტრო-ენერგეტიკული, სატრანსპორტო-საამშენებლო და ეკონომიურ-იურიდიული. სექციებმა თავიანთი მუშაობა უნდა დაამთავრონ 10 აპრილისათვის.

გარდა ამისა, თათბირმა დაადგინა სახ. უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ ფაკულტეტთან არსებულ მეტალურგიულ კათედრასთან მოაწყოს ფერო-მარგანეცის გამოსაწვავი ღუმელი, სადაც იწარმოებს ფერო-მარგანეცის საცდელი დამუშავება ელექტრო-ენერგიის საშუალებით. კათედრას მიეცემა მადნის დასამუშავებლათ გამოიყენოს, როგორც ტყვარჩელის, ისე ტყიბულის კოქსი.

თათბირი განათლების საკითხებზე

საქ. კ. პ. (ბ) ცკას სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში ა. წ. 29 მარტს მოწვეულ თათბირზე კულტურულ-საგანმანათლებლო და სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. ს. მამულიამ.

დღევანდელი თათბირის მთავარი ამოცანაა ფართოდ გაიშუქოს კულტურულ-საგანმანათლებლო და სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის საკითხები.

მეხუთმეტე პარტყრილობამ ჩვენს წინაშე დასვა კულტურული რევოლუციის საკითხები. ჩვენი მუშაობის ძირითადი ამოცანა უნდა იყოს ყრილობის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელება. ჩვენი მუშაობა უპირველესად უნდა გამოიხატოს: მშრომელთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის შემცირება-ლიკვიდაციით, მუშათა მასების შეგნების ამაღლებაში, რათა მათთვის ნათელი გახდეს პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ამოცანები სოციალისტური მშენებლობის საქმეში, (წარმოების რაციონალიზაცია, ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, კაპიტალური მშენებლობის ამოცანები და სხვ.). ახალი ყოფისა და ახალი ადამიანის ტიპის შექმნისათვის უნდა გავაძლიეროთ მუშაობა განათლების ფრონტზე.

მშრომელ გლეხობას უნდა განემარტოს მსხვილ კოლექტიურ მეურნეობათა განვითარების მნიშვნელობა და მათი უპირატესობა წვრილ მეურნეობაზე, აგრეთვე აგრო-კულტურის შემოღების აუცილებლობა სასოფლო-მეურნეობის განვითარების საქმეში.

აღნიშნულ მუშაობათა წარმატებით ჩატარება უპირველეს ყოვლისა თხოულობს კულტურულ ფრონტზე მომუშავეთა გადამზადებას მათი კულტურულ დონის ამაღლებას და შეთვისებას მუშაობის იმ ფორმებისა და მეთოდებისა, რომელსაც ჩვენს წინაშე აყენებს პარტია კულტურულ საგანმანათლებლო და სააგიტაციო საპროპაგანდო მუშაობის დარგში.

მოხსენების გარშემო გაიმართა ცხარი კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: ამხ. [illegible]შვილმა, კაციტაძემ, ჩილისგირაძემ, ესაიანმა, ბაქრაძემ, იმედაძემ, ფირალიშვილმა, კაცარავამ, ჩხარტიშვილმა და სხვებმა.

ორატორები აღნიშნავდნენ, რომ საგანმანათლებლო მუშაობა ადგილებზე მოისუსტებს, რაც შეეხება წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას, საჭიროა მუშაობის უფრო გაძლიერება. განათლების ფრონტზე მომუშავეთა პოლიტიკური მომზადება უმეტეს შემთხვევაში არაა დამაკმაყოფილებელი, რასაც სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. საჭიროა ლექტორების კადრის გადიდება და არსებულ ლექტორების ნაწილობრივათ გადამზადება, რაც შეეხება სამკითხველოების გამგეებს, მათი მომზადება სუსტად მიმდინარეობს. ხშირად ისინი ვერ ერკვევიან ელემენტარულ საკითხებშიაც კი. საჭიროა ყურადღების მიქცევა ამ საქმისათვის.

პრაქტიკულ წინადადებათა შესამუშავებლად თათბირმა აირჩია კომისია.

შრომის კანონთა კოდექსის შევსება

ამიერ-კავკ. ცაკის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება შრომის კანონთა კოდექსის ზოგიერთ იმ მუხლების შეცვლის და შევსების შესახებ, რომლებიც ეხება სოციალურ დაზღვევას.

თანახმად 184 მუხლის დამატებისა, ბავშვის დაბადების და ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევებში დახმარების მიღების უფლება აქვს უმუშევრებსაც, (და მათი ოჯახის წევრებსაც), რომლებიც დახმარებას იღებენ უმუშევრობის გამო, და აგრეთვე შრომის ინვალიდებსაც, რომლებიც უზრუნველყოფილი არიან სოციალურ დაზღვევის წესით; დახმარების მიღების უფლება აქვთ შრომის ინვალიდების ოჯახის წევრებსაც, თუ მათ დაეკარგეს მარჩენალი.

ასეთივე დახმარების მიღების უფლება აქვთ არმიის უმცროს, საშუალო, უფროს და უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობას, რომლებიც დათხოვნილი არიან უვადო შვებულებაში, გადარიცხული არიან მარაგში ანდა სრულიად დათხოვნილი არიან სამსახურიდან; აგრეთვე ეძლევათ მიეცემათ როგორც მომუშავეებს, ისე ისეთებს, რომლებიც სოციალურ დაზღვევის ორგანოებისაგან დახმარებას იღებენ უმუშევრობის გამო. გამონაკლისს შეადგენენ მხოლოდ ის პირები, რომლებიც პენსიას იღებენ თანახმად დებულებისა წითელი არმიის საკადრო მეთაურთა შემადგენლობის სახელმწიფო უზრუნველყოფის შესახებ.

185 მუხლის ახალი რედაქციის თანახმად, დახმარება უმუშევრობის გამო ეძლევათ ისეთ უმუშევრებს, რომლებიც წინეთ დაქირავებულ შრომას ეწეოდნენ. მეთაურთა შემადგენლობას, გარდა ისეთებისა, რომლებიც პენსიას იღებენ, დახმარება უმუშევრობის გამო ეძლევა იმ შემთხვევაშიაც, თუ ისინი წინეთ დაქირავებულ შრომას არ ეწეოდნენ.

„სამშენი“ და საამშენებლო სეზონი

საზაფხულო საამშენებლო სეზონის დაწყებასთან დაკავშირებით, საქართველოს საამშენებლო საკოოპ. საზოგადოება „სამშენის“ ცენტრალურ სამმართველოში ჩვენს თანამშრომელს აცნობეს შემდეგი:

გასული წლის საამშენებლო სეზონში „სამშენის“ სამუშაოებზე ყოველდღიურად მუშაობდა 1.000 კაცამდე. მთელ რიგ ახალ სამუშაოთა აღების გამო მიმდინარე წლის მოსალოდნელია ამ რიცხვის გადიდება 50 პროცენტით.

ძველი სამუშაოები ჯერ არაა მთლიანად დამთავრებული. ზამთრის პერიოდში „სამშენი“ უმთავრესად მუშაობას აწარმოებდა შენობებში ცენტრ. გათბობის მოსაწყობად და სახლების შესაკეთებლად. ცენტრ. გათბობის მოწყობა სწარმოებდა საქართველოს მუზეუმის შენობაში, პლეხანოვის სახ. კლუბში, რკ. გზის საავადმყოფოში, ყოფ. მელიქ. აზარიანცის სახლში და ლენინაკანის ძაფსახვევ ქარხნებში.

რაც შეეხება ძველ სამუშაოების დამთავრებას, მიმდინარე სეზონში უნდა დასრულდეს ტრამვაის მუშათა სახლები (სულ 8 სახლი, თითოეული მათგანი სამ-სამ სართულიანი), [illegible] ატელიე, ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს სახლი რუსთაველის პროსპექტზე. ქალაქის ბანკის მოსამსახურეთა სახლი (ლენინის და მელიქიშვილის ქუჩის კუთხეში). ტუბერკულიოზის დისპანსერი სტუდენტების ინტერნატი უნივერსიტეტის მახლობლად (4 სართულიანი) და მუშათა საცხოვრებელი სახლი ავლაბარში. რაც შეეხება მაუდის ქარხანას, იგი საბოლოოდ დამთავრდება მომავალი წლის გაზაფხულზე.

ახალ მსხვილ სამუშაოებიდან აღსანიშნავია ზაჰესის სამუშაოები დიდუბეში მდ. მტკვარზე, დიდი აბანო ნაძალადევში და სხ. აგრეთვე მოლაპარაკება სწარმოებს საზ-ება „საქართველოს ჩაი“-სთან ახალი სამუშაოების მისაღებად ბათუმის რაიონში. სულ აგებულ უნდა იქნას 8 შენობა.

საერთოდ, „სამშენი“ მომზადებული ხვდება მიმდინარე საგაზაფხულო საამშენებლო სეზონს. მუშაობის გაადვილების მიზნით, მოწყობილია მექანიკური და სახერხი ქარხნები, საკონსულტაციო ბიურო, რომელსაც ევალება საამშენებლო პროექტების შედგენა-გადასინჯვა და საერთო კონსულტაცია ყველა ამ საკითხებზე. ბიუროს მუშაობაში მონაწილეობას იღებენ ქ. თბილისის ყველა გამოჩენილი ინჟინრები. „სამშენი“ შეუდგა აგრეთვე საამშენებლო მასალებისა და მოწყობილობათა დამზადებას. განზრახულია მთელი რიგი სამუშაოების მექანიზაცია მუშაობის უფრო სწრაფად და რაციონალურად წარმოების მიზნით. რაც შეეხება მუშა-ხელს აღნიშნულ სამუშაოებზე, „სამშენი“ ამ მხრივ უზრუნველყოფილია თბილისის შრომის ბირჟის მიერ. [illegible] მუშაობის გაფართოებასთან დაკავშირებით მოსალოდნელია კვალიფიციური მუშების ჩამოყვანა სხვა ქალაქებიდან მათი საჭირო რაოდენობის უქონლობის გამო თბილისში.

ტყიბულის მაღაროებში

ქვა-ნახშირის რეცხვა ინჟ. ყიფიანის წესით.

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, გასულ წელს ინჟ. ყიფიანმა გამოიგონა ქვა-ნახშირის რეცხვის ახალი წესი, რომელიც შესანიშნავია მით, რომ საგრძნობლად ამცირებს ქვა-ნახშირის ნაცრიანობას წვის დროს. ეს გამოგონება დამტკიცებული იქნა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიერ და პირველად ტყიბულის ქვა-ნახშირის მაღაროების [illegible] მიდამოებში საცდელად დაიწყო ქვა-ნახშირის სარეცხ მოწყობილობის დადგმა. ამჟამად მუშაობა ამ მოწყობილობის დასადგმელად დამთავრებულია და უკვე სწარმოებს ქვა-ნახშირის რეცხვა ინჟინერ ყიფიანის წესით. ამოღების შემდეგ ნახშირი გასარეცხად იგზავნება მექანიკურ სამრეცხაოში და შემდეგ გარეცხილი ნახშირით იტვირთება ვაგონები. ინჟ. ყიფიანის წესით გარეცხილ ნახშირზე რამოდენიმეჯერ გაკეთებულმა ანალიზმა დაადასტურა, რომ ნახშირი გარეცხვის შემდეგ გამოდის საუკეთესო ღირსების და მისი ნაცრიანობა 15 პროცენტით ნაკლებია ჩვეულებრივ გაურეცხელ ნახშირის ნაცრიანობაზე. პირველი ცდების ნაყოფიერი შედეგების შემდეგ გადაწყვეტილ იქნა სარეცხ მოწყობილობის დადგმა ტყიბულის ქვა-ნახშირის მაღაროების [illegible] უბანში.

კოლექტიური მეურნეობანი

შირაქის რაიონის კოლ. მეურნეობათა თათბირი

შირაქის რაიონში არსებობს სულ 8 სასოფლო-სამეურნეო კოლექტივი. ამ რამდენიმე ხნის წინად შედგა ამ კოლექტივების პირველი თათბირი, თათბირს კოლექტივთა წარმომადგენლების გარდა, დაესწრნენ სამაზრო და სარაიონო აგრონომები, მიწის მომწყობი, მიწის მზომელი და საკრედიტო ამხანაგობათა წარმომადგენლები. თათბირმა მოიზიდა აგრეთვე ახლო-მახლო სოფლების მცხოვრები გლეხობა. თათბირმა მთავარი ყურადღება მიაქცია მიწად-მოწყობის საკითხებს და დაადგინა: დაჩქარებითი წესით ჩაატაროს მიწად-მოწყობა ყველა არსებულ კოლექტივებში. გადაწყვეტილია დაიშალოს „ცრუ კოლექტივები“, რომელთა რაოდენობა რაიონში ორს არ აღემატება. თათბირმა საჭიროდ სცნო აგრეთვე კოლექტივებისათვის შემოღებული იქნეს ანგარიშწარმოების მარტივი წესი. თათბირმა დაადგინა ყოველმხრივ ხელი შეუწყოს ღარიბების შესვლას კოლექტივებში. თათბირის დადგენილებით, კოლექტივების ხელმძღვანელობა დაეკისრება რაიონის აგრონომს სათემო ალმასკომის სასოფლო-სამეურნეო და საკრედიტო ამხანაგობას.

კოოპერაციის უღირსი წევრები

სპეკულიაციისათვის მუშკოოპის წევრობიდან გამორიცხულია 87 კაცი

თბილისის მუშკოოპის რწმუნებულთა უკანასკნელ კრებაზე გამოაშკარავებული იქნა სამუშკოოპის ის წევრები, რომლებიც ეწეოდნენ ბოროტ სპეკულიაციას მუშკოოპიდან გამოტანილი საქონლით.

აი ეს პირები: აჯიაშვილი, ხუროშვილი, მადათიანი, ბუგაშვილი, მუსხ-ოღლი, გიორგაძე (ყველა უმუშევარი კავშირის წევრები), გრიქუროვი—მხატვრობის ქალაქის № 1 სავაჭრო მაღაზიაში, ჩირგაძე—სახკინმრეწველიდან, ნანუკაშვილი—თვითშრომელი, ჯანაშია—წყალსადენიდან, სულთანოვა—მეეზოვე, [illegible]—თვითშრომელი, ხლებასტოვსკი—თბ. ალმასკომიდან და ზურიაშვილი—მე-8 რაიონის სამოსამართლო მაგიდიდან.

ეს პირები საწევრო წიგნაკებში შლიდნენ [illegible] საქონლის ნადების ცნობას. ეს საქონელი ეძლევათ წევრებს განსაზღვრული რაოდენობით, განსაზღვრული ვადით და იწერება წიგნაკებში.

აღნიშნული პირები, რომ კიდევ მიეღოთ საქონელი, შლიდნენ ამ ჩანაწერებს და გამოტანილ საქონლით ეწეოდნენ სპეკულიაციას.

რწმუნებულთა კრებამ დაადგინა მათი გამორიცხვა მუშკოოპის წევრობიდან ექვსი თვით.

შემდეგ მიდის მეორე კატეგორია წევრებისა, რომლებიც ჩადიოდნენ იმავე მახინაციებს, მხოლოდ არა ჩაწერილის ამოშლით, არამედ წიგნაკიდან ჩაწერილი ფურცლების სრულიად ამოხევით. ესენი არიან: უმუშევრები: შავრუშაძე, ცაგუმაშვილი, კეზერაშვილი, ქაჯაიაშვილი, დანიელოვი, [illegible], უშკინი, ალიევი და მიკირტიჩიანი; დანიელიანი ხელოვნების მუშაკთა კავშირის წევრია, მიკირტიჩიანი—ლენინის სახ. თამბაქოს ფაბრიკიდან, ცირიდლაძე—თბ. ალმასკომიდან, აკოპოვი—[illegible] ზეთის ტრესტიდან, ფოფხაძე—[illegible] ფაბრიკიდან, კოვალენკო—კინო თეატრ „არისტო“-დან, ბალდასაროვი—თბ. ალმასკომიდან, ყაზარიანი—მშენებელთა კავშირის წევრი და ბერძენიშვილი—ფოსტა-ტელეგრაფის კანტორიდან.

რწმუნებულთა კრებამ ეს პირები გამორიცხა წევრობიდან სამი თვის ვადით.

არის მესამე კატეგორიაც წევრებისა, რომლებიც უკვე აშკარა ბოროტმოქმედებას სჩადიან: მუშკოოპში არსებობს წესი, რომლის თანახმად დეფიციტიანი საქონელი ეძლევათ სრულ პაის მქონე წევრებს.

ამ პირებს კი, რომლებიც ქვევით არიან ჩამოთვლილი სრული პაი არ ჰქონიათ შეტანილი და რომ საქონელი გამოეტანათ მიმართავდნენ საყაჩაღოს—წიგნაკებში აღნიშნულ შეტანილი თანხის გადასახადის ციფრის გადასწორებით ადიდებდნენ, გამოჰქონდათ საქონელი და ეწეოდნენ სპეკულიაციას.

ეს პირებია: დანიელიანი—ხელოვნების მუშაკთა კავშირიდან, რომელმაც 1 მ. 85 კაპ-ი გადაასწორა 8 მ. 75 კ. და ამგვარად საპაიო „გაადიდა“—10 მანეთამდე, ხოსროშვილი—„კავშირთა-კავშირიდან“—3 მანეთი გადაასწორა—7 მანეთად, ბუნიატოვი (უმუშევარი)—3 მანეთი გადაასწორა 9 მან., ოგანეზოვი—ტრანსპორტზე მომუშავე—1 მანეთს მიაწერა 9 მანეთი, და ბუნიატოვი—თბილისის ალმასკომიდან 1 მანეთს მიაწერა 4 მანეთი.

რწმუნებულთა კრებამ დაადგინა მათი გამორიცხვა წევრობიდან—პასუხისგებაში მიცემით.

ამასთანავე კრებამ დაადგინა, ეთხოვოს პროფკავშირთა საბჭოს,—კოოპერაციის ეს უღირსი წევრები, რომლებიც ითვლებიან აგრეთვე პროფკავშირთა წევრებათ, დაისაჯონ პროფესიონალური ხაზითაც.

ფიზიკური აღზრდა სკოლებში

განათლების კომისარიატთან არსებულ ფიზიკური აღზრდის კომისიამ განიხილა სკოლებში ფიზიკური აღზრდის საქმე და დაადგინა: სკოლებში ფიზიკური აღზრდის პროგრამებში შეტანილ იქნეს დამატებით შემდეგი მუხლები: 1) გასამხედროება, 2) სანიტარულ-ჰიგიენური წესები და საექიმო კონტროლი და 3) მუშაობის ორგანიზაციის ფორმები.

ამავე კომისიამ დაადგინა სასკოლო ასაკამდე აღზრდის დაწესებულებებისათვის შეიმუშაოს ფიზიკური აღზრდის ახალი პროგრამები.

კომისიამ გადაწყვიტა შეიმუშაოს სრულებით ახალი გეგმა სკოლებში ფიზიკური აღზრდის საქმის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად.

ფლორიდინი

უკვე დაიწყო ფლორიდინის მოპოვება სოფ. გუმბრის მახლობლად, სადაც, პროფ. თვალჭრელიძის გამოკვლევით, ფლორიდინის საუკეთესო ღირსების მდიდარი ბუდობები მდებარეობს. ფლორიდინის მთავარ მომხმარებელს წარმოადგენს ნავთის მრეწველობა, რომელიც ამ მადანს ხმარობს ნავთის პროდუქტების გასაწმენდად. უკანასკნელ დრომდე ფლორიდინი ჩვენში შემოჰქონდათ ამერიკიდან. მუშაობა გუმბრის რაიონში წარმატებით მიმდინარეობს. უკვე ამოღებულია და ბათომში გაგზავნილია ორი ვაგონი ფლორიდინი ბათომის ნავთის საწმენდი ქარხნების საცდელად. რამდენიმე ხნის განმავლობაში გუმბრის მადანს სრულებით შეუძლია დააკმაყოფილოს მთელი ჩვენი ნავთის მრეწველობა, რომელიც 400.000 ფ. ფლორიდინს საჭიროებს.

მუშათა ცხოვრება

რას უნდა მიექცეს ყურადღება

(ტყიბულის მაღაროები)

ტყიბულის მაღაროებს ვერ გამოუნახავს ისეთი მუდმივი ხელმძღვანელი ადგილზე, რომელსაც [illegible] მაღაროების საქმიანობა და ქვა-ნახშირის წარმოება დაეყენებინა ისე, რომ იგი არ ზარალობდეს.

ამ ნიადაგზე მრავალი კომისიები ჩამოსულა ტყიბულში, მაგრამ საქმე მაინც არ გამოსწორებულა, რადგან კომისიები საფუძვლიანად ვერ ეცნობიან წარმოების საქმიანობას.

ამჟამად ტყიბულის მაღაროებში კიდევ მოელოდებიან ერთ კომისიას, რომელმაც უნდა გადაასინჯოს [illegible] სამუშაოები, და თუ, რომელიმე სამუშაო აღმოჩნდება უსარგებლო,—უნდა შეაჩეროს მუშაობა. მაგრამ წინასწარვე უნდა ითქვას, რომ, აღნიშნული კომისია ერთი და ორი დღის ტყიბულში ყოფნით ვერ მოაგვარებს საქმეებს, [illegible] საჭიროება წყნარი და დაკვირვებული მუშაობა.

კომისიამ უნდა შეისწავლოს არა მარტო სამუშაოების მდგომარეობა, არამედ თვით ხელმძღვანელების საქმიანობა და მისი შესწავლა უნდა [illegible].

კომისიამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს: ტყიბულის მაღაროებში შემთხვევით მომუშავეებს, რომლებისათვისაც მაღაროებში მუშაობა წარმოადგენს შემოსავლის ზედმეტ წყაროს, [illegible] მაღაროების მმართველი საქმიანობას და ისეთ მოხელეებს, რომლებიც მხოლოდ სახელს ატარებენ. [illegible] მასალების ხარჯვას და მის მიღების წესს, მაღაროების მთავარ სამმართველოს ანგარიშ-წარმოებას, მაღაროების ხარჯებს და სხვ.

ერთადერთ ამ ღონისძიებით კომისია აღმოაჩენს იმ მიზეზებს, რომლებიც აფერხებენ მაღაროების წარმოებას და რომლის მოსპობაც ხელს შეუწყობს საქმიანობის სათანადო დონეზე დაყენებას.

იდგმარისი.

რა უფლებით ასე საქციელს?

30 მარტს, ერთმა დაზღვეულმა ავადმყოფმა, ყოფ. გენეს აფთიაქში ექიმის რეცეპტით შეუკვეთა წამალი, რომლის დამზადების ვადად, აფთიაქის ფარმაცევტებმა დაუნიშნეს 31 მარტი თერთმეტი საათი. ამის გამო ავადმყოფმა მოინდომა რეცეპტის უკან წაღება და წამლის ფულით შეძენა, მაგრამ ფარმაცევტებმა არ დაანებეს ავადმყოფს რეცეპტი. ბოლოს დიდი ჩხუბის შემდეგ როგორც იქნა შეპირდნენ წამლის იმავე დღით, ე. ი. 30 მარტს ცხრა საათზე დამზადებას.

აღსანიშნავია, რომ იმავე ყოფ. გენეს აფთიაქში, კერძო შემკვეთლებს ორი და სამი საათის განმავლობაში უმზადებენ წამალს. დაზღვეულის წამლის დამზადებას კი თითქმის 24 საათი უნდებიან. რა უფლებით ასეთ საქციელს? განა შეიძლება ხვალინდელმა წამალმა უშველოს დღეს ავადმყოფს.

სადაზღვევო სამმართველომ და თბილისის ჯანმრთელობის განყოფილებამ ყურადღება უნდა მიაქციონ ამ გარემოებას.

ვ.

დიდუბის მაუდის ქარხანა

მაუდის ქარხანაში საამშენებლო საქმეზე მომუშავე მუშა-მოსამსახურეთა შორის კულტურული მუშაობა არ სწარმოებს. არც მუშკოოპს აქვს რიგიანად საქმე დაყენებული; იგი მუშა-მოსამსახურეებს ვერ აწვდის პირველ საჭირო საგნებს და ვერ აკმაყოფილებს მათ. მუშკოოპის გამგეობა ამას იმით ხსნის, რომ შენობა პატარაა და შეუძლებელია საკმაო საქონლის დაწყობაო.

ქარხნის ადმინისტრაციამ უნდა გაუფართოვოს მუშკოოპს შენობა.

ძველი მედგარი.

მუშათა კლუბების მართვა ზაფხულის პერიოდში

29 მარტს, ამხ. ს. ორჯონიკიძის სახ. კლუბში შედგა თბილისის უბნის გზის მუშათა კლუბის გამგეების, სამხატვრო წრეების ხელმძღვანელთა და კულტკომების წევრთა კონფერენცია, რომელზედაც მუშათა კლუბების მუშაობის შესახებ ზაფხულის პერიოდში, მოხსენება გააკეთა საქ. პ. კ. კულტგანყოფილების წარმომადგენელმა ამხ. [illegible]. მომხსენებელმა აღნიშნა ის ნაკლოვანებანი, რომელიც ჰქონდა საკლუბო მუშაობას გასულ ზაფხულს და მიუთითა დამსწრე კულტმუშაკებს როგორ და რა წესით უნდა აწარმოონ მუშაობა მომავალ ზაფხულში.

მომხსენებლის სიტყვით გასულ წელს, საზაფხულო სეზონი გვიან გაიხსნა. წელს სეზონის გახსნა 1-ლ მაისს არის გადაწყვეტილი. გარდა ამისა კლუბები აწარმოებდნენ უგეგმო მუშაობას. წელს საჭიროა თითოეულ კლუბის გამგეობამ შეადგინოს საზაფხულო მუშაობის გეგმა.

შემდეგ მომხსენებელი ეხება კულტმუშაობის საკითხებს და ამბობს, რომ გასულ წელს, ზოგიერთ მუშათა კლუბს ვერ შესძლო ფართო მასების ჩაბმა კლუბთან არსებულ წრეების მუშაობაში; სისტემატიურად არ ეწყობოდა შორეული ექსკურსიები, ადგილი ჰქონდა ხშირად „კულტურულ“ ღვინის სმისა და საღამო-კონცერტების დადგმისა სხ. ეს ნაკლოვანებები მუშათა კლუბებმა მომავალში არ უნდა დაუშვან.

ამას გარდა საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ფიზკულტურულ მუშაობას. ამ მიზნით საჭიროა საზაფხულო ბაღებში მოეწყოს ფიზკულტურის მოედნები. ამავე მიზნით ორჯონიკიძის კლუბთან, მტკვრის პირას უნდა მოეწყოს საბანი აუზები, რომლებიც შეამცირებენ უბედურ შემთხვევებს. მუშათა კლუბებში, [illegible] უნდა იმართებოდეს თვითმოქმედების საღამოები: ლიტერატურული გასამართლებები, კინო-სურათები, კონცერტები, ლექციები, დისპუტები და სხვა.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ამხ. ივ. ჯავახიშვილმა, გ. ნინიძემ, ლ. კანდელაკმა, ალ. ჩიტაძემ, [illegible] და სხ. ორატორები აღნიშნავდნენ რკ. გზის ხაზის მუშათა კლუბების უყურადღებობას ს. კ. პ. ს. კულტგანყოფილების მიერ. კულტგანყოფილების გეგმა შეიძლება ცხოვრებაში გატარდეს ამ შემთხვევაში, თუ კლუბებს გაუდიდდებათ დახმარება. ორატორების ნაწილმა აღნიშნა, რომ საკინემატოგრაფო კომერციულ ოპერაციების გაფართოების მიზნით, ატყუებს ხალხს: აფიშაში ცხადდება; ახალი პროგრამა, სინამდვილეში კი სურათი ძველია, რის გამო მუშა-მოსამსახურენი უკმაყოფილებას გამოსთქვამენ. მუშათა თვითკრიტიკას ნაკლები ყურადღება ექცევა, ამისათვის საჭიროა დისპუტების ხშირად მოწყობა სხვადასხვა თემებზე.

რკინისგზელთა მუშათა კლუბების მომავალი საზაფხულო მუშაობის გეგმისა და პრაქტიკულ ღონისძიებების შესამუშავებლად, კონფერენციამ აირჩია კომისია 16 კაცის შემადგენლობით.

ი. ჯავ—ლი.

დროს ნუ დაჰკარგავთ

ა.-კ. რკ. გზის მთავარ სახელოსნოში და მის სახელოსნოში მუშების რიცხვი 300 კაცამდე აღწევს. ჯამაგირები ურიგდებათ თვეში ორჯერ, მაგრამ მისი დარიგება არ ხდება წესიერად: მუშები, როგორც კი დაინახავენ ფულის დამრიგებელ მოლარეს, თავს ანებებენ სამუშაოს და დგებიან რიგში. სანამ ჯამაგირის დარიგება დამთავრდება, მუშების უმრავლესობა ერთი და ორი საათით სცდება სამუშაოს.

თუ მივიღებთ მხედველობაში 300 მუშის მიერ გაცდენილ დროს, წლის თავზე რამოდენიმე ათასი მანეთი შეადგება, რაც დიდი ზარალია წარმოებისათვის. კარგი იქნება, რომ უბ. კავშირი აძლევდეს შუამდგომლობას რკინის გზის სამმართველოს წინაშე, რათა მუშებს ჯამაგირი ურიგდებოდეს კონვერტებით, როგორც ეს ხდება მთავარ სახელოსნოში.

დ. გვაზაურელი.

როდის გაირჩევა

(აგურის ქარხნები)

ადგილობრივ მრეწველობის შიდა აგურის ქარხნის აგურის დამტვირთავ მუშებს, ყოველ 1000 ცალი აგურის გადაზიდვაში, კოლექტიურ ხელშეკრულების თანახმად ერგებოდათ 1—25 კ., ხოლო ადმინისტრაცია აძლევდა ყოველ 1015 ცალ აგურის გადაზიდვაში 1—25 კაპ. გასული წლის იანვარში მუშებმა გაასაჩივრეს ეს საკითხი. შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიამ საკითხი მუშების სასარგებლოდ გადაწყვიტა. ადმინისტრაციას უნდა აენაზღაურებინა მუშებისათვის 1 [illegible] პროცენტი 22 და 19 მილიონი აგურის დანაკლისი. მას შემდეგ გავიდა 6 თვე, მაგრამ მუშებმა მაინც ვერ მიიღეს კუთვნილი ფული. ბოლოს ადმინისტრაციამ უარყო დადგენილება და საკითხი ხელმეორედ გაარჩევინა საკონფლიქტო კომისიას. აქ ადმინისტრაცია ვერ მოურიგდა შემფ. საკონფ. კომისიას, რის გამო საქმე გადაეცა შრომის სახ. კომისარიატის საკონფლიქტო კამერას. ეს მოხდა გასული წლის აგვისტოში, მაგრამ მის გარჩევას დღემდე საშველი არ დაადგა.

ამრიგად ერთი საქმის გარჩევა სწარმოებს თითქმის ორი წელიწადია და ვინ იცის კიდევ რამდენი ხანი მოუნდება მის განხილვას.

რაშია საქმე. ვინ აბრკოლებს მუშების საჩივრის გარჩევას? პროფკავშირმა, გამოარკვიოს ეს საქმე.

უხამშიშვილი.

მუშკორთა წერილებიდან

მევახშე ინვალიდი. გ. ზალიაშვილი, რომელიც სცხოვრობს ბელინსკის ქ. № 33-ში, ირიცხება ინვალიდების სიაში და ღებულობს ერთდროულ დახმარებასაც, ამავე დროს „ინვალიდი“ ზალიაშვილი, ეწევა ფულით მევახშეობას და აქირავებს საკუთარ ავტომობილსაც, რომელიც განგებ ირიცხება ვინმე [illegible] სახელზე. სოცდაზღვევის განყოფილებამ, მიაქციოს ყურადღება.

უბნელი.

მხეცი კაცი. რკ. გზ. მე-6-ე უბნის მუშა ჯ. [illegible]შვილი მხეცურად ექცევა თავის ცოლშვილს: ამის წინად ცოლსაც და პატარა ბავშვს მძოლ ბავშვსაც ისე სცემა, რომ ძლივს მოაბრუნეს. ეს მხეცი ადამიანი ყოველდღე მოკვლით ემუქრება ცოლს. ამიტომ საცოდავ ქალს შიშით ვერ მიუმართავს ქალთა განყოფილებისათვის მხეცი კაცის ბრჭყალებიდან დასახსნელად. ლენინის უბნის ქალთა განყოფილებამ თითონ უნდა გაუწიოს პატრონობა საწყალ ქალს.

მეზობელი.

პროტექციით მიიღეს. (ქუთაისი). ამას წინად, ქუთაისის პასტერის სადგურში, შრომის ბირჟის გარეშე მიიღეს არა კავშირის წევრი ვინმე ვანდიევის ცოლი, რომელსაც საკმაოდ მდიდრული არსებობის წყარო აქვს. შრომის ბირჟაში კი კავშირის უმუშევარი წევრები აურაცხელი არიან, ბევრი მათგანი ქვრივია და ობლების პატრონი, ასეთ პროტექციობას ბოლო უნდა მოეღოს.

ქუთაისელი.

მიკიტანი კავშირის წევრად. პროფკავშირის წევრს, მოქ. მ. ლუარსაბიშვილს, მეტეხის ქუჩა № 23-ში გახსნილი აქვს სამიკიტნო, რომლის პატენტიც აღებულია ვინმე ასლანოვის სახელზე. სამიკიტნოში კი უდგია თავისი ბიძაშვილი ვ. ლუარსაბიშვილი. პროფკავშირო, გზა უჩვენეთ კავშირის ასეთ წევრს.

მიკრანაკაძე.

ჩვენს მუშკორებს

თოხაძეს. „გადაკეთოთ აუცილებელი საქმე“ არ დაიბეჭდება. ამის შესახებ უკვე იყო მოთავსებული წერილი.

მოვერს. წერილი ზაჰესის სანათლის შესახებ არ წავა.

არჩემის. წერილი მთავარ კონდუქტორ [illegible]ს შესახებ არ წავა. ამის შესახებ მიმართეთ მოძრაობის დარგის ადგილკომს.

ყოფილ მდგმურს. „ვინ არის მსხვერპლი“. არ დაიბეჭდება. მიმართეთ მილიციას.

საკურორტო სეზონის წინ

სამზადისი აფხაზეთში

აფხაზეთის კურორტთა მთავარი სამმართველო შეუდგა აფხაზეთის კურორტების მომზადებას საზაფხულო სეზონისათვის. ამჟამად საჩქარო წესით წარმოებს საკურორტო დაწესებულებების შენობათა რემონტი. გაგრაში რემონტი სწარმოებს სანატორიუმში 80 საწოლით, 3 დასასვენებელ სახლში, ერთ პანსიონატში 100 საწოლით და კურორტის 4 სასტუმროში. საამბულატორიო ავადმყოფებისათვის ეწყობა საკურორტო პოლიკლინიკა, რომელშიაც იმუშავებს მაღალი კვალიფიკაციის საექიმო პერსონალი. კურორტებზე სამუშაოდ მოწვეულ პროფესორებს შორის არის ცნობილი პროფესორი—დოსტაქარი ს. პ. ფიოდოროვი. საზაფხულო სეზონში გაგრაში იმუშავებს საექიმო ცნობათა ბიურო და აგრეთვე საექსკურსიო—ცნობათა ბიურო. ადგილობრივი საკურორტო ბიუროები შეუდგენ განცხადებების მიღებას გაგრის კურორტის სანატორიუმთა საწოლებზე.

სოხუმში 1 ივნისს თავდება შემოდგომის და ზამთრის სეზონი, რის შემდეგ გაიხსნება პანსიონატი 50 საწოლით. პანსიონატი ზღვაზე საბანაო ადგილთან დაკავშირებული იქნება საავტომობილო მიმოსვლით. საზაფხულო საკურორტო სეზონისათვის სოხუმის საზღვაო სააგენტო მიიღებს ოდესაში „სოვტორგფლოტის“ გემთა საამშენებლო ქარხანაში აგებულ სპეციალურ მოტორიან კატერს „კურორტნიკ“-ს, რომელსაც შეუძლია 250 მგზავრის და 200 ფუთი ბარგის გადატანა. კატერი, რომელიც სპეციალურათ მოწყობილია მოაგარაკეთა სამგზავროთ, ივლის სოხუმიდან გაგრამდე. (ადს).

ბრძოლა უმუშევრობასთან

ამიერ-კავკ. პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა ინფორმაციული მოხსენება უმუშევრობის წინააღმდეგ საბრძოლველად 1927—28 წლისათვის მთავრობის სათანადო ორგანოების მიერ გადადებულ თანხების განაწილების შესახებ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს შორის.

ამიერ-კავკ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს მიერ განაწილებული ფონდი უცვლელად დაამტკიცა. უმუშევრობის წინააღმდეგ საბრძოლველად 1927—28 წლისათვის გადადებულ თანხებიდან ამიერ-კავკასიის სამივე რესპუბლიკას ავტონომიურ რესპუბლიკებიანად მიეცემა 700.000 მანეთი. აქედან აზერბეიჯანს—47 პროც. ანუ 375.060 მანეთი, საქართველოს—40,4 პროც., ანუ 322.392 მანეთი და სომხეთს—12,6 ანუ 100.548 მანეთი.

ამიერ-კავკ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა ამავე სხდომაზე მოისმინა აგრეთვე ცნობა 1927—28 წლისათვის უმუშევართათვის შრომითი დახმარების გასაწევად გადადებულ თანხების ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს შორის განაწილების შესახებ.

აღნიშნულ მიზნისათვის გადადებულია 250 ათასი მანეთი. აქედან აზერბეიჯანს მიეცემა—170.500 მანეთი. საქართველოს—60.600 მანეთი და სომხეთს—18.900 მანეთი.

ქრონიკა

პროფ. ვასილიევის ხსოვნის აღსანიშნავად

პროფ. ვასილიევის ხსოვნის აღსანიშნავად თბილისში დაარსდა სპეციალური კომისია, რომელშიაც შედიან ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის და იმ წარმოება-დაწესებულებების წარმომადგენლები, სადაც განსვენებული მუშაობდა. კომისიის მიზანია მოაწყოს პროფ. ვასილიევის სახელობის რამე დაწესებულება-ორგანიზაცია.

საზაფხულო მგზავრები

საქართველოს პროფსაბჭომ მიმართა თხოვნით ა.-კ. რკ.-გზების გამგეობას, თბილის-მცხეთას შუა რკინის გზით დაწესდეს შეღავათიანი ტარიფი ექსკურსანტ-პროფკავშირის წევრებისათვის.

გასულ წლების მიხედვით, პროფსაბჭო სთხოვს გზის გამგეობას თითეულ ექსკურსანტზე ბილეთის ფასად მცხეთა-თბილისს შორის აქეთ-იქით დაწესებული იქნეს—40 კაპეიკი.

ადგილობრივი მნიშვნელობის ტრესტი

მიწად-მოქმედების კომისარიატის ცნობით, წელს გორში დაარსდება ადგილობრივ მნიშვნელობის ტრესტი, რომელშიაც გაერთიანებული იქნება გორის მაზრაში არსებული საბჭოთა მამულები და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები. გორის მაზრაში არსებულ საბჭოთა მამულებს ამჟამად უჭირავთ 200 ჰექტარი სივრცე, რომელზედაც გაშენებულია ხეხილის ბაღები და ვენახები.

დახურული ავტობუსები

„ზაკავტოპრომტორგ"-მა გამოუშვა ორი დახურული ავტობუსი, რომლებიც გადაკეთებულია ადგილობრივ „ფიატი"-ს სისტემის ღია ავტობუსებიდან.

მოზარდთა შრომის პირობები

შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილებით სოფლის წარმოებებში დაქირავებული მოზარდები კვირაში მუშაობენ 42 ს. და თავისუფლდებიან ყველა რევოლუციონურ და არა სამუშაო დღეებში.

თბილისის აღმასკომში

◆ კვების გაუმჯობესება. თბ. აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა ადმინისტრატიულ საპატიმროებში გაადიდოს კვების ნორმა.

◆ მივლინება. ჯანმრთელობის განყოფილებას გადაეცა 1500 მანეთი ექიმების მისავლინებლად რუსეთში სამეცნიერო მიზნით.

◆ წყალდიდობისაგან მიყენებული ზარალის გასამსუბუქებლად სართიჭალის თემაღმასკომს გადაეცა 400 მანეთი.

◆ არსენ ჯორჯიაშვილის მემორიალისათვის ხიდ. სოფელში სახლის აშენებათ აღმასკომმა გადასცა 1970 მანეთი.

◆ მოხუცთა სახლში მოხუცების საზამთრო ტანსაცმლის შესაძენად აღმასკომმა გადასცა 1100 მანეთი.

◆ მე-15 თურქულ შრომის სკოლას თბ. აღმასკომის დადგენილებით ამიერიდან ეწოდება „ოქტომბრის სახელობის სკოლა".

სხვადასხვა

◆ უნივერსიტეტის მე-58 აუდიტორიაში დღეს, საღამოს, 5 საათზე შედგება პროფ. ა. შანიძის სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო [illegible] წრის სხდომა, რომელზედაც მოხსენებას წაიკითხავს: შ. ცქიტიშვილი: „[illegible]".

◆ საქ. რევმდივნის ცეკას ბინაზე, დღეს, საღამოს 6 საათზე შესდგება რევმდივნის ცეკას პრეზიდიუმის სხდომა.

◆ საქ. სასოფლო-სამეურნეო საზ-ბაში, კვირას, 1 აპრილს დილის 11 ს. გრ. ა. ბაქრაძე წაიკითხავს მოხსენებას: „ჩვენი მეურნეობის გაჯანსაღებისათვის".

ხელოვნება

სათეატრო მუშაობის გასაჯანსაღებლად

განათლების კომისარიატის სამეცნიერო და ხელოვნების მთავარი სამმართველომ საქართველოში სათეატრო მუშაობის გასაჯანსაღებლად შეიმუშავა სპეციალური გეგმა.

ამ გეგმის მიხედვით რესპუბლიკაში მომქმედ თეატრებთან დაარსებული იქნება სამხატვრო საბჭოები, რომლებსაც ეძლევათ თეატრის გაუმჯობესების იდეოლოგიური და მხატვრული ხელმძღვანელობა და თეატრის მუშაობის მაყურებლის თანამედროვე მოთხოვნილებებთან შეფარდება. სამხატვრო საბჭოს მოვალეობაში შედის: თეატრის სეზონის სარეპერტუარო გეგმის განხილვა და თეატრში დასადგმელად წარმოდგენილ ნაწარმოებთა შეფასება; განხილვა იმ მეთოდებისა და ფორმების, რომლითაც თეატრს განზრახული აქვს აწარმოოს თავისი მუშაობა; თეატრებთან არსებულ სტუდიებში და კურსებზე სასწავლო საქმის ხელმძღვანელობა და თეატრის მუშაობასთან დაკავშირებული ყველა მხატვრული საკითხების გარჩევა.

საბჭოები დაარსებული უნდა იქნენ შემდეგი შემადგენლობით: თეატრის დირექტორი, რეჟისორი, დირიჟორი, დასის წარმომადგენელი და კომკავშირის, პროფკავშირების, პარტიული ორგანიზაციების და მაყურებელთა ორგანიზაციების წარმომადგენლები. საბჭოში შეყვანილი უნდა იქნენ აგრეთვე კრიტიკოსები, მუსიკოსები, განათლების და ხელოვნების სხვა დაწესებულებების წარმომადგენლები.

სამხატვრო საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს სამეც. და ხელ. დაწესებულებების მთავარი სამმართველო.

ხელოვნების ქრონიკა

დისპუტი პროლეტარულ მწერლობაზე

დღეს, განათლების მუშაკთა კლუბში, საღამოს 7 ს. განათლების მუშაკთა სახლთან არსებულ სალიტერატურო ასოციაციის ინიციატივით გაიმართება დისპუტი პროლეტარულ მწერლობაზე, მოხსენებას წაიკითხავს პ. ქიქოძე. დისპუტში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან: ს. ამილახვრელი, თ. ბეჟანიშვილი, ბ. ბუაჩიძე, შ. დადიანი, ს. წყალობა, ნ. ზომლეთელი ტ. ტაბიძე, ბ. ჟღენტი, შ. ჩადიანი, გ. ხუროძე, ი. გრიშაშვილი, ი. ვაროთაგავა და ლეარსამიძე.

სარეპერტუარო-სამხატვრო საბჭოში

◆ სარეპერტუარო ბიულეტენი. სარეპერტუარო-სამხატვრო საბჭო შეუდგა სარეპერტუარო ბიულეტენის გამოცემას. ბიულეტენში განხილულ იქნება ყველა ქართული პიესები და მათგან შეარჩევენ პიესებს, რომლებსაც საბჭო ურჩევს დასადგმელად თეატრებს. დასადგმელად გამოსადეგი პიესები გაყოფილი იქნება სამ კატეგორიად: სოფლის თეატრისათვის, მუშათა კლუბებისათვის და სახელმწიფო თეატრისათვის.

საბჭო პიესების ყველა ავტორებს სთხოვს წარმოადგინონ თავიანთი ნაწარმოებები განსახილველად. ბიულეტენი გამოცემულ იქნება ერთი თვის განმავლობაში.

◆ მომღერალ ლ. ისეცკის გამოსვლა. დღეს ოპერის თეატრში იტალიიდან ახლად დაბრუნებული ლ. ისეცკი იმღერებს ოპერა „ფაუსტში".

◆ „რღვევა". რუსთაველის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება „რღვევა".

◆ 1-ლ სამუსიკო მუზეუმში (ნაძალადევში) კვირას, 1 აპრილს, დღის 12 ს. გაიმართება მოწაფეთა მეორე ღია დღე.

◆ „კაცი პორტფელით". მუშათა თეატრში რუსული დრამის მიერ დღეს წარმოდგენილი იქნება „კაცი პორტფელით".

◆ ავლაბრის მე-9 სამუსიკო მუზეუმში კვირას, 1 აპრილს, დღის 12 ს. გაიმართება აქ 30 მუზეუმის მოწაფეთა მე-2 ღია კონცერტი.

წყალდიდობის მოლოდინში

მტკვარი ადიდდა

წყლითა მეურნეობის სამმართველოს ჰიდრომეტრიული განყოფილების ცნობით, 29 მარტს მდ. მტკვარი ადიდებული იყო ნორმალურ დონეზე ზევით 119 სანტიმეტრით.

გუშინ დილიდან წყალმა კლება მოიმატა.

თოვლის დნობა

29 მარტს დასავლეთ საქართველოში თოვლის დნობა ინტენსიური იყო. სურამის უღელტეხილთან თოვლის სისქემ დაიკლო 20 სანტიმეტრამდე. მდ. რიონის სათავეში თოვლის დნობა თანდათანობით ხდება, რაც არ იწვევს მდინარის ერთბაშად ადიდებას.

აღმოსავლეთ საქართველოში ბევრგან თოვლი სრულებით გადნა მტკვრის სათავე რაიონში თოვლის სისქე უდრის 30 სანტიმეტრს. ლიახვის ხეობაში კი თოვლმა დაიკლო 29 სანტიმეტრამდე.

თოვლის დნობას ყველგან იწვევს ტემპერატურის თანდათანობითი ზრდა.

დეპეშა ზუგდიდიდან

ზუგდიდიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ დაიწყო წყალდიდობა მდ. ენგურზე და მდ. ხობზე. წყალდიდობისაგან საფრთხე მოელის 20.000 კომლ მცხოვრებს.

საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება და სპეციალისტების გაგზავნა ადგილობრივ, რომ გამოიკვლიონ ის რაიონები, სადაც მოსალოდნელია წყლის გადმოსვლა.

თელავის მაზრაში

საქართველოს ცაკის საორგანიზაციო განყოფილებამ თელავის მაზრიდან მიიღო შემდეგი ცნობა:

განზრახული მოსალოდნელ წყალდიდობასთან საბრძოლველად თელავის სამაზრო აღმასკომთან დაარსდა წყალდიდობის წინააღმდეგ მებრძოლი სამეული, რომელშიაც შედიან: ამხ. ჭურღულაშვილი—სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე, კარატიელი—მაზრის მილიციის უფროსი და ინჟ. ბოჭორიძე—კახეთის წყალთა ოლქის სამმართველოდან.

ასეთივე სამეულები დაარსებულია სათემო აღმასკომებთან. სამეულებში შედიან: სამაზრო ცენტრიდან მივლინებული ტექნიკოსები და დაინტერესებულ ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ამჟამად მთელ მაზრაში გაცხოველებით სწარმოებს მდინარეების ნაპირების გამაგრება.

თელავის სამაზრო აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა სახ. კომისართა საბჭოს წინაშე წყალდიდობასთან საბრძოლველად 30.000 მანეთის გაღების შესახებ.

ბიბლიოგრაფია

ვ. ი. ლენინი, „სახელმწიფო და რევოლუცია". მარქსიზმის მოძღვრება სახელმწიფოზე და პროლეტარიატის ამოცანები რევოლუციაში. მე-2 ქართული გამოცემა. სახელგამი. გვ. 198. ფასი 70 კაპ.

ქართულ ენაზე ამხ. ლენინის ეს შესანიშნავი ნარკვევი დღემდე მიუწვდომელი იყო მკითხველთა ფართე მასისათვის, რადგან მისი პირველი გამოცემა (1918 წლის) ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენდა. არაფრით არ შეიძლება იმის გამართლება, რომ ლენინის ერთ-ერთი საუკეთესო ნაშრომთაგანი ჩვენი საგამომცემლო ორგანიზაციების ყურადღების გარეშე რჩებოდა.

მარქსისტულ ლიტერატურაში ლენინის „სახელმწიფო და რევოლუცია" ფრიად საყურადღებო ნარკვევთაგანს მიეკუთვნება, რომელმაც არა მარტო გარკვეულ სისტემაში ჩამოაყალიბა მარქსიზმის მოძღვრება სახელმწიფოზე, არამედ ნათელი მოჰფინა მთელ რიგ ბუნდოვან და არასწორ შეხედულებებს ამ საკითხზე. ლენინი არ დაკმაყოფილდა სახელმწიფოს მარქსისტული თეორიის მარტო ანალიზით და პროლეტარიატის ამოცანების გარკვევით რევოლუციაში, არამედ მისთვის ჩვეული დაუნდობლობით ამხილა საერთაშორისო მენშევიზმის მიერ მარქსიზმის ყველაზე საძაგელი დამახინჯება სწორედ სახელმწიფოს საკითხში.

„სახელმწიფო და რევოლუცია" დაიწერა ლენინის მიერ მენშევიკურ-ესერული მთავრობის ხანაში რეაქციის პერიოდში (1917 წლის აგვისტო-სექტემბერში), როდესაც ამხ. ლენინი გერმანიის მოსყიდულ აგენტად მონათლული, დევნილი კერენსკის აგენტებისაგან, მიმალებოდა ფინლანდიაში. როგორც თვით ამხ. ლენინი ლაპარაკობს წიგნის ბოლოსიტყვაობაში, მას განზრახული ჰქონდა „სახელმწიფო და რევოლუციის" მეორე ნაწილის დაწერა, სადაც გარკვეული იქნებოდა „1905 და 1917 წლების რევოლუციების გამოცდილება", მაგრამ ოქტომბრის სამზადისმა ხელი შეუშალა მის ამ მიზნის განხორციელებაში. მაგრამ ლენინის თქმისა არ იყოს, „ასეთი ხელის შეშლა მხოლოდ სასიამოვნოა". რადგან უფრო სასიამოვნო და სასარგებლოა „რევოლუციის გამოცდილებას" აკეთებდე, ვიდრე მის შესახებ სწერდე.

„სახელმწიფო და რევოლუცია"-ს ძირითადი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ აქ ლენინი გვაცნობს სახელმწიფოს წარმოშობის ნამდვილ საფუძველს, სახელმწიფოს არსებობის ფაქტორებს, სახელმწიფოს სიკვდილს და ამ სიკვდილის ეკონომიურ კანონებს. ლენინმა გააბათილა და გააქიაქა მენშევიზმის მიერ დამახინჯებული „მარქსიზმის ძირითადი იდეა სახელმწიფოს ისტორიული როლისა და მნიშვნელობის საკითხზე". შინაარსი ამ ძირითადი იდეისა მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფო არის კლასიური ორგანიზაცია, რომ სახელმწიფო, იმიტომ არსებობს, რომ არსებობს კლასები თვისი შეურიგებელი ინტერესებით, შეურიგებელი სხვადასხვა მისწრაფებებით და როდესაც ინტერესთა ეს წინააღმდეგობა, კლასთა შორის ბრძოლა აღმოიფხვრება, როდესაც მოისპობა დაპირისპირება ერთი კლასის მეორისადმი,—მაშინ არც სახელმწიფო იქნება საჭირო, რადგან აღარ იქნებიან თვით კლასები.

სახელმწიფოს მარქსისტული თეორიის პოპულარიზაცია აუცილებელია განსაკუთრებით დღეს, როდესაც ასე ფართოდ ვრცელდება მეორე ინტერნაციონალის მიერ ოპორტუნისტული თეორია სახელმწიფოზე, როგორც კლასთა შემრიგებელ, კომპრომისულ ორგანოზე, რომელსაც (განსაკუთრებით „დემოკრატიის" ბატონობისას, აგრეთვე პოლიტიკურ სახელმწიფოში) ძალუძს ერთმანეთის საწინააღმდეგო ინტერესების შერიგება, შექმნა სოციალური ჰარმონიის, ზავის ჩამოგდება მუშასა და კაპიტალისტს შორის, ანუ დამყარება საყოველთაო მშვიდობიანობის და ბურჟუაზიის სოციალურ ძალთა ურთიერთობაში.

თანამედროვე სახელმწიფოს ისე, როგორც საერთოდ სახელმწიფოს არსების გაგება შეუძლებელია იმის გარეშე, თუ მარქსისტული (როგორც ერთად-ერთი სწორი და მისაღები მეთოდით) არ იქნა ახსნილი სახელმწიფოს წარმოშობა, თუ არ ვიცით ის ეკონომიური კანონები, რომელნიც დასაბამიდანვე ახორციელებენ ამ ორგანიზაციას. სახელმწიფოს წარმოშობის ახსნის მხრივ მარქსიზმი ებრძვის მთელ რიგ ბურჟუაზიულ თეორიებს, როგორიცაა: ყველაზე გავრცელებული 1) ხელშეკრულებითი თეორია (გობსი, რუსო), რომელიც საფუძვლად დაედვა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ წყობილების იდეას. ამ თეორიის მიხედვით სახელმწიფო ვითომდა წარმოიშვა ადამიანთა ნებაყოფლობითი შეთანხმებით, ძალთა სურვილის მიხედვით დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. 2) ძალდატანების თეორია (გუმპლოვიჩი, მენგერი), რომელიც სახელმწიფოს წარმოშობას ხსნის დაპყრობით ერთი თემის მიერ მეორე თემის ტერიტორიისა. ზოგიერთ გულუბრყვილოებს მართლაც ჰგონიათ, რომ მარქსიზმს რამე ნათესაობა აქვს ამ თეორიასთან, ძალდატანების ელემენტის აღიარების გამო. ნამდვილად კი მარქსიზმს არავითარი საერთო ამ თეორიასთან არა აქვს, რადგან ეს თეორია არ სცნობს კლასიურ ანტაგონიზმს და მოწინააღმდეგე კლასთა ურთიერთ ბრძოლას.

3) ორგანიული თეორია (შელინგი, ჰეგელი) რომლის მიხედვით სახელმწიფო წარმოიშვა, როგორც სახალხო სულის შემოქმედების ბუნებრივი განვითარების შედეგი, 4) ფსიქოლოგიური, (პეტრაჟიცკი), რომელიც არ სცნობს სახელმწიფოს რეალობას. სახელმწიფო აქ თეორიით წარმოდგენილია, როგორც სულიერი გრძნობა, რომელიც წარმართავს მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებას დადებითი მოქმედებით. 5) პატრიმონიალური (გალერი), თეორია არისტოკრატიული აბსოლუტიზმისა. ამ თეორიის მიხედვით მეფემ ვითომდა შეაგროვა ხალხი და დაუთმო მას ადგილი თავის ტერიტორიაზე, მეფე ამიტომ ქონების მესაკუთრეა, ხოლო ქვეშევრდომნი, მისი მოიჯარადრეები. ასეთივე უბადრუკნი თვისი არგუმენტაციით მთელი რიგი [illegible] თეორიებისა, როგორიცაა მაგ. იერინგის და სხვათა.

ვინც ლენინის „სახელმწიფო და რევოლუცია"-ს გულდასმით გაეცნობა, ის ადვილად გაერკვევა მთელ ამ ბურუსში, რომელიც შექმნილია ბურჟუაზიული სამართლის მეცნიერების მიერ და ღრმად დარწმუნდება იმაში, რომ სახელმწიფო სრულიად არ წარმოადგენს ისეთ ძალას, რომელიც საზოგადოებას გარედან აქვს თავზე მოხვეული. სახელმწიფო არც „ზნეობრივი იდეის სინამდვილეა", არც „გონების სახეობა და სინამდვილე", როგორც ჰეგელი ამტკიცებდა. სახელმწიფო საზოგადოების ნაყოფია მისი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე: „სახელმწიფო აღიარებაა მისი, რომ ეს საზოგადოება დაიხლართა გამოუვალ წინააღმდეგობაში თვის თავთან, გაითიშა შეურიგებელ წინააღმდეგობებად, რომელთაგან თავის დაღწევა მას არ ძალუძს". (ენგელსი).

ლენინი, თავის შრომის გარჩევით სახელმწიფოს კლასიურ ბუნებას, კლასთა ინტერესების შეურიგებლობის თეორიას უპირისპირებს ოპორტუნისტულ, კლასიურ შემთანხმებლობის იდეას, ამგვარად უპირისპირებს პროლეტარიატის დიქტატურას პარლამენტარიზმს, ე. წ. დემოკრატიას, რომელსაც ასე გაშმაგებით იცავენ არა მარტო ექსპლოატატორული კლასები, არამედ მეორე ინტერნაციონალის ყველა პარტიები. ლენინი მთელ რიგ რევოლუციების და განსაკუთრებით 1871 წლის (პარიზის კომუნის) გამოცდილებათა მიხედვით, რომელიც ვრცლადაა აღწერილი მარქს-ენგელსის მიერ, ამტკიცებს, რომ ყოველთვის და ყოველგან გაბატონებული კლასი მიმართავდა ძალდატანებას, რომ დემოკრატია ფიქცია იყო და არის და გადამწყვეტ ისტორიულ პირობებში ყოველთვის გაბატონებული კლასის დიქტატურასთან გვქონდა საქმე. წიგნის ამ ნაწილში მოცემულია პარლამენტარიზმის და დემოკრატიულ რესპუბლიკის მკაცრი, დამარცხ მუსრების კრიტიკა, რომლის ბადალს ორთოდოქსალურ მარქსისტულ ლიტერატურაში ჩვენ ვერ ვპოულობთ.

წიგნის შემდგომ ნაწილში ლენინი დაწვრილებით იხილავს სახელმწიფოს მოსპობის, ან ენგელსის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, სახელმწიფოს სიკვდილის პირობებს, განიხილავს კონკრეტიულად იმ პერიოდს, კაპიტალიზმიდან სოციალიზმამდე, როდესაც მოხდება სახელმწიფოს სიკვდილი, სახელმწიფოს გაქრობა სათანადო ეკონომიური პირობების მომზადებით. კლასების გაქრობას თან სდევს სახელმწიფოს მოსპობაც და შექმნა უკლასო საზოგადოებისა-კომუნიზმისა, რომლის პირველ და მეორე საფეხურს არჩევს მარქსი ე. წ. „გოტას პროგრამის კრიტიკაში" ლასალეანელებთან კამათის დროს. ლენინმა კიდევ მეტად გასაგები გახადა მარქსის მიერ დახატული მომავალ უკლასო საზოგადოების სქემა, რითიც გაადვილა კომუნისტური საზოგადოების ურთიერთობათა შეცნობა.

წიგნს დართული აქვს შენიშვნები, სადაც მკითხველი იპოვის მრავალ პიროვნებათა (როგორც სოციალიზმის, ისე არა სოციალისტური აზროვნების წარმომადგენელთა) და მათი სწავლების ახსნას.

დაბოლოს არ შეგვიძლია უნებლიეთ არ მოვიგონოთ პირველი „კრიტიკა" ამხ. ლენინის „სახელმწიფო და რევოლუციის" რომელიც მოათავსა 1919 წელს, ამ წიგნის 1-ლი ქართულ გამოცემის გამო ერთ-ერთმა მენშევიკურმა „კრიტიკოსმა" იმდროინდელ სქელ ტანიან ჟურნალში—„შვიდი მნათობი" (№ 2).

ეს „კრიტიკა" იმის საუკეთესო ილუსტრაციაა, თუ როგორი უნიჭო და იაფ ფასიანი მეთოდით იბრძოდენ ქართველი მენშევიკები ბოლშევიზმის წინააღმდეგ, თუ როგორ „იცავდენ" ისინი საქართველოს მუშებს და გლეხებს ლენინიზმის" „სენისაგან".

თავისი კრიტიკის პირველ სტრიქონებს ეს კალმოსანი ასე იწყებს: „წიგნი დაწერილია: 1918 წლის (უნდა იყოს 1917 წლის დ. გ.) სექტემბერში, როდესაც ბოლშევიკები ჯერ კიდევ გამეფებულნი არ იყვნენ, რომ ავტორს ეხლახან (ე. ი. 1919 წელს დ. გ.) დასჭირდებოდა წიგნის გამოშვება, მისი ზოგიერთი დებულება, ეგონებ უარყოფილი (sic!) იქნებოდა". საწყალი ლენინი, „მოლილიობის" დროს თურმე დაუწერია ოცნების მაგვარი რამ, რომელიც ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ცხოვრების დაუმარცხებია, სინამდვილეს „უარუყვია"?!! მაგრამ განა ლენინს არ გამოუშვია თავის სიცოცხლეში რამდენიმე ჯერ (და არა მარტო რუსულ ენაზე, ეს აშკარად მაშინ ალბად კაუცკის მოწაფემ საქართველოში) „სახელმწიფო და რევოლუცია" და სადმე, თვით ერთი სიტყვითაც კი შეუტანია მასში რაიმე ცვლილება? მენშევიკურმა „კრიტიკოსმა" ვერ გაიგო სამწუხაროდ, რომ ლენინის ეს შრომა არ დაუწერია ორი დღისათვის და არც ორ დღეში. ის შეიქმნა ნაყოფი ხანგრძლივი მუშაობისა, (რომელიც ლენინმა ჯერ კიდევ შვეიცარიაში დაიწყო) და მარქსიზმის ყველა მნიშვნელოვან დოკუმენტების (რომლებიც დღემდეც ამახინჯებს საერთაშორისო მენშევიზმი) საფუძვლიანი გამოყენებისა, ლენინს და საერთოდ ბოლშევიზმს ასე წარმართა, რომ ეცვალა თავისი პრინციპიალური მოსაზრებანი, მაშინ ის რევოლუციონური მარქსიზმი კი არ იქნებოდა, არამედ კაუცკი-ჟორდანიას წაჯით-ეკუჯაქობა.

ასეთივე ბავშური „კრიტიკოსის" სხვა მოსაზრებანიც, როგორიცაა, მაგ. ზღაპარი იმის შესახებ, რომ ბოლშევიკების დიქტატურას ამაგრებენ ჩინელები და ლატიშები, რომ ლენინის სახელმწიფო ნგრევაა და მეტი არაფერი, რომ „მოქალაქეობრივი ომის დასრულება იქნება დასაწყისი ბოლშევიზმის დაცემისა" (ვითომ?) და სხვა. სისულელე, რომლითაც აღვსილია ვრცელი „კრიტიკა" ლენინის ამ ღრმა აზრიან ნარკვევზე მენშევიზმის კალმოსნისა.

ომის შემდგომმა პერიოდმა, მენშევიკებ-ის საქმიანობამ ევროპაში, ფაშიზმის ზრდამ და სხვა მოვლენებმა ნათელყვეს, რომ დემოკრატიზმი საბოლოოდ გაკოტრდა, და „სახელმწიფო და რევოლუციაში" განხილული ძირითადი აზრი გამართლდა, სახელდობრ ის, რომ კაპიტალისტური და კომუნისტური საზოგადოებას შუა, არსებობს ხანა, პირველის მეორედ რევოლუციონურად გადაქცევისა. ამ ხანას შეეფერება პოლიტიკური გარდამავალი ხანაც და ამ ხანის სახელმწიფო არ შეიძლება იყოს სხვა რამე, თუ არა პროლეტარიატის რევოლუციონური დიქტატურა".

მეორე გამოცემა პირველთან შედარებით უფრო სრულია, თარგმანი შესწორებულია. მაგრამ მაინც არის შეცდომები, როგორიცაა მაგ. გამოთქმა: სახსვათაშორისო, მარქსსა და ენგელსს შუა, მარქსიზმი სცხებს (ударяет) ან კიდევ ფ. ენგელსის „ანტიდიურინგი" ან როგორც უფრო ვრცლად ეწოდება მას (Переворот в науке, произведенный Евгением Дюрингом) თარგმნილია „დამხობა მეცნიერებისა ევგენი დიურინგის მიერ". და სხვა, რომელიც რასაკვირველია არავითარ შემთხვევაში არ უკარგავს თარგმანს თავის ძირითად ღირსებას.

წიგნში სამწუხაროდ არ არის აცილებული ქართული გამოცემისთვის ჩვეული კორექტურული შეცდომები. ლენინის ეს გამოცემა იაფი ღირს (70 კაპ.), რის გამოც ხელმისაწვდომია მკითხველთა ფართე მასისათვის.

დ. გვაზავა.

მეცნიერება და ტეხნიკა

„ალნიონი"

მიუნხენელმა (გერმანია) ინჟინერმა ვურმბახმა ალუმინიუმის ნაერთობათა გამოკვლევებს ისეთი წესი მონახა, რომელიც მათ არაჩვეულებრივ სიმაგრეს აძლევს. ამ რამდენიმე ხნის წინათ ინჟ. ვურმბახმა გერმანელ ინჟინერთა საზოგადოების კრებაზე წარმოადგინა თავისი წესით დამუშავებული ალუმინის ნაერთობა, რომელსაც მან „ალნიონი" უწოდა. „ალნიონიდან" დამზადებული საგნები სიმაგრით ფოლადს არ ჩამოუვარდება, წონით კი—სამჯერ მსუბუქია. „ალნიონი" გაცილებით მსუბუქია, ვიდრე დღემდე ცნობილი უმსუბუქესი ლითონები—დიურ-ალიუმინი, სილიუმინი და სხვა.

„სტენოტიპი"

ლეიპციგის ტეხნიკურ გამოფენაზე გამოფენილი იყო რამდენიმე საბეჭდი მანქანა ადამიანის სიტყვის სწრაფად ჩასაწერად. ჩაწერის სისწრაფის მიხედვით ეს მანქანები გაცილებით სჯობს სწრაფ სტენოგრაფიულ ჩაწერას. კარგად გაწვრთნილ მემანქანე-ქალს შეუძლია ამ მანქანით (რომელსაც სტენოტიპი ეწოდება) წუთში ჩასწეროს 150—180 სიტყვა. სტენოგრაფიულ ბეჭდვას საფუძვლად უდევს იგივე ნიშნები, რაც სტენოგრაფიულ ჩაწერის ხელით. სახელდობრ—პირობითი აღნიშვნა ზოგიერთი გავრცელებული სიტყვების, ფრაზების და სხ. სხვადასხვა ტიპის მანქანებზე კლავიშების რიცხვი მერყეობს 70-დან 120-მდე. ამრიგად „სტენოტიპის" მოხმარის შესწავლა მეტ სიძნელეს წარმოადგენს ვიდრე ჩვეულებრივ საბეჭდი მანქანის მოხმარის შესწავლა (უკანასკნელზე კლავიშების რიცხვი 40-ის ფარგლებში მერყეობს), მაგრამ მიღწეული შედეგები სავსებით ამართლებს დახარჯულ ენერგიას. სტენოგრაფიული ჩაწერის პროცესი რამდენიმეჯერ მოკლდება, რადგან „სტენოტიპი" ზედმეტს ხდის ჩანაწერის გაშიფვრას და კარნახს მემანქანესათვის—გადასაბეჭდად. სტენოტიპები ფართოდ არის გავრცელებული გერმანიაში. გერმანიის რეიხსტაგში ორატორების სიტყვების ჩაწერა სტენოტიპების საშუალებით სწარმოებს. სტენოტიპი უხმოდ მუშაობს და ხელს არ უშლის ორატორების სიტყვებს.

რადიო-გადაცემა

შაბათი, 31 მარტი

დღეს, 31 მარტს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

გაზეთი „ახალი სოფელი"—ქართულ ენაზე.
მოხსენება: სას.-სამეურნეო კოოპერაციის პრინციპები და მისი მნიშვნელობა სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში ქართულ ენაზე.
მოხსენება: ბავშვობის დაცვის საკითხებ.—რუსულ ენაზე.
მოხსენება: კულტურული ყოფა-ცხოვრება და რელიგია —ქართულ ენაზე.
მოხსენება: საიუველირო ნაწარმოების დადაღვის მეტრიზაცია—ქართულ ენაზე.
გაზეთი „ენიკენდი"—თურქულ ენაზე.
მუსიკის ახსნა-განმარტება.
ოპერა „ფაუსტ"-ის ტრანსლიაცია.
ობსერვატორიის ცნობები.
რადიო-გადაცემის ერთი კვირის პროგრამის გადაცემა.
ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 31 მარტს თბილისის შრომის ბირჟაში გამოძახებულია შემდეგი უმუშევრები:

კვალიფიციურ მუშაკთა პირველი სექციიდან: შაქრო ყარალაშვილი; მოსეს ნერსესოვი, პავლე გეილეშვილი, ალექსი ალოლაშვილი და [illegible] ლაპიდოვი.

განსაკუთრებულ მუშათა მეორე სექციიდან: ეკატერინე ერისთავი; ნინო გიორგობიანი; ნინო ქაჯაია, ელენე ჭანტურიშვილი; როზალია დანელიოვა; ნინო ნიკოლაძე; მარიამ შარაძე; ნინო ნიკიტინა; ლევან სახვტანეიძე; არამ ხალათოვი; არტემ ღარიბოვი; ნინო ჯღარკავა; მიხეილ სვანიძე; სერგო ეგორაშვილი; გიორგი ავალიანი; ივანე მალხაზოვი; იაკობ ოვესიანი; ალექსანდრე მარტიროსოვი; სერგო გაჩეჩილაძე; მარიამ მაჩაბელი; აბგარ ბალოგიანი; კონსტანტინე სამუელოვი; ბარბარე ცქიტიშვილი; ნიკოლოზ ოლეშევიჩი; გაბრიელ მიქაძე; ალექსანდრე გოგიჩაიშვილი; დავით ტერ-ოგანოვი; მაშო ხუციშვილი; თამარა რუხაძე; ელისაბედ ოთხმეზური; ეფროსინე ეთოდანია; ანნა გორინა; სონა ტერ-ოგანესოვა, თამარ გეგეშიძე; ვალენტინა ეთოლოლიანი, სერგო ჯიჯავა; რაჟდენ მიქაძე; გიორგი ტყეშელაშვილი; მიხეილ გაგუა; შალვა ებრალიძე; ალექსანდრე სულაქველიძე; ეფემია კალინინოვა; ირაკლი გოგიშვილი; მარიტა გასპაროვი; ილია სტრიმკო; ისიდორე ჩხიკვაძე; ნინო ცერცვაძე; ეფსევი ებანოიძე და აბრამ ლომიძე.

მშენებელ მუშაკთა მეხუთე სექციიდან: კონსტანტინე ადამოვი; პეტრე ვილლოვი; სევასტი ცქვიტინიძე; ლადიმერ ფანჯიკიძე; არამ აზმედ-ოღლი; ოგლი-გულამ გალი; ტიგრან ბოლოსიანი და სიმონ მძინარიშვილი.

ხიმუშაოზე იგზავნება მშენებელ მუშათა მეხუთე სექციიდან: გლადიმერ მარტყოსკი; მამიკონ დღეიაჩანცი; ვართან ბადოიანი; არტემ კაკალაშვილი; ისაკ გეორგიანცი; ამაია ხაჩატურიანი და აიროპეტ გრიგორიანი.

რკინის გზელთა მე-7 სექციიდან: ვასილ შველიძე; ლევან მელიქოვი; ალექსანდრე სმირნოვი და ალექსანდრე აპრესიანი.

საგარანტიო სექციიდან: იოსებ ყაზაროვი და ლევან ანანოვი.

იურიდიული დახმარება

დავით დანელიას

კითხვა

მიქირავს ქვედა სართულში ერთი ოთახი, ოთახი ნესტიანია, აქვს ცემენტის იატაკი, ცხოვრება იქ ადამიანისათვის აუტანელია; სახლის პატრონი არ ფიქრობს ოთახს ხის იატაკი გაუკეთოს. შემიძლია თუ არა, გაუკეთო ოთახს იატაკი და დახარჯული თანხა გამოუქვითო მეპატრონეს ოთახის თვიურ გადასახადში?

პასუხი

თქვენ არ შეგიძლიათ ოთახს გაუკეთოთ ხის იატაკი სახლის პატრონის ხარჯზე.

კავშირის წევრს, წიგნაკი № 12635

კითხვა

ვცხოვრობ ქალაქის განაპირა რაიონში, მიქირავს ერთი ოთახი 36 კვად. მეტრი და პატარა საკუჭნაო. ვღებულობ ჯამაგირს 62 მან. 70 კაპ. ვარ კავშირის წევრი, რამდენი უნდა გადავიხადო ყოველ კვადრატიულ მეტრზე.

პასუხი

ქალაქის განაპირაზე თქვენ ვალდებული ხართ იხადოთ თვითეულ კვადრატ. მეტრზე 11 ერთი მესამედი კაპ.

კავშირის წევრს, წიგნ. № 5209

კითხვა

მიქირავს ერთი ოთახი, ზომით 14 კვ. მეტრი. რამდენი უნდა ვიხადო თვითეულ კვ. მეტრზე, თუ თვეში ვიღებ ჯამაგირს 60 მან. იმ შემთხვევაში, თუ სახლის პატრონი უარს განაცხადებს ქირის აღებაზე, სად შევიტანო.

პასუხი

თვითეულ კვად. მეტრზე თქვენ უნდა იხადოთ 14 კაპ. ფული შეგიძლიათ შეიტანოთ ნოტარიულ კანტორის დეპოზიტში.

დავით დანელიას

კითხვა:

მიქირავს ერთი ოთახი, სახლის პატრონი პირობის თანახმად ვალდებული იყო ოთახისათვის გაეკეთებინა კაპიტალური რემონტი მაგრამ პირობა არ შეასრულა. შეიძლება თუ არა ოთახს მე თვითონ გავუკეთო რემონტი და დახარჯული ფული გამოვურიცხო სახლის პატრონს მომავალი წლის ოთახის ქირაში?

პასუხი

თუ ხელშეკრულების თანახმად სახლის პატრონი ვალდებულია შეგიკეთოს ოთახი, თქვენ შეგიძლიათ სთხოვოთ სასამართლოს, რათა მან აიძულოს სახლის პატრონი შეასრულოს პირობა, და უკეთუ ამ პირობას არ შეასრულებს, მოგცეს ოთახის შეკეთების უფლება სახლის პატრონის ხარჯზე.

ოფიც. განყოფილება

დადგენილება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

ეტიკეტებისა, ბაჟია ბაირაღებისა, ბელადების სურათებისა, საქველმოქმედო მარკებისა და ბეჭდვითი ნაწარმოების გავრცელების წესის შესახებ

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ეტიკეტებისა, ბაჟია ბაირაღებისა, ბელადების სურათებისა, საქველმოქმედო მარკებისა და ბეჭდვითი ნაწარმოების გავრცელება შეუძლიათ მხოლოდ:

ა) სახელმწიფო დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ზემოაღნიშნული საგნების გამოშვებაზე ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარი სამმართველოს ორგანოთა მიერ მიცემული ნებართვის რეგისტრაციის შემდეგ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში ან სამაზრო ადმინისტრატიულ განყოფილებაში, ხოლო სადაც იგი არ არსებობს სამაზრო მილიციის სამმართველოში, კუთვნილებისამებრ.

ბ) კერძო პირს, თუნდაც იგი არ იყოს სათანადოდ უფლებამოსილი კონტრაგენტი სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებისა,—„ა" პუნქტით გათვალისწინებულ ორგანოებისაგან აღნიშნული საგნების გასავრცელებლად ნებართვის მიღების შემდეგ.

2. გამომცემლობის მიერ თავისი რწმუნებულისათვის მიცემული მოწმობა ბეჭდვითი ნაწარმოებზე ხელის მოწერის მისაღებად და ამ ნაწარმოების გასავრცელებლად, აუცილებლად გატარებულ უნდა იქნეს რეგისტრაციაში:

ა) ცენტრალური გამომცემლობის მოწმობა—შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში;

ბ) სხვა გამომცემლობის მოწმობა კი—სათანადო სამაზრო ადმინისტრატიულ განყოფილებაში, ხოლო სადაც იგი არ არსებობს—სამაზრო მილიციის სამმართველოში.

3. ეტიკეტებისა, ბაჟია ბაირაღებისა, ბელადების სურათებისა და საქველმოქმედო მარკების, აგრეთვე ბეჭდვითი ნაწარმოების გავრცელებას უნდა ჰქონდეს მხოლოდ ნებაყოფლობითი ხასიათი.

4. ინსტრუქციას ამ დადგენილების შესაფარდებლად გამოსცემს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმებით.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ლ. ქართველიშვილი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი
ვ. მგალობლიშვილი.

1928 წ. იანვრის 18.
თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

უნივერსიტეტთან არსებულ ას. ლ. კ. კ. შშ. ბიურო-კოლექტივის სხდომა შესდგება, 31 მარტს, დღის 12 საათზე.

ს-კოლექტივის წევრ-კანდიდატებს გარდა გამოცხადდენ ის ამხანაგები, რომელ შემოტანილი აქვთ განცხადებები.

—:—

საქ. პარ. (ბ) თბილისის ორგანიზ. ციხ. [illegible] საკონტროლო კომისია წინადადებას აძლევს ქვემოაღნიშნულ ამხანაგებს 3 დღის ვადაში გამოცხადდენ ამხ. მაჩაბელისთან (საპარტიო განყოფილებაში) პირადი საქმეების გამო:

შალამბერიძე; შაქრო ჩერქეზიშვილი; ქართველიშვილი; ანტონ ალიხანოვი; პოლიკარპე [illegible]; [illegible] ამირეჯიბაშვილი, [illegible]; დავით ელიზაროვი; [illegible]; ახტერ ელოიანი; კონდრატე [illegible]; ალექსანდრე ჭაბუკიანი, სოსო [illegible]; კირილე ღვინეფაძე; ნინო [illegible] ზავარიძე; ვასილი ცერცვაძე; [illegible]; პეტრე ანანიაშვილი და ხიმე ლომაია.

საქართველოს [illegible] ცეკა [illegible] აცხადებს, რომ დღეს, 31 მარტს, საღამოს 6 საათზე [illegible] შესდგება [illegible].

პრეზიდიუმის წევრების დასწრება სავალდებულოა.

—:—

სახ. უნივერსიტეტის სოც.-ეკონომ. ფაკულტეტის საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა პროფკომი აცხადებს ამავე პროფ-კავშირის წევრთა საყურადღებოთ, რომ წევრთა რეგისტრაცია გაგრძელებულია მხოლოდ პირველ აპრილამდე. პირველ აპრილის შემდეგ რეგისტრაციაში გაუტარებელი წევრნი გამორიცხულნი იქნებიან მექანიკურად. რეგისტრაცია სწარმოებს უნივერსიტეტის ს. კ. პროფკომში, დღის 10—2 საათამდე.

პიონერთა თბილისის ბიურო აუწყებს ოქტომბრელთა ჯგუფის ყველა მეთაურებს, რომ 5 აპრილს, საღამოს 6 საათზე საქართველოს პროფსაბჭოს მცირე დარბაზში, ოქტომბრელთა შორის მუშაობის შესახებ, გაიხსნება თათბირი საქალაქო მასშტაბით.

ოქტომბრელ ჯგუფის ყველა მეთაურებს წინადადება ეძლევათ აღნიშნულ ადგილზე გამოცხადდენ დაუგვიანებლივ.

[illegible]ტის მე-5-თე სტამბასთან არსებულ ა. ლ. კ. კავშირის უჯრედი № 1. მწუხარებას გამოსთქვამს საუკეთესო ამხანაგის

ვალერიან არსენის-ძე შენგელიას

გარდაცვალების გამო. დასაფლავება მოხდება 1-ლ აპრილს, კუკიის თემში. (მ)

დამწუხრებულნი: დედა ხინო, ძმები: ლუკა და ლადო ცოლებით, ძმისშვილები: იმედა, [illegible], თამარი და [illegible] აუწყებენ საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

დავით ივანეს-ძე ნატრაძე

სამოქალაქო პანაშვიდი შაბათს, საღამოს 7 ნახ. საათზე, დაკრძალვა კვირას, 1-ლ საათზე, გამოსვენება საკუთარ ბინიდან (ნიალვარის ქ., № 11). კუკიის სასაფლაოზე. 1944

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი რძალი ირინე ესტატეს ასული ხაზარაძისა, შვილები—ლიზა, ალექსანდრე, ვანო, აკაკი, შალვა, რძლებით - ნატალია, ანიკო, ხანია და აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ მუდამჟამს სახსოვარის აღმზრდელის

ილარიონ ანტონის-ძე ხაზარაძის

მოულოდნელ დაკარგვას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, საღამოს 6 საათზე, გამოსვენება კვირას, 1 აპრილს. დაკრძალვა საფიჩხიის სასაფლაოზე. ნ. 857

დამწუხრებული დედა ელისაბედ გიორგის ასული, ძმა ზურაბ ვასილის-ძე წერეთლები, ბიძები: ქსან, ნიკოლოზ, პეტრე, გრიგოლ, ვასილ და ადამ გიორგის-ძენი აბდუშელიშვილები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ა. წ. 1-ლ აპრილს, კვირას 12 საათზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი (ჯულუხაძის ქ. № 2) დაუვიწყარ

კოსტა წერეთლის

ხსოვნის აღსანიშნავად. 1946 2—

დამწუხრებული დედა ეკატერინე, და მაშო, მეუღლე ოლღა, შვილები—თამარა და აბესალომი, ცოლისძმები: მიტროფანე, ვლადიმერი, მიშა და ვიქტორ ჯღარკავები აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავებს, რომ სოხუმში გარდაიცვალა

გერმოგენ ტარიელის-ძე გვაზავა

დაკრძალვა, კვირას, 1 აპრილს, სოფ. საგვაზავოში (სენაკის მაზრა). (უ)

შვილები—ოლია, ქსენია, კატუშა, თალიკო, ნატაშა, მიშა, საშა და გრიშა, რძლები, სიძეები და შვილიშვილები—აუწყებენ საზოგადოებას, რომ კვირას, 1 აპრილს, შუადღის 1 საათზე ნიკოლოზის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი საყვარელ დედის

ნატალია ათანასეს ასული ქუთათელაძის

წლის თავის აღსანიშნავად. 1951

შვილები ლუბა, ალექსანდრე, რძალი ბარბარე ივანეს ასული, შვილიშვილები: გოგი და ქეთო კანდელაკები და სიძე ივანე ილიას-ძე მუჯირიშვილი აუწყებენ ნაცნობებს, ნათესავებს და მეგობრებს, რომ მათი დედის

ანასტასია ნიკოლოზის ასული კანდელაკის

გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო კვირას, 1 აპრილს, დღისით 1 საათზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ვერის ახალ სასაფლაოზე. 1945

27 მარტს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ დავკარგეთ ძვირფასი

ილარიონ ანტონის-ძე ხაზარაძე

რისაც ვაუწყებთ მწუხარებაში მყოფნი: ქალიშვილი ეკატერინე, სიძე ვლადიმერი, შვილიშვილთმოდარე მდივნები და დესპინე ნიკოლოზის ასული მდივანისა შვილებით. დაკრძალვა კვირას, [illegible]-ლ აპრილს, ნაშუადღევის 4 საათზე, გამოსვენება ფ. მახარაძის ქუჩიდან საკუთარი სახლი ქ. ქუთაისი. 1948

სასამართლო

წამლის მაგიერ—საწამლავი

აბაშლების (ქუთ. მაზრა) თემის მცხოვრებ მოქ. რუხაძეს ბავშვი გაუხდა ავად.

მაშინვე კაცი აფრინეს საექიმო პუნქტის გამგესთან. ექიმმა კორნელი ნემსაძემ გამოუწერა ბავშვს წამალი კუჭის აშლილობის წინააღმდეგ, მისცა სათანადო რჩევა-დარიგება მშობლებს და გაუდგა გზას.

საინტერესოა, რა ხდება ამის შემდეგ.

აფთიაქში „წამალი" გამზადებული დახვდა რუხაძეს. რუხაძე ფრთხილი კაცი იყო და ამიტომ წამალი გაუსინჯავათ არ წაიღო სახლში.

რუხაძე გაკვირვებული დარჩა, როცა რეცეპტზე ნემსაძის მაგიერ ექიმი რიონიშვილი აწერდა ხელს.

— ამხანაგო, ეს ჩემი წამალი არ უნდა იყოს, მგონი.. ჩემთან რიონიშვილი არ ყოფილა, ამ წამლის რეცეპტს კი რიონიშვილი აწერს ხელს.

— წაიღე კაცო, სულ ერთი არ არის? შენი გვარი ხომ აწერია წამალს... ალბად, გვარი შეეშალა ექიმს წარწერის დროს,—უპასუხებს ფარმაცევტი ალექსანდრე ტრაპაი.

რუხაძე წამოვიდა, მაგრამ დარწმუნებული მაინც არ იყო, რომ მას მისი წამალი მისცეს, სახლშიაც რომ უნდობლობით შეხვდენ წამალს, რუხაძე გაიქცა ექიმთან და უჩვენა წამალი.

— როგორ მოგიქცე, ექიმო! ასეა საქმე.

— მოიქეცი ისე, როგორც დაგიბარე თქვენებს სახლში.

— არა, წამლის შესახებ მოგახსენებთ... აქ ხომ თქვენი გვარი არ არის. ექიმი რიონიშვილი აწერს ხელს.

— ეს არაფერია, ასეთი შეცდომები მოსდის ჩვენს აფთიაქს. შენ არხეინად იყავი, წადი და ეს წამალი ბავშვს დაალევიე,—უთხრა ექიმმა, რომელსაც რეცეპტის ხელმეორედ გადაკეთების „დრო არ ჰქონდა"...

რუხაძე წამოვიდა, დაავჯერა სახლში ყველანი, რომ ეს ბავშვის წამალია და მთელი ქილა ბავშვს ერთი ხსნილი.

მესამედღეს რომ დალია ბავშვმა წამალი, შემდეგ აღარ მოუსვენია, სანამ სამუდამოდ არ გამოეთხოვა წუთის სოფელს.

როცა ბავშვი სიკვდილის პირზე იყო, მოიყვანეს ისევ ექიმი ნემსაძე.

— ბავშვი მოწამლული უნდა იყოს, ისე გეტყობა,—დასვა „დიაგნოზი" ექიმმა.

— რა მოწამლავდა? არაფერი არ გვიჭამევია, ბატონო...

— ეს ვგონებ რომ გაკვირდება, წამალი შეცდომით არის გამოწერილი, აქ ძალიან დიდი დოზით არის დარიშხანი, რისაც ბავშვის ორგანიზმი ვერ აიტანს,—„მეცნიერული" სიდინჯით ლაპარაკობს ექიმი ნემსაძე.

რუხაძე გაშრა, გაშეშდა. აურ-დაურა ფერმა.

— რატომ ჩადექით ჩემს ცოდვაში, რა გაჰქირდათ გაგესინჯათ მეორე ჯერ რეცეპტი...

— ეს აფთიაქის ბრალია... ექიმის კარები. ბავშვმა კი სული განუტევა.

რუხაძემ აღძრა საჩივარი, როგორც ექიმის, ისე აფთიაქის წინააღმდეგ. პასუხისგებაში იქნენ მიცემული ფარმაცევტი ალექსანდრე ტრაპაი და ექიმი კორნელი ნემსაძე.

საქმე გაარჩია ქუთაისის სამაზრო სასამართლომ. ექიმ ნემსაძეს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 1 წლით, ალექსანდრე ტრაპაი—1 წლით და ორი თვით.

ფულიც გაიყვეს და სასჯელიც

ქუთაისის სოციალური უზრუნველყოფის ინსპექციასთან არსებობდა ინვალიდთა დამხმარე კომისია. კომისიას უნდა გამოეძებნა წყარო ინვალიდების დასახმარებლად. პირველ ხანებში ეს კომისია ავრცელებდა საქველმოქმედო მარკებს, ჰყიდდა ბელადების სურათებს, ეტიკეტებს და ამ რიგად თავს უყრიდა თანხებს.

ზემოთაღნიშნულ კომისიას გამოუჩნდა ერთი „გულშემატკივარი" მიხეილ მაისურაძე, რომელმაც იკისრა ბელადების სურათების და საქველმოქმედო მარკების რეალიზაცია.

როცა კარგა მოზრდილმა თანხამ მოიყარა თავი მაისურაძის ხელში, უკანასკნელს სული მიავიწყდა, რომ ამ ქვეყანაზე არსებობენ გაჭირვებული ინვალიდები, რომელთაც ეს ფული უნდა მოხმარდეს.

მაისურაძეს გაეღვიძა ჭამის მადა. ჭამა კიდეც, სანამ გადააყენებდენ. მის მაგიერ დანიშნეს ბაგრატ ლორთქიფანიძე.

მაისურაძემ „შინაურულად" გადააბარა საქმეები ლორთქიფანიძეს. უკანასკნელმაც „ნამუსი შეუნახა" მაისურაძეს და თვითონაც ისწავლა მისგან „ფულის მოხმარება"... როცა ამ კომისიის ლიკვიდაცია მოხდა, აღმოაჩინეს დანაკლისი 1988 მანეთი.

დააპატიმრეს ლორთქიფანიძე.

— თუ სამართალია, სამართალი იყოს. მარტო მე ფული შემომეხარჯა, მაგრამ სხვის მაგიერაც მე ნუ მაგებინებთ პასუხს. ნაწილის პასუხისმგებელი მე ვარ, ნაწილი მაისურაძეს მოსთხოვეთ—ამბობს ლორთქიფანიძე.

დააპატიმრეს მაისურაძე.

— უნდა გაიგოთ, რომ ლორთქიფანიძეს მარტო არ შეუჭამია ეს ფული. მეც მაქვს „ნასარგებლი",—ამბობს მაისურაძე.

სასამართლომ „სოლიდარულ" გამფლანგველებს შეუსაჯა სამ-სამი წლით თავისუფლების აღკვეთა.

მერ.

შემთხვევები

თავდასხმა

გუშინწინ, დაახლოებით ღამის 9 საათზე, სეითის დუქნის მახლობლად ფინტოვკით და რევოლვერით შეიარაღებული ბოროტმოქმედნი თავს დაესხნენ თბილისიდან დაბრუნებულ მეურმე გლეხებს.

თავდამსხმელებმა გლეხებს სიკვდილის მუქარით წაართვეს 230 მანეთის საქონელი.

შემთხვევის ადგილზე დაუყოვნებლივ გამოცხადდენ პროკურატურის და სისხლის სამართლის მილიციის წარმომადგენლები.

მიღებულია ზომები თავდამსხმელთა დასაპატიმრებლად.

ტრამვაის ვაგონის დაჯახება ავტომობილზე

გუშინ, დილის 10 საათზე, ტრამვაის ვაგონი (№ 10, მარშრუტი მეოთხე) ხიდის ქუჩაზე დაეჯახა ნებივრად სავარგო ავტომობილს. დაჯახების დროს დაზიანდა მხოლოდ ტრამვაის ვაგონი.

დაჯახების ადგილზე გამოცხადდენ სისხლის სამართლის მილიციის და პროკურატურის წარმომადგენლები.

როგორც გამოირკვა, შოფერს ავტომობილი მიჰყავდა დიდი სისწრაფით. ირკვევა აგრეთვე, რომ ვატმანმა დროზე არ მიიღო ზომები ვაგონის გასაჩერებლად.

შოფერი თოფურიშვილი დაპატიმრებულია.

ტრამვაიში ქურდობის „ხელი"

თბილისს ერთი ხანია ესტუმრა ტრამვაის ქურდობის „სპეციალისტი" ჯიბგირი—იზია მარხის ძე სარქისიანცი. გამოირკვეულია, რომ ერთი დღის განმავლობაში მან ჩაიდინა რამდენიმე ქურდობა. სარქისიანცი დააპატიმრეს სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლებმა.

რეციდივისტების დაპატიმრება

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ქურდი-რეციდივისტები: ალექსანდრე გიორგის ძე ჩაჩუაშვილი და გენრიხ კარაპეტის ძე ენგიბარიანცი.

ხსენებული პირები თბილისში ეწეოდენ ბინების და მაღაზიების სისტემატიურ გაქურდვას.

ტყავეულობის მაღაზიის გამქურდავის დაპატიმრება

რამდენიმე ხნის წინად გაქურდეს ტყავეულობის მაღაზია მდებარე კომუნალურ ქუჩაზე № 40; წაიღეს 400 მანეთის საქონელი.

გუშინ მილიციამ ბოროტმოქმედი დააპატიმრა. იგი აღმოჩნდა ძველი ქურდი.

გაფლანგვა

ამ დღეებში სოფ. დიღომის კოოპერატიულ მაღაზიაში აღმოჩენილ იქნა გაფლანგვა. გამოირკვა, რომ ფული მითვისებულია მაღაზიის გამგე ერეკლე გიორგის ძე თოფურიაშვილის მიერ.

თოფურიაშვილი პასუხისგებაშია მიცემული.

ქურდობა

გუშინ, დღისით მორგებულ გასაღების საშუალებით გაქურდეს გ. ერზნკიანის ბინა (ცეცხლის მქრობელი რაზმის ქ., № 15); წაიღეს 200 მანეთის სახლის ნივთები.

რაიონის გზებზე

საქმე სადგ. ლიაკში მატარებლების დაჯახების შესახებ

თებერვლის 26-ს სადგ. ლიაკში სამგზავრო მატარებელი დაეჯახა სამანევრო შემადგენლობას. დაჯახებამ გზას მიაყენა 789 მანეთის ზარალი.

ეს საქმე გაარჩია ამიერ-კავკას. რკ. გზებზე შემთხვევებთან მებრძოლ საგანგებო კომისიამ, რომელმაც დამნაშავეებად სცნო მთავარი კონდუქტორი ალი შარიფოვი, მემუხრუჭეები: ტაღიზ-ზადეხი, რუსტამ მამედოვი, ხოლო [illegible] მამედოვი და სადგ. ლიაკის უფროსის თანაშემწე ალექპეროვი.

კომისიის დადგენილებით, შარიფოვი მოხსნილია სამსახურიდან, ხოლო დანარჩენებს გამოცხადებული აქვთ საყვედური გაფრთხილებით—სამსახურიდან დათხოვნის შესახებ, თუ მომავალში სამსახურის აწრილების დროს დაუშვებენ შეცდომებს.

დაჯახება

სადგ. განჯაში მოხდა ორთქლმავლების დაჯახება, რასაც შედეგად მოჰყვა—ერთი ორთქლმავლის გადაბრუნება ლიანდაგიდან.

მეისრის დაუდევრობა

23 მარტს სადგ. ქიურაქჩაიში საბარგო მატ. № 100 მიიღეს ორთქლმავლით დაკავებულ ხაზზე. დაჯახება არ მოხდა მხოლოდ იმის წყალობით, რომ მემანქანემ დროზე შეამჩნია ხაზზე მდგომი ორთქლმავალი და შესძლო მატარებლის გაჩერება.

როგორც წინასწარ გამოძიებიდან ჩანს, მეისრე ზაირბეგოვმა წესიერად მოამზადა ისარი მაგრამ აღარ მიიხედა ისრებთან და წავიდა თავის პირად საქმეებზე. ისართან მივიდა უცნობი, რომელმაც გადაიყვანა იგი დაკავებულ ხაზისაკენ.

მდინარეთა ნაპირების გამაგრება

ამიერ-კავკ. რკ. გზების აღმოსავლეთ ქსელის სხვადასხვა ადგილებში ამჟამად სწარმოებს მდინარეთა ნაპირების გამოკვლევა. იმ ადგილებში, სადაც მდინარე წალეკვით ემუქრება რკ. გზ. სწარმოებს ნაპირების გამაგრება.

სანიტარულ-ჰიდროტეხნიკური სამუშაოები

ამიერ-კავკ. რკ. გზებზე მიმდინარე წელს სანიტარულ-ჰიდრო-ტეხნიკური სამუშაოების საწარმოებლად გადადებულია—167.000 მანეთი.

კინო-სოლეი
ორშაბათიდან 2 აპრილიდან
მხატვრული ფილმი
„განკიცხულნი"
ვიქტორ ჰიუგოს რომანით
ნ. 856

ქ. ფოთსა და მის რაიონში
გაზ. „კომუნისტ"-ზე
ხელისმოწერა მიიღება მხოლოდ
კონტრაგენტ
მგალობლიშვილთან
4—1 „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა

აპოლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი
ოდეონი
პროლეტარი ავლაბარი
სახკინმრეწვის თეატრები
მსოფლიო ფილმი
სიცოცხლე სიცოცხლისათვის
რეჟისორი ჯოე მაი
მთავარ როლებში: მარჩელა ალბანი, პაულ რიხტერი, პაულ ჰორბიგერი,
მხატვრული ფილმი ტყისნადირი
პირველად თბილისში დრამა აღმოსავლეთის ცხოვრებიდან მეორე ცოლი
ზარი ჰილ ტრიუკებიან ფილმში უთავო მხედარი 1 და 2 სერია ერთად
ანონსი: მალე რევოლუციონური ფილმი „ოქტომბერი" 0—24

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს ხაშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობის, სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე: დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—7

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ. 25—1 ტელ. 12—76

მედიც. დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.
დილით 9—12 ს., საღამ. 6—8 საათზე, პლეხანოვის პროსპექტი № 7, (შესავალი კუთხიდან ნარიყალის ქ. № 1.) 25—11

ექიმი ს. ი. ანდრეევისა
ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზი. (კვარც—ლამპარით მკურნალობა) ღებულობს ავადმყოფებს 5—7 ს. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი), 29, ვერის ხიდთან ტელეფ. 11—78 25—9

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილებს და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უტკივნეულოდ ამოღება. ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34, რუსთაველის გამზირის კუთხე. 25—1

მიხეილ ზუბალაშვილის სახელობის
სამკურნალო
სხივებით
ელექტრობით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ხსნილია და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით მკურნალობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყოფ. [illegible]ლანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი
ნ. ტურიაშვილი
იღებს ავადმყოფებს საშობიარო და ქალურ სნეულებით ყოველდღე, გარდა კვირისა 3—5 საათ. ბელგიის ქუჩა № 3, მთავარ საავადმყოფოს ახლოს (ყოფილ მიხეილის) 25—1

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 საათ. საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—1

დაიკარგა: თბილისის მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 5611 კლიმენტი კუტივაძის სახელზე, ჩ. გ. 1953

ექიმი
ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი
ავადმყოფებს მიიღებს ფსიქოტერაპიის დარგში; სქესობრივი აშლილობა, მიძინებული ჩვეულებანი, უძილობის ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დილის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით.
საბჭოთა ქ. № 48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ჭავჭავაძის ქ. კუთხე. 25—1

ქუთაისში
ექ. დ. ჩეჩელაშვილი
გადავიდა ახალ ბინაზე ქაქაძის ქ. № 4 ცეცხლის ქრობელ რაზმის გვერდით, სადაც იღებს შინა ან ავადმყოფებს. სპეციალ ექიმობა ფილტვებში მიღება დილის 8—12 საათ. 13—

დაიკარგა: ლომბარდის ქვითარები № 9656 და № 028235—სოფია ნოვიკოვას სახელზე, ჩ. გ. 1952

დაიკარგა სატრანსპორტო პროფკავშირის საწევრო ბილეთი ნიკოლოზ მიხეილის-ძე შქადოვის სახელზე ჩ. გ. 1950

დაიკარგა სპირტის მწარმოების სატვირთო ბარათი № 607, თბილისის აქც. ამ—ბა „ტრანსპორტის" სახელზე. ჩ. გ. 1947

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 63